საარჩევნოდ ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა A2

ჯორჯ სოროსი იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი რეჟიმს შეცვლის A2

გამტაცებლებთან მოლაპარაკებები ჩაიშალა A3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 10 ივნისი, 2003 წელი. №157 (369)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### პრეზიდენტი კვლავ ალამაზებს რეალობას

საპროტესტო გამოსვლები, საზოგადოებრივი შეკრებები, ოპოზიციის გაერთიანება – ეს ყველაფერი და, ამასთან ერთად, გაერო-ს დამკვირვებლების გატაცება, განსაკუთრებით საშიში პატიმრების გახშირებული გაქცევები საპატიმროებიდან, ბიუჯეტის გარღვევა, ნამდვილად ქმნის სახიფათო ფონს საქართველოში.

A3

## ეკონომიკა

### სადისტრიბუციო კომპანია დათმობაზე არ მიდის

*საქართველოს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" 20 ფილიალი, ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, დენის გარეშეა დარჩენილი.*

A4

## უცხოეთი

### კოჩარიანი ძველი მოკავშირეების დაბალანსებას ცდილობს

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, სომხეთის ეროვნულ ასამბლეაში სამი პროკოჩარიანული პარტია მოხვდა, რომლებიც პარლამენტის სპიკერის თანამდებობას ერთმანეთს ეცილებიან. პრეზიდენტი კოჩარიანი ყველაზე ძლიერი და დიდი რესპუბლიკური პარტიის დაბალანსებას საკვანძო თანამდებობაზე ახალი პირის დანიშნვით ცდილობს.

A5

## საზოგადოება

### პრეზიდენტი საბულვარე ტრასას არ თმობს

საკრებულოსა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის მიერ შეპირებულ დასასვენებელ-სასეირნო ბულვარს, თბილისელები, ჯერჯერობით, ამაოდ ელიან. გამორიცხული არ არის, ეს იდეა აუხდენელ ოცნებადაც დარჩეს.

A6

## სამართალი

### პრეზიდენტის დაცვის სამსახურის თანამშრომელი პროკურატურამ გაათავისუფლა

რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის რეზიდენციასთან მომხდარი ინციდენტის მონაწილე, სამხედრო პროკურატურის მიერ განზრახ მკვლელობისთვის დაკავებული სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელი ბიჭიკო გუჩმაზაშვილი, სამხედრო პროკურატურამ, მტკიცებულებების არარსებობის გამო, პატიმრობიდან გაათავისუფლა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 28 |
| ქუთაისი | 29 |
| ბათუმი | 27 |
| სოხუმი | 27 |
| ფოთი | 27 |
| თელავი | 26 |
| ზუგდიდი | 30 |
| გორი | 25 |
| ახმეტა | 26 |
| ჭიათურა | 29 |
| გაგრა | 26 |
| სამტრედია | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1550 |
| ევრო | 2.5173 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5853 |
| რუბლი | 0.0707 |

# მსოფლიო ბანკის პროგრამის აღდგენა ეჭვქვეშაა

## პარლამენტის თავმჯდომარის აშშ-ში ვიზიტის პირველი დღე

ეკა კვესიტაძე
*ვაშინგტონიდან*

გუშინ დაიწყო ნინო ბურჯანაძის ოფიციალური ვიზიტი ვაშინგტონში. პარლამენტის სპიკერის ამპლუაში ეს ბურჯანაძის პირველი ვიზიტია ამერიკაში და, შესაბამისად, დიდ ინტერესს იწვევს.

ხუთშაბათს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მოლაპარაკებებს გამართავს აშშ-ს სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან, მანამდე კი თეთრ სახლში შეხვდება უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს სტეფან ჰედლის, მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ჯეიმს ვულფენსონს, სახელმწიფო მდივნის მოადგილეს ელიზაბეთ ჯონს, გავლენიან სენატორებს, როგორც რესპუბლიკური, ისე დემოკრატიული პარტიიდან.

გუშინ ბურჯანაძე სავალუტო ფონდის მმართველ დირექტორს ჰორსტ კიოლერს, ფონდის მეორე ევროპული დეპარტამენტის დირექტორს ჯონ ოდლინგ სმის და ფონდის საქართველოს მისიის თავმჯდომარეს პოლ ნოეჰაუზს შეხვდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენა გახდა. შეხვედრის მონაწილეების განცხადებით, ფონდის წარმომადგენლებმა პარლამენტის თავმჯდომარეს მიანიშნეს, რომ პროგრამის აღდგენის შანსები საკმაოდ მცირეა, რადგან ქვეყანაში საერთოდ არ იგრძნობა პროგრესი, ხოლო ხელისუფლების დაპირებები, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულდება, მხოლოდ სიტყვიერი განცხადებების დონეზე რჩება.

გაგრძელება A2 გვერდზე

# "შინდისფერი ლეგიონი" წვიმიან ირლანდიაში "საომრად" ჩავიდა

B4





შოთა არველაძე და კახა კალაძე დუბლინის აეროპორტში.

# მიხედეთ თქვენს ქვეყანას და მოგვხედეთ ჩვენც

## პანკისის ხეობა დღეს

ბექა ქურხული

### ნიში ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაბინავარზე

ვაინახების ისტორია თავისუფლებისათვის გაბმული ბრძოლაა, რომელიც XVIII საუკუნის ბოლოს (1785 წ.) შეიხ მანსურმა წამოიწყო და დღემდე გრძელდება.

ჩეჩნებმა დამოუკიდებლობა პირველად იმამ შამილის დროს (1834-1859 წ.) მოიპოვეს, დაღესტნელებთან ერთად. 25-წლიანი სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ შამილი იძულებული გახდა, ღუნიბზე ღაზავათის მწვანე დროშა ჩამოეხსნა და შთამომავლობისთვის ანდერძად დაებარებინა: რუსების წინააღმდეგ ნურასოდეს იბრძოლებთო (სწორედ შამილს გამოექცნენ დღეს პანკისში მცხოვრები მაისტოს ტომის ქისტები).

რუსები ხუმრობდნენ: კავკასიელებმა თავისუფლებისათვის ბრძოლა ჩვენი იმპერატორების "კანვოიში" დაასრულესო.

გაგრძელება A3 გვერდზე



ხარება და გოგია რაზმთან ერთად შუამთის ტყეში.

# ამერიკამ მოლდოვა რუსეთს დაუთმო

## დემოკრატიისა და ფედერალიზმის დისკრედიტაცია

ვლადიმერ სოკორი

ამ ბოლო დროს, მოლდოვაში ყველა ერთი და იგივე კითხვას სვამს, "როგორ მოხდა, რომ ამერიკა ჩვენს რუსულ ორბიტაში დაბრუნებას დათანხმდა?" ეს კითხვა აწუხებს ყველას - მთავრობას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა თუ ინტელექტუალებს. კიშინიოვში მყოფი ევროპელი დიპლომატები ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის შეთანხმების არსებობაზე გარკვევით მიანიშნებენ.

ამერიკელი დიპლომატები და ეუთო-ს მისიის თანამშრომლები, ამ მოსაზრებას უარყოფენ და აცხადებენ, რომ ხალხმა შეთავაზებული პროექტის აზრი არასწორად გაიგო.

"გაუგებრობა" გამოიწვია გეგმამ, რომელიც ეუთო-მ შეიმუშავა და რომელიც დნესტრისპირეთში – მოლდოვას სეპარატისტულ რეგიონში რუსეთის სამხედრო ყოფნას აკანონებს. პროექტი, რომლის მთავარი ლობისტიც ეუთო-ს მისიის ამერიკელი ხელმძღვანელი იყო, მოლდოვას ფედერალიზაციას გულისხმობს, რაც რეალურად, ქვეყნის მართვაში მოსკოვის არაპირდაპირ მონაწილეობას ნიშნავს. აშკარაა, რომ პროექტი მოსკოვშია შემუშავებული, იგი სავსეა რუსული იურიდიული ჟარგონებით, მაგრამ ეუთო ამის დამალვას ცდილობს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ვინ რა მოიგო 3 ივნისით

თამარ მჭედლიშვილი

*სამი ივნისის საპროტესტო აქციამ ნამდვილად ვერ მოიტანა ის შედეგი, რასაც მისი ორგანიზატორები ელოდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმების მოთხოვნით დაწყებულმა მოძრაობამ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ სახელისუფლებო ძალებისთვის მისაღები ნაყოფი გამოიღო. თანაც ისე, რომ მათ ამისთვის არაფერი უღონიათ – ცენტრალური საარჩევნო კომისიის რიგები იმ წევრებმა დატოვეს, რომლებიც სწორედ ოპოზიციურ პარტიებს გულშემატკივრობდნენ. ამან კი, ცესკო იმ სტრუქტურად აქცია, სადაც, ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მთავარი არგუმენტი სახელისუფლებო პარტიათა ინტერესი იქნება.*

როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი თავმჯდომარე გია ზესაშვილი ამბობს, **"იმის მიუხედავად, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის რიგები რვა წევრმა დატოვა, იგი მაინც უფლებამოსილია, არჩევნები ჩაატაროს მანამ, სანამ პარლამენტი არ მიიღებს კომისიის დაკომპლექტების ახალ წესს. მეტიც: კომისიაში ორი წევრიც რომ დარჩეს, მაინც ჩვენ მოგვიწევს არჩევნების ჩატარება, რადგან საარჩევნო კოდექსის გარდამავალ დებულებაში, რომლითაც უფლებამოსილება გაგვიგრძელდა, საერთოდ არ არის მითითებული, რა დროს უნდა შეგვიწყდეს უფლებამოსილება, გარდა, რა თქმა უნდა, იმ ნორმისა, რომელიც ჩადებულია და რომელიც დაკომპლექტების ახალი წესის მიღებას ეხება. ჩემი აზრით, პოლიტიკური ვნებათაღელვის ჩასაცხრობად, ალბათ, საჭიროა ახალი წესის მიღება, თუმცა, მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არჩევნებამდე საკმაოდ ცოტა დრო რჩება, სამუშაო კი უამრავია. აქედან გამომდინარე, ალბათ, მოქმედი ცესკო-ს გამოცდილებაც გასათვალიწინებელია."**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ჩეჩნებს ატყუებენ, ვითომ მათი სამშობლო აღორძინებას იწყებს

## ამბობს ხიზრი ალდამოვი და ცრუ პროპაგანდაში რუსეთის სპეცსამსახურებს ადანაშაულებს

ლელა მჭედლიძე

*გუშინ თბილისში ჩამოვიდა რუსეთის დელეგაცია, რომელიც ქართველ კოლეგებთან ჩეჩნეთიდან დევნილების საკითხზე იმსჯელებს და მათი დაბრუნების მექანიზმებს განიხილავს. დელეგაციის შემადგენლობაში საგანგებო სიტუაციათა, საგარეო და შინაგან საქმეთა სამინისტროების, სასაზღვრო და უშიშროების სამსახურების წარმომადგენლები შედიან.*

დელეგაციის ხელმძღვანელის, საგანგებო საქმეთა მინისტრის მოადგილის იური ბრიაჟნიკოვის განცხადებით, ჩეჩნეთიდან დევნილების დასაბრუნებლად რუსული მხარის მიერ ყველა შესაძლო პირობაა შექმნილი. **"შერჩეულია კონკრეტული თავისუფალი შენობები; გარდა ამისა, შესაძლებელია დევნილთა დასაბრუნებლად ტრანსპორტის გამოყოფა და ეს ყველაფერი უფასოდ,"** - აღნიშნა ბრიაჟნიკოვმა. პირველ რიგში, რუსეთის ხელისუფლებას დასაბრუნებელთა სიაში ექიმებისა და მშენებლების ხილვა სურს. ეს იმ პროფესიის ხალხია, ვისი ნაკლებობაც ყველაზე მეტად იგრძნობა ჩეჩნეთში.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ეკოსკოპი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მსოფლიო ბანკის პროგრამის აღდგენა ეჭვქვეშაა

პირველი გვერდიდან

მაგრამ, პროგრამის აღდგენა-არაღდგენა საბოლოოდ დამოკიდებულია ფონდის მისიის შეფასებაზე, რომელიც ივნისის ბოლოს ჩამოდის საქართველოში, თუმცა, არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, ალბათობა იმისა, რომ მისია დადებით მოხსენებას გააკეთებს, თითქმის ნულის ტოლია. **"ფონდის მისია თბილისში დაახლოებით ერთ კვირაში ჩავა,** - განაცხადა პოლ ნოეჰაუზმა, - **ჩვენ ძალიან ბევრი საკითხი გვაქვს განსახილველი, პირველ რიგში კი - იმ მოთხოვნების შესრულება, რომელიც აუცილებელია პროგრამის მიმდინარეობის საბოლოო შეფასებისთვის. ამ ეტაპზე ნაადრევია იმის თქმა, ეს შეფასება დასრულდება თუ არა. ეს დამოკიდებული იქნება 2003 წლის მაკროეკონომიკური პარამეტრების შესრულებაზე და სტრუქტურული რეფორმების დაჩქარებაზე, განსაკუთრებით, ენერგო სექტორში. პარიზის კლუბში საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციის მხარდაჭერა სწორედ ამ შეფასების დასრულებაზე იქნება დამოკიდებული."**

დახმარების აღდგენა და, საერთოდ, მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები, სავარაუდოდ, მთავარი თემა იქნება ჯეიმს ვულფენსონთან შეხვედრაზეც. როგორც ცნობილია, ხელისუფლების მუშაობით უკმაყოფილო მსოფლიო ბანკმა, უკვე დიდი ხანია შეწყვიტა საქართველოსთვის სტრუქტურული გარდაქმნების მესამე კრედიტის გამოყოფა, რომელიც საბიუჯეტო ხარჯების დაფარვას ხმარდებოდა.

დღეს პარლამენტის თავმჯდომარეს საკმაოდ საინტერესო შეხვედრა ელის ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტში, სადაც საუბრის მთავრია თემა მომავალი საპარლამეტნო არჩევნები იქნება.

## ოპოზიციურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა განცხადება

ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ადასტურებს საქართველოს ხელისუფლებისა და პირადად პრეზიდენტის განზრახვას - არ დაუშვას საქართველოში ღია, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება.

ოპოზიციის მზადყოფნის მიუხედავად, მომხდარიყო პოზიციათა შეჯერება და კონსულტაციების შედეგად სამართლიანი მოდელის შემუშავება, სახელისუფლებო ბლოკმა, საღი აზრის სრული იგნორირებით, უარი თქვა ქვეყნისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის შეთანხმებაზე.

ოპოზიციური პარტიების მოთხოვნებს ფართო საზოგადოება შეუერთდა. დღეს უკვე სრულიად ცხადია, რომ ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის შემდგომი უგულებელყოფა საერთო-სახალხო საპროტესტო გამოსვლებს გამოიწვევს.

ოპოზიცია მზადაა, ცივილიზებული, კონსტიტუციური, მშვიდობიანი საარჩევნო პროცესის გზით შეცვალოს ხელისუფლება საქართველოში.

ოპოზიცია ადასტურებს მზადყოფნას, იბრძოლოს სამართლიანი საარჩევნო მოდელისთვის – როცა ყველა საარჩევნო სუბიექტს ექნება საშუალება, საკუთარი ამომრჩევლების ხმები დაიცვას. ასეთ მოდელს წარმოადგენს პარტიული პარიტეტის პრინციპი ან ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტება 2001 წელს მიღებული კანონის საფუძველზე, როცა უმაღლეს საარჩევნო ადმინისტრაციას უპარტიო, მიუკერძოებელი პროფესიონალები წარმოადგენენ.

ოპოზიციისთვის მიუღებელია გარიგებებისა და ვაჭრობის პროცესში მონაწილეობა. ჩვენი მიზანია აბსოლუტურად სამართლიანი და ობიექტური საარჩევნო არბიტრის არსებობა.

**დავით გამყრელიძე,**
"ახალი მემარჯვენეები".
**ზურაბ ჟვანია,**
"გაერთიანებული დემოკრატები".
**მიხეილ სააკაშვილი,**
"ნაციონალური მოძრაობა".

## ჯორჯ სოროსი იმედოვნებს, რომ ქართველი ხალხი რეჟიმს შეცვლის

**"ვფიქრობ, რომ ფონდის მოღვაწეობა წარმატებული იქნება, რადგან ქართველ ხალხს ძალიან უნდა რეჟიმის შეცვლა. და თუ ქართველები შეძლებენ არჩევნების კარგად ორგანიზებას და მივლენ არჩევნებზე, მაშინ ამ არჩევნების შედეგების მოპარვა შეუძლებელი იქნება,"** - განაცხადა ჯორჯ სოროსმა მოსკოვში, "ინტერფაქსში" გამართულ პრესკონფერენციაზე. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოში მისი ფონდი, 2 ნოემბერს, თავისუფალი დემოკრატიული არჩევნების უზრუნველყოფას შეძლებს. ცნობილმა ფინანსისტმა და ქველმოქმედმა აღნიშნა, რომ მას, ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან უთანხმოება ჰქონდა. მისი თქმით, ედუარდ შევარდნაძემ ფონდი საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევასა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერაში დაადანაშაულა.

**"თუმცა, ამ უთანხმოების დაძლევა მოხერხდა,"** - აღნიშნა ჯორჯ სოროსმა და დასძინა, რომ შევარდნაძესთან მას პირადი ურთიერთობები აკავშირებს და პატივს სცემს საქართველოს პრეზიდენტს. **"სატელეფონო საუბარში მას ავუხსენი, რომ ჩვენ მხარს ვუჭერთ არა პოლიტიკურ პარტიებს, არამედ - თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს."** - აღნიშნა სოროსმა.

**"ედუარდ შევარდნაძე დემოკრატი ლიდერია, რომელმაც საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნის ფორმირებაში ბევრს მიაღწია, მაგრამ ასევე ბევრი რამის განხორციელება ვერ შეძლო,"** - ასე აფასებს სოროსი შევარდნაძის მოღვაწეობას ბოლო ათწლეულში და იმ ძალებზეც მიუთითებს, რომლებიც ხელს უშლიან საქართველოს პრეზიდენტს: **"ამ ძალებიდან ყველაზე მნიშვნელოვანნი არიან შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს სხვა ძალოვანი უწყებები.**

*24 საათი*

### მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს გენერალური პროკურორის ყოფილი მოადგილე, დღემდე დიპლომატიურ სამსახურში მყოფი ანზორ ბალუაშვილი გუშინ სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. იგი კურირებას გაუწევს ეკონომიკურ დანაშაულთან, კონტრაბანდასთან ბრძოლას და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს. **24 საათი**

■ ■ ■

**თბილისი.** საკონსტიტუციო ცვლილებებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარე, ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრი ალექსანდრე შალამბერიძე აბსურდულს უწოდებს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებას, რომელიც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე საკონსტიტუციო ცვლილებების - ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის განსაზღვრის წინააღმდეგია. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტარი ვიტალი ხაზარაძე აცხადებს, რომ, თუ მსოფლიოში ცნობილი ბიზნესმენი და ფილანტროპი ჯორჯ სოროსი საქართველოს პოლიტიკაში ჩარევას და ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო პოზიციების დაფიქსირებას დაიწყებს, მაშინ სახელმწიფოში მისი საქმიანობა უნდა აიკრძალოს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**მინსკი.** ბელორუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო დარწმუნებულია, რომ ამერიკის მორიგი სამიზნე ირანი გახდება. "ირანზე საიერიშოდ ამერიკა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს გამოიყენებს," - აცხადებს ლუკაშენკო და ამიერკავკასიაში ფართომასშტაბიან სამხედრო დაპირისპირებას წინასწარმეტყველებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია „სოციალისტის" ლიდერის ირაკლი მინდელის ინფორმაციით, სახელისუფლებო ბლოკს „ახალი საქართველოსთვის" საარჩევნო სიებში პოლიტიკური სუბიექტების კვოტირების პრინციპებზე ჯერ არ უმსჯელია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვილნიუსიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნებული, თბილისის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური ასკვნის, რომ "სანამ საქართველოში შევარდნაძის კლანი არ დაიმსხვრევა, ქვეყანას მომავალი არ უწერია". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ერევანი.** ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია, სახელმწიფო მდივნის ევლადას იგნატავიჩუსის ხელმძღვანელობით, ორშაბათიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ვიზიტს იწყებს, რომლის დროსაც აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საგარეო პოლიტიკური უწყებების წარმომადგენლებთან პოლიტიკურ კონსულტაციებს გამართავს, - იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი ერევნიდან. **პრაიმ-ნიუსი**

## „მომავალ პარლამენტში შევარდნაძის რეანიმაცია მოხდება" - აცხადებს ნათელაშვილი

### შემოდგომაზე "ლეიბორისტები" კანცელარიასთან 50 ათას ამბოხებულს მიიყვანენ

ვერიკო თევზაძე

*"ჩვენ შეგვიძლია, 50 ათასი კაცი მივაყენოთ კანცელარიას ან პარლამენტს, მაგრამ ვითვალისწინებთ კლიმატურ პირობებს და ამას შემოდგომის ხავერდოვანი დღეებისთვის გადავდებთ," - ლეიბორისტული პარტიის ლიდერის საპროტესტო განწყობა გამოიწვია პრეზიდენტის გუშინდელმა რადიოინტერვიუმ, რომელშიც მან განაცხადა, რომ საქართველოში საკონსტიტუციო ცვლილებები, ჯერჯერობით, ნაადრევია.*

ნათელაშვილის პარტიული ცხოვრების გუშინდელი რიტმი სწორედაც რომ შეეფერებოდა იმ ორგანიზაციის ლიდერის სამუშაო დღეს, შრომის პარტია რომ ჰქვია: ბატონმა შალვამ გუშინ ზედიზედ ორი პრესკონფერენცია გამართა. სამ საათზე ნათელაშვილი ჟურნალიტებს პრეზიდენტის მიერ საკონსტიტუციო ცვლილებების უარყოფაზე ესაუბრა, 17 საათზე კი მასმედიას პოლონეთის ელჩთან ვიზიტის შედეგები გააცნო.

**"ყველა გამგებელი და გუბერნატორი ემზადება მაჟორიტარი დეპუტატობისთვის. მე გარწმუნებთ, რომ მათგან 50 ცალი მაინც მოხვდება პარლამენტში იმ ფულით, რომელსაც გადაიხდიან. ამას მიემატება კიდევ 50 ცალი პარტიული სიით გასული, პრეზიდენტი მათ კიდევ ოცს მიამატებს და მოხდება შევარდნაძის რეანიმაცია მომავალ პარლამენტში,"** - ნათელაშვილის აზრით, პრეზიდენტს, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებზე პრაგმატული მოსაზრების გამო ამბობს უარს, სურს ერთ პარლამენტში, ერთ პალატაში "მოხარშოს" პარტიული და მაჟორიტარი დეპუტატები და მათგან საკუთარი, მაფიოზური უმრავლესობა შექმნას.



შალვა ნათელაშვილი - პრეზიდენტისა და მისი "გიმნაზისტების" წინააღმდეგ.

**"თუ არ მოვაშორებთ მაჟორიტარებს ქვედა პალატას და არ ავყრით სენატში, საქართველოში ხელისუფლება ყოველთვის იქნება უტვინოების, რომლებიც იფიქრებენ საკუთარ სტომაქზე. თუ არ შევქმენით მინისტრთა კაბინეტი, რომელიც პრეზიდენტის გარეშე დაკომპლექტდება, ვერასოდეს შევარდნაძის მაფიას ვერ მოვიშორებთ ხელისუფლებიდან."**

პრეზიდენტის გუშინდელმა რადიოინტერვიუმ ნათელაშვილს კიდევ ერთხელ მისცა საშუალება, ოპოზიციის და შევარდნაძის ალიანსი ემტკიცებინა: **"პრეზიდენტმა გააგრძელა გაერთიანებული ოპოზიციის, ყოფილი მოქავშირელების, თავისი გიმნაზისტების ესტაფეტა, რომლებიც ასევე წინააღმდეგნი არიან საკონსტიტუციო ცვლილებების."** პირველ პრესკონფერენციაზე ბატონმა შალვამ ბრძანა, რომ იგი დასავლეთის წინაშე ამხელს როგორც შევარდნაძეს, ასევე პრეზიდენტის "გიმნაზისტებს": **"შევარდნაძეს არანაირი რეფორმების გატარება არ სურს, ოპოზიციონერები არანაირი ანტიშევარდნაძისტები არ არიან, ისინი ერთ სანგარში სხედან, ოღონდ, ჯერჯერობით, ნაყოფი ვერ მივიღეთ, ვერ გამოჩეკეს... ამ გამოჩეკვას არჩევნებისთვის ვარაუდობენ და იმედია, მანამდე გარიგებას მოახერხებენ."**

რიგით მეორე პრესკონფერენციაზე ნათელაშვილმა ბრძანა, რომ პოლონეთის ელჩს იაცეკ მულტანოვსკის გადასცა პოლონეთის მთავრობასთან თხოვნა, რომ რაც შეიძლება მეტი უცხოელი დამკვირვებელი მოავლინოს საქართველოს არჩევნებზე. ნათელაშვილის და მულტანოვსკის საუბარი ეუთო-ს როლის გაზრდას არჩევნებში, პოლონეთის და საქართველოს კულტურულ ურთიერთობების გააქტიურებას შეეხო.

ნათელაშვილი მოარულ ხმებს კინორეჟისორისა და მწერლის, გოდერძი ჩოხელის შესაძლო გალეიბორისტობაზე არ უარყოფს. მისი თქმით, იყრის თუ არა ჩოხელი კენჭს "ლეიბორისტების" სიით, საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ამ საკითხზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები.

ბატონი შალვა შემოდგომის დასაწყისში კანცელარიის და პარლამენტის შენობების წინ 50 ათასი კაცის გამოყვანას აპირებს. შემოდგომის დასასრულისთვის იგი ამომრჩეველს საპარლამენტო უმრავლესობაში მოსვლას და თავისი საკონსტიტუციო ცვლილებების გატარებას ჰპირდება. ამ ზაფხულს კი ნათელაშვილი აგრძელებს საქართველოში აკრედიტებულ ელჩებთან შეხვედრათა ციკლს არჩევნების თემაზე, დროდადრო "ლეიბორისტების" ლიდერი ქოქოლას აყრის პრეზიდენტს, ხელისუფლებას და სვამს რიტორიკულ შეკითხვას: **"საქართველოში ცხოველთა დაცვაზე მიღებულია არაერთი საერთაშორისო კონვენცია. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ციხეში ჩაგსვამენ, ცხოველი თუ აშიმშილე და ისე მოკალი. რატომ არ აკისრია რაიმე ვალდებულება და პასუხისმგებლობა ამ ხელისუფლებას, რომელიც ჩვენს ხალხს ათი წელია, აშიმშილებს?"**

## ვინ რა მოიგო 3 ივნისით

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება სახელისუფლებო ბლოკს და "აღორძინებას", მათი ლიდერები სამი ივნისის მიტინგამდეც აცხადებდნენ, რომ ცესკო უნდა გაუქმდეს, თუმცა მათ საკუთარი წევრები კომისიიდან დღემდე არ გამოუწვევიათ და ამის გაკეთებას არც ახლა აპირებენ. ყველა ერთხმად ამტკიცებს - კომისია უნდა შეიცვალოს, თუმცა, კითხვაზე - როგორ და, რაც მთავარია, როდის - პასუხი არ არსებობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საგაზაფხულო სესიის დასრულებამდე მხოლოდ ერთი სასეიო კვირაღა რჩება, რთული დასაჯერებელია, რომ სახელისუფლებო ფრაქციებმა ამ საკითხის განხილვა დაიწყონ.

საგულისხმოა ფრაქცია "სოციალისტის" ლიდერის ირაკლი მინდელის განცხადება, რომელიც ამბობს : **"თუ პრეზიდენტი მიმდინარე კვირას პარლამენტის რიგგარეშე სხდომას დანიშნავს, საკანონმდებლო ორგანო მხოლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კანონპროექტს განიხილავს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ დღის წესრიგში საარჩევნო კოდექსის საკითხიც მოხვდეს."** ეს კი ნიშნავს, რომ ამ კვირას საარჩევნო კოდექსი პარლამენტში აქტუალური არ იქნება. მომავალ სასესიო კვირასაც პოზიცია ყველაფერს იღონებს, რათა ოპოზიციის მოთხოვნას წაუყრუოს და ცენტრალური საარჩევნო კომისიის პარიტეტული ნიშნით დაკომპლექტების მოდელის განხილვის მაგიერ, "მრეწველი" ვახტანგ ხმალაძის პროექტი "შემოაგდოს", რომელიც ასე გამოიყურება: 15-კაციანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის 6 წევრს სახელისუფლებო ბლოკი დანიშნავს, ხოლო 9 წევრს - ოპოზიცია. აქედან სამ წევრს "აღორძინება" დანიშნავს, ორ-ორს - "ახალი მემარჯვენეები", "ნაციონალები", "დემოკრატები" და "მრეწველები", თითო-თითოს კი – " ლეიბორისტები" და "ერთობა" (ანუ, არანაირი პარიტეტი).

ასე რომ, სამ ივნისამდე და სამი ივნისის შემდგომაც ვითარება არ იცვლება: ხელისუფლება ნელა, მაგრამ საკმაოდ თავდაჯერებულად მიდის მიზნისაკენ - ცესკო-ში სრული გავლენის მოპოვებისაკენ. ამის მიუხედავად, ოპოზიციურ პარტიათა ნაწილი სამი ივნისის აქციას მაინც წარმატებულს უწოდებს და იმ შედეგებზე საუბრობს, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი **"საბოლოო გაერთიანებისაკენ გადადგმულ ნაბიჯებში"** გამოიხატება. თუმცა, ისიც ცხადია, რომ მათ არჩევნებში გასამარჯვებლად აუცილებელი ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი – საარჩევნო ადმინისტრაციებზე გავლენა ხელიდან ეცლებათ.

ამ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა "ახალი მემარჯვენეების" წევრის დავით კოღუაშვილის კომენტარი, რომელიც ოპოზიციონერთა საერთო შეფასებისაგან აშკარად განსხვავებულია.

**"სამი ივნისის მიტინგმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. რთულია იმის თქმა, კონკრეტულად რამ გამოიწვია ეს წარუმატებლობა. ვფიქრობ, რომ შეცდომა დაუშვა როგორც სახელისუფლებო ბლოკმა, რომელმაც ვითარება ისე დაძაბა, რომ მიტინგი აუცილებელი გახდა, და ჩვენც, ოპოზიციურმა პარტიებმაც, რომლებმაც, როგორც აღმოჩნდა, რაღაც მომენტები ვერ გავითვალისწინეთ. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ძალა და ბერკეტები ხელისუფლების ხელშია და, აქედან გამომდინარე, მათ უფრო მეტი საშუალება ჰქონდათ, დათმობაზე წამოსულიყვნენ. რაც შეგვეხება ჩვენ: ის მოთხოვნები, რომელიც დასაწყისში გაჟღერდა და რომელიც მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გაუქმებას ეხებოდა, საბოლოოდ ისეთ განცხადებებში გადაიზარდა, რომელიც, საბოლოო ჯამში, ვერანაირად ვერ შეუწყობს ხელს შემდგომ შეთანხმებასა და კონსენსუსს. ვინმეს ვადამდელი გადაყენებისაკენ მოწოდება საქმეს აფუჭებს და საერთო ინტერესებს ვნებს. არ ვიცი, პირველად ვისი ინიციატივა იყო ამ მოწოდების გახმოვანება, მაგრამ ამან რა შედეგი მოიტანა, ყველამ დავინახეთ. ყველამ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რეალობა. ხალხიც საკმარისი რაოდენობით არ მოვიდა, რადგან მოსახლეობაში ნიჰილიზმია. ადამიანები იმედგაცრუებულები არიან როგორც პოზიციის, ალბათ, ასევე ოპოზიციის ქმედებებით. რაც შეეხება ცესკო-დან ოპოზიციონერ წევრთა გამოწვევას. ამას პროცესების დაჩქარება უნდა გამოეწვია და ცესკო მთლიანად უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენდა სამწუხაროდ, წინა შეცდომები ვერ გავითვალისწინეთ. ჩემი აზრით, ეს აქცია აუცილებლად უნდა გახდეს მსჯელობის საგანი ოპოზიციურ პარტიებს შორის."**

როგორც ვთქვით, ჩვენს რესპოდენტებს შორის დავით კოღუაშვილი ერთადერთი აღმოჩნდა, რომელმაც 3 ივნისი საკმაოდ კრიტიკულად შეაფასა და ოპოზიციის შეცდომებზე ალაპარაკდა. მისგან განსხვავებით, საკმაოდ კმაყოფილები იყვნენ "გაერთიანებული დემოკრატებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები.

გიორგი გაბაშვილი, "გაერთიანებული დემოკრატების" გენერალური მდივანი:

**"ჩემი აზრით, ძალიან წარმატებული აქცია იყო. ბევრი ადამიანი მოვიდა. თანაც, საზოგადოებისთვის ადვილი აღსაქმელი არ არის ცესკო-ზე საუბარი, მაგრამ ადამიანებმა გააცნობიერეს, რომ ეს ეხება მათ არჩევანს და ამიტომაც დაგვიჭირეს მხარი. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი აქცია, რადგან ოპოზიციის ერთად დგომამ მოიტანა ის, რომ ოპოზიცია გაერთიანდა და შეიქმნა საერთო-სახალხო მოძრაობა, რომელიც დღითი-დღე აქტიურდება. თანაც, მოხდა აქტუალიზება იმ საკითხისა, რასაც დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები ეწოდება. კონკრეტულ შედეგზე მეკითხებით? გიპასუხებთ, რომ ეს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებაა და თუ ხელისუფლება ამ საზოგადოებრივ აზრს, უხეშად რომ ვთქვათ, შეაფურთხებს და მას არ გაითვალისწინებს, ყველა ყველაფერს დაინახავს. ვერ დავეთანხმები დათო კოღუაშვილის შეფასებას. ამ აქციის მიზანი არ იყო ადამიანების მაქსიმალური რაოდენობის ქუჩაში გამოყვანა და საერთო-სახალხო მოძრაობის დაწყება იმავე დღეს. ამ აქციის მიზანი იყო საკითხის აქტუალიზება. შევარდნაძის გადადგომის მოთხოვნას რაც შეეხება, ეს არ იყო ამ მოძრაობის დაწყების პროვოცირების სურვილი. ეს არის ყველა იმ ძალის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი, რომელიც იმ დღეს იქ იდგა".**

ლადო ჭიპაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა":

**"აბსოლუტურად წარმატებული აქცია იყო. ჩვენი მხრიდან თავიდანვე იყო გამოცხადებული, რომ ეს იყო გამაფრთხილებელი აქცია და იმ პროცესის დაწყება, რასაც საერთო-სახალხო მოძრაობა ეწოდება. რა შედეგი გამოიღო? ცესკო-ს წევრთა ნაწილი გადადგა. მერე რა, რომ ისინი ჩვენი მხარდამჭერები იყვნენ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ დღევანდელი ცენტრალური საარჩევნო კომისიის დღეები დათვლილია, ის წელშია გადატეხილი და ეს რომ ასეა, სულ რაღაც ერთ კვირაში დარწმუნდებით. იმ დღეს მოხდა ყველაზე მთავარი – ერთიანი გახდა ოპოზიციური პარტიების სულისკვეთება სამართლიანი დემოკრატიული არჩევნების გამართვისთვის. ეს მაძლევს იმის იმედს, რომ სვლა ამ მიმართულებით გაგრძელდება. შევხედოთ სიმართლეს თვალებში: ის აქცია, რეალურად, სამმა პარტიამ გამართა. და საკმაოდ დიდ წარმატებად მიმაჩნია ის, რომ ჩვენ შევძელით ქუჩაში გამოგვეყვანა 6-7 ათასი ადამიანი იმ მოთხოვნით, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, ბევრისთვის რთული გასაგებია და რომელიც კონკრეტულ კანონში კონკრეტულ ცვლილებას ეხება. არც მქონდა იმის იმედი, რომ იმ დღეს ამდენი ადამიანი მოვიდოდა. ჩვენ მალე გავმართავთ აქციას და შევარდნაძის გადაგომას მოვითხოვთ. მასზე რომ არ მოვიდეს 15 ათასი ადამიანი, მაშინ მე მას წარუმატებლად ჩავთვლი. რაც შეეხება "ახლების" შეფასებას, ისინი ამ აქციისაგან ყველაფერს მოითხოვდნენ და ამიტომ მიაჩნიათ წარუმატებლად. ჩვენ კი მას ვაფასებთ, როგორც შუალედურ აქციას. მთავარია, რომ პროცესი დაიწყო. ჩვენი მოძრაობა გრანდიოზული მიტინგით დაგვირგვინდება."**

ასე და ამგვარად – ოპოზიციის შეფასება სამ ივნისთან მიმართებაში არაერთგვაროვანია. თუმცა, მთავარი ის არის, რომ ამ დღის შემდეგ სახელისუფლებო ფრაქციების დამოკიდებულება საარჩევნო კოდექსისადმი არ შეცვლილა და მის წევრებსა და, მთლიანად, პარლამენტზე ამ აქციას განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია.

შესაძლოა, ოპოზიციამ შეცდომა 2002 წლის ზაფხულშივე დაუშვა, როცა, ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაციების შეცვლაზე არ იზრუნა.

## საარჩევნოდ ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა

### რატომ იცავს მკალავიშვილს ზოგიერთი პოლიტიკოსი

გიორგი ასანიშვილი

"მკალავიშვილის დევნით ხდება მართლმადიდებლობის შევიწროება", - ხმამაღლა გაჰყვირიან პატრიოტულ-რელიგიურ დროშამომარჯვებული პოლიტიკოსები. არადა, დღესავით ნათელია, რომ ბოლო პერიოდში ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის მედროშე სწორედ ბასილ მკალავიშვილი იყო. ამ "წვრილმანისთვის" ხაზის გადასმას კი ზოგიერთი ძალიან გულდასმით ცდილობს და მოკვეთილი მღვდელი და დედა-ეკლესია, რატომღაც, ერთ სიბრტყეში აჰყავს.

**"მართლმადიდებელი ეკლესიისგან მკალავიშვილის მოკვეთა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანი მართლმადიდებლობისთვის არ იბრძვის(?). შეიძლება, ეკლესიას შიგნით პრობლემები ჰქონდეს და ესა თუ ის მღვდელი განკვეთოს, მაგრამ არავის აქვს უფლება, ეკლესიიდან განკვეთილი ადამიანი დასაჯოს იმისთვის, რომ მან რელიგიური ექსტრემიზმით გაჟღენთილი კონტრაბანდული ლიტერატურა დაწვა,"** - აცხადებს "აღორძინების" ერთ-ერთი ლიდერი სანდრო ბრეგაძე. მის ნათქვამში ცოტა უცნაური ტოლობის ნიშნებია დასმული: არავინ დავობს იმაზე, რომ ექსტრემიზმი და კონტრაბანდა კანონით უნდა დაისაჯოს, მაგრამ ისიც ხომ აქსიომაა, რომ კანონის აღსრულება სამართლდამცავი ორგანოების მოვალეობაა და არა ამა თუ იმ ინდივიდისა, მისი მხრიდან როგორი კეთილი სურვილებითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი.

იმ არგუმენტის მოშველიებამ, რომ საქართველოში მართლმსაჯულება კორუმპირებულია და მისი გადაწყვეტილებების გადასინჯვა ვეტოდადებული არ არის, შეიძლება, ძალიან საშიშ გზაზე დაგვაყენოს: აღნიშნული ზოგადი მოტივაციით, სასამართლოს ნებისმიერი ვერდიქტის ეჭვის ქვეშ დაყენება შეიძლება.

**"მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ექსტრემისტული რელიგიური სექტების მოღვაწეობა აკრძალულია, ჩვენთან კი სააკაშვილი, ბერძენიშვილი და მათი სხვა თანაგუნდელები, ეტყობა, იმდენად არიან დახარბებულნი უცხოეთიდან წამოსულ კაპიტალს, რომ არავის ერიდებიან და მათ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ეკვრებიან,"** - განაგრძობს სანდრო ბრეგაძე.




საარჩევნოდ ქულების შეძენა მკალავიშვილზეც შეიძლება.

პარლამენტარის მსჯელობა ამ შემთხვევაშიც არალოგიკურად გამოიყურება: თუ მას "ექსტრემისტული რელიგიური სექტების მოღვაწეობა" აშფოთებს და მათი აკრძალვა უნდა, ვინ უშლის ხელს? კანონმდებელი თავად არის და შეუძლია, პარლამენტში შესაბამისი კანონპროექტი წარადგინოს.

რაც შეეხება, სააკაშვილისა და მისი თანაპარტიელების "ბრძოლას მართლმადიდებლობის წინააღმდეგ", თუ ასეთი რამ ბუნებაში არსებობს, ამის შესახებ განცხადებებს, ალბათ, საპატრიარქოს პრესსამსახური უნდა აკეთებდეს და არა "ნაციონალების" კონკურენტი პოლიტიკოსი.

ისევე, როგორც სანდრო ბრეგაძე, მისი კოლეგა გურამ შარაძეც ბასილ მკალავიშვილს წარმოაჩენს, როგორც მხოლოდ მსხვერპლს და არა როგორც სასამართლოს მიერ აღიარებულ, დანაშაულის ჩამდენ სუბიექტს. **"ეს არის პოლიტიკური დევნა. მე მკალავიშვილს ვიცავ, როგორც საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც დევნიან ე. წ. პოლიტიკოსები და სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლები: მიხეილ სააკაშვილი, რუსუდან ბერიძე, ნანა დევდარიანი. ისინი აბეზღებენ საქართველოს მსოფლიოს წინაშე, რომ ჩვენს ქვეყანაში იდევნებიან იეღოველები და სხვა სექტები. სინამდვილეში კი, სწორედ ისინი დევნიან და ავიწროებენ მართლმადიდებლებს,"** - აღნიშნავს შარაძე.

როგორც ხედავთ, ამჯერადაც იგივე სურათია: დეპუტატი ერთ სიტყვასაც კი არ ამბობს კანონმორჩილებასა და კანონის უზენაესობაზე. ამის ნაცვლად, საუბარია მსხვერპლის დაცვაზე, ჩაშვება-დაბეზღებაზე და ა.შ.

მკალავიშვილის პოლიტიკურმა ადვოკატებმა, ალბათ, იციან, რომ თავიანთი "კლიენტის" დაცვით და მისთვის მართლმადიდებლის მანტიის წამოსხმით, პირველ რიგში, თავად მართლმადიდებელ ეკლესიას აყენებენ ზიანს, მაგრამ მაინც დგამენ ასეთ ნაბიჯს. თუმცა, არც ეს არის ძალიან გასაკვირი: წინასაარჩევნო პერიოდში "ამ ქალაქში ყველაფერი მოსულა"!

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პრეზიდენტი კვლავ ალამაზებს რეალობას

თამარ ხორბალაძე

*გასულ კვირას პოლიტიკური მოვლენების ცენტრმა პარლამენტიდან გარეთ გადაინაცვლა – საპროტესტო გამოსვლები, საზოგადოებრივი შეკრებები, ოპოზიციის გაერთიანება – ეს ყველაფერი და, ამასთან ერთად, გაერო-ს დამკვირვებლების გატაცება, განსაკუთრებით საშიში პატიმრების გახშირებული გაქცევები საპატიმროებიდან, ბიუჯეტის გარღვევა, ნამდვილად ქმნის სახიფათო ფონს საქართველოში. გუშინდელ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა კომენტარები სწორედ ამ საკითხებზე გააკეთა.*

## საზოგადოების პასუხად საზოგადოების სახელით...

საქართველოს პრეზიდენტის კომენტარს განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ პრეზიდენტის სახელზე დაწერილი მიმართვა-პეტიციის ავტორები – ისინი, ვინც ქვეყნის პრეზიდენტს სამართლიანი არჩევნების ჩატარება მოსთხოვა.

საქართველოს პრეზიდენტს გუშინ თავად პეტიცია არ უხსენებია, თუმცა ამ შეხვედრას მაინც გამოეხმაურა:

**“მე მინდა გავიხსენო შოთა ნადირაშვილის სიტყვები. მე ვიცი მისი აზრის შესახებ და მის დამოკიდებულებაზე პრეზიდენტისადმი, მაგრამ როცა არსში ერევა ემოცია, იქ ჭეშმარიტება იკარგება, -** თქვა შევარდნაძემ და დაამატა, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს იგი თავადაც ხვდება, - **ოღონდ, ეს შეხვედრები საქმიანია. გახსოვთ, შევხვდი ექიმებს, შეიქმნა მეგზევეების საზოგადოება; გაიხსენეთ შეხვედრა მეცნიერებათა აკადემიაში, იქ იყვნენ ცნობილი მეცნიერები, ინსტიტუტების რექტორები; ამ ადამიანებს ესმით, რომ ხელისუფლებამ გააკეთა ის, რისი გაკეთებაც შეძლო.”**

**“ჩვენ კარგი გავაკეთეთ, როცა მხარი არ დავუჭირეთ მეცნიერებათა აკადემიაში კარდინალურ ცვლილებებს,”** – ეს სიტყვები კი გაფრთხილებასავით ჟღერდა.

თუმცა, გაფრთხილება ამით არ ამოწურულა. ედუარდ შევარდნაძემ საზოგადოებას და პოლიტიკურ ძალებს სამოქალაქო დაპირისპირების გამოცდილება შეახსენა და მისი თავიდან აცილება ურჩია.

აქვე, საქართველოს პრეზიდენტმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოიმარჯვა და სცადა ოპოზიციისთვის და მათი მხარდამჭერებისთვის აეხსნა, რომ ისინი უმცირესობაში არიან :

**”მოსახლეობის 42 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დაძაბულობა საშიშ ზღვარს აღწევს და, რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია, ამის მიზეზად 63 პროცენტზე მეტი წინასაარჩევნო კამპანიას ასახელებს. გამოკითხულთა თითქმის 70 პროცენტის აზრით, 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისათვის მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდება. 77 პროცენტი მიიჩნევს, რომ ნებისმიერი კანონი პარლამენტმა უნდა მიიღოს პარლამენტშივე მიმდინარე დისკუსიის და ორმხრივი კომპრომისების შედეგად. გამოკითხულთა 80 პროცენტის აზრით, გარკვეული პროცესები შეიძლება ქაოსსა და სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაზარდონ”, -** ამ შემაშფოთებელი მონაცემების გათვალისწინებით, ედუარდ შევარდნაძე ყველა პოლიტიკურ ძალას მიმართავს, რომ მოსახლეობას ეს საშინელი შიში ერთად მოუხსნან. **"ამგვარი ნევროზულობის პირობებში შეუძლებელია არჩევნების მშვიდად და ობიექტურად ჩატარება,"** – ამბობს იგი.

## საპროტესტო გამოსვლებზე...

ოპოზიციის საპროტეტო გამოსვლებს და, ზოგადად, ოპოზიციას ედუარდ შევარდნაძე უკვე დამკვიდრებული ტაქტიკით – ირონიით პასუხობს.

**“მომავალი საპარლამენტო არჩევნების შედეგი დამოკიდებული იქნება არამარტო რეკლამირებულ აქციაზე, არამედ მოსახლეობის თვითშეგნებასა და რწმენაზე,”** – ამბობს პრეზიდენტი და ხაზს უსვამს, რომ არ აპირებს ჩაებას **“იმ ოპონენტებთან კინკლაობაში, ვისაც ემოციების გარდა, ჯერ არაფერი გამოუმჟღავნებიათ და არც პოზიტიური პროგრამები შემოუთავაზებიათ“.**

საქართველოს პრეზიდენტმა **”ოპოზიციაში არსებული არაერთსულოვნება”** დაასახელა საარჩევნო კოდექსზე მოლაპარაკებების შემაფერხებლად.

აქვე იხსენებს იგი სხვადასხვა ქვეყნების ინტერესებს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და ამბობს, რომ არჩევნების შესაძლო გადადების ან ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ საუბრები უსაფუძვლოა. **”საქართველოში საპარლამენტო და, შემდგომ, საპრეზიდენტო არჩევნებს დიდი ინტერესით ელიან სხვადასხვა სახელმწიფოები, რომელთაც თავიანთი ინტერესები აქვთ საქართველოში. ყველა მიხვდება, ვიზეც ვამბობ..."** - განაცხადა შევარდნაძემ და დასძინა, რომ ყველაფერი შეთანხმებით უნდა გადაწყდეს.

აქვე ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ოპოზიცია არ ეხმაურება მის წინადადებას არჩევნების გაყალბების ან ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაწესების შესახებ.

## საკონსტიტუციო ცვლილებებზეც...

ედუარდ შევარდნაძემ გუშინ საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატორი ძალები გააფრთხილა, რომ გაუაზრებელმა გადაწყვეტილებებმა, შესაძლოა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას შეუშალოს ხელი.

**“კონსტიტუციასთან ნებისმიერი შეხება დაფიქრებას საჭიროებს და შეცდომის დაშვება, შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს. აღნიშნულ საკითხში განმსაზღვრელი არ შეიძლება იყოს ხმათა მექანიკური უმრავლესობა. ისინი, ვინც საკონსტიტუციო ცვლილებების ინიციატივით გამოდიან, ძალიან კარგი და საიმედო ხალხია, მაგრამ ნებისმიერი დამატება კონსტიტუციაში, საერთო სახალხო და საზოგადოებრივი კონსენსუსის საფუძველზე უნდა განხორციელდეს”,** - განაცხადა შევარდნაძემ.

მისი თქმით, ადმინისტრაციული მოწყობის საკითხთან დაკავშირებული კონსტიტუციის გარდამავალი დებულება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე ღიად უნდა დარჩეს.

## და ეკონომიკურ პერსპექტივებზე...

ყველაფერი აღნიშნულის და გასულ კვირას პარლამენტში გამართული საბიუჯეტო განხილვის ფონზე, ალბათ, ლოგიკური იქნებოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტს საკუთარი მთავრობისადმი შენიშვნები გამოეთქვა. მან კი ეკონომიკურ რეფორმებზე, გასულ წელთან შედარებით გაზრდილ შემოსავლებზე, ევროკავშირის დახმარების მნიშვნელობაზე ისუბრა.

აქვე კომენტარი გააკეთა “გაზპრომის“ ანუ რუსული ენერგეტიკული ინტერესების საქართველოში გატარებასთან დაკავშირებით :

**“ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის პროექტს არავითარი საფრთხე არ ემუქრება. ყველა, ვინც ამ პროექტის გამო წუხდა, ამაში უნდა დამერწმუნოს,"** - აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი კვლავ თავის პოზიციაზე რჩება და რუსეთიდან საქართველოში ენერგორესურსების იმპორტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს. მისი თქმით, ამ მიმართულებით რუსეთთან თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

**“ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, რომელიც საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია, უპრობლემოდ აშენდება, თუმცა ამას 2-3 წელი დასჭირდება, მანამდე კი, საქართველომ უნდა ისარგებლოს იმ წყაროებით, რითაც დღემდე ვსარგებლობთ,"** - განაცხადა შევარდნაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში, გარდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფნისა, ჩრდილოეთ-სამხრეთის ენერგეტიკული დერეფანიც აუცილებლად იარსებებს.

პრეზიდენტს გუშინდელ რადიოინტერვიუში, საქართველოში რუსული კომპანია “გაზპრომის" შესაძლო შემოსვლასთან დაკავშირებით დასავლეთის ნეგატიური რეაქციის თაობაზე კონკრეტულად არაფერი უთქვამს.

# გამტაცებლებთან მოლაპარაკებები ჩაიშალა

გუშინ, გვიან ღამით, გაერო-ს დამკვირვებელთა და მათი ქართველი თარჯიმნის გამტაცებლებსა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. თუმცა, მძევალთა გათავისუფლება მაინც ვერ მოხერხდა. გამტაცებლებმა ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ხელშეუხებლობის გარანტია, გასასვლელი დერეფანი და 3 მილიონი დოლარი მოითხოვეს. ამის შემდეგ, სასწრაფოდ ჩატარდა თათბირი, რომელზეც გაერო-ს დამკვირვებელთა უვნებლად გათავისუფლების გეგმა დაისახა და მოლაპარაკების მეორე რაუნდის წინადადებები შემუშავდა. გამტაცებლებმა კი ახალ მოლაპარაკებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს და საკუთარი ულტიმატუმის შესრულება მოითხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ აქამდე საუბარი იყო გატაცებულთა სისხლისღვრის გარეშე გათავისუფლებაზე, გუშინ, მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ, კოდორის ხეობაში მობილიზებული ძალები თითქმის დარწმუნებულები იყვნენ, რომ სპეცოპერაციის ჩატარება გარდაუვალია.

# ჩეჩნებს აჩქარებენ, ვითომ მათი სამშობლო აღორძინებას იწყებს

პირველი გვერდიდან

შარშანდელი აღრიცხვის მონაცემებით, საქართველოში 4205 დევნილია რეგისტრირებული. რუსული მხარე დევნილთა დაბრუნების საკითხის განხილვაში გაერო-ს აქტიურად ჩართვის წინააღმდეგი არ არის. ჩეჩენთა წარმომადგენლის მექა ხანგოშვილის განცხადებით, დევნილებს, ჩეჩნეთში დაბრუნებაზე მეტად, მესამე ქვეყანაში გამგზავრების სურვილი აქვთ. როგორც იგი ამტკიცებს, **“ჩეჩნეთიდან დევნილებს, ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, რუსეთიდან არანაირი დახმარება არ მიუღიათ და მას, ძირითადად, ნორვეგიის ლტოლვილთა კომისარიატისა და გაერო-სგან ღებულობდნენ.”**

მოსკოვიდან ჩამოსული დელეგაციის წევრები დღეს პანკისში გაემგზავრებიან. მათ უსაფრთხოებას ქართველი ძალოვნები უზრუნველყოფენ. დევნილებთან ერთად, მათ პანკისში ჩეჩნეთის წარმომადგენელი ხიზრი ალდამოვიც უნდა დახვდეს, რომელიც ხეობაში გუშინ გაემგზავრა. როგორც მან “24 საათთან” საუბარში განაცხადა, ხეობაში ჩასვლა მას ლტოლვილებმა სთხოვეს.

**“ჩამოვედი იმის გასარკვევად, თუ რა სიტუაციაა ხეობაში. როგორც მეუბნებიან, აქ ხალხი დადის და დევნილების ჩეჩნეთში დასაბრუნებლად აგიტაცია-პროპაგანდას ეწევა. ტყუილებს ყვებიან და ისეთ მდგომარეობას ხატავენ, თითქოს ჩეჩნეთი აღორძინდა. თუ ასეა, მაშინ რატომ არ გაუჩნდათ დაბრუნების სურვილი ინგუშეთში ჩასახლებულ დევნილებს? მათი სახლები ხომ იქვეა, 500 მეტრში? ასეთ პროპაგანდას პუტინის და კადიროვის ხალხი ეწევა - რუსეთის სპეცსამსახურების მიერ შემოგზავნილი აგენტები. ვაღიარებ, რომ ჩეჩენი დევნილების აქედან წასვლით საქართველოს ბევრი პრობლემა მოეხსნება. მაგრამ აქ ყურადღებაა საჭირო. უნდა ვიცოდე იმ ხალხის ვინაობა, ვინც აქედან წასვლას გადაწყვეტს. იმიტომ, რომ ხალხი, რომელიც საქართველოდან ასე გადასვლას გადაწყვეტს, უკვე ლტოლვილის სტატუსის გარეშე რჩება. ეს ხალხი უკან დაბრუნებას ველარ მოახერხებს.”**

რეპორტაჟი

# მიხედეთ თქვენს ქვეყანას და მოგვხედეთ ჩვენც

პირველი გვერდიდან

ვერ შეუსრულეს ანდერძი შამილს მთიელებმა. როგორც კი შანსი მიეცემოდათ, მწარედ უბრუნებდნენ ხელს რუსებს. მათი მთები ყოველთვის სავსე იყო აბრაგებით და რუსების წინააღმდეგ მებრძოლთა ყველაზე საიმედო თავშესაფრად ითვლებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ჩეჩნებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

1994 წლის 11 დეკემბერს რუსეთმა ფართომასშტაბიანი სამხედრო აქცია წამოიწყო, რომელიც ჩეჩნეთის პირველ ომად იწოდება და რომელიც 1996 წელს ხასავიურტში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით დამთავრდა. რუსეთმა ჩეჩნეთიდან ჯარები გაიყვანა.

სწორედ ამ პირველი ომის შემდეგ დაიწყო ჩეჩნეთში სხვადასხვა ისლამური დაჯგუფებების ექსპანსია, რამაც ჩეჩენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას რელიგიური ექსტრემიზმის ელფერი მისცა. გამოჩნდნენ ვაჰაბიტები, რომელთაც მშვენივრად გამოიყენეს თავისუფლებისმოყვარე მამაცი მთიელების მეომრული სული და ენერგია. ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა მუსულმანი ფუნდამენტალისტების გავლენით "ურწმუნოთა წინააღმდეგ" მიმართულ აგრესიად იქცა, რამაც არამუსულმანი მოკავშირეების უნდობლობა გამოიწვია - თუ პირველი ომის დროს მთელი ევროპა ღიად უჭერდა ჩეჩნეთს მხარს, მეტიც, მოხალისეები ჩამოდიოდნენ უკრაინიდან, ბალტიის ქვეყნებიდან და პოლონეთიდანაც კი, მეორე ომში ჩეჩნეთი მთელ მსოფლიოში "ალ-ქაიდას" და "ალ ჯამაათ ალ ისლამის" მთავარ მოკავშირედ მოიაზრება და არა უსამართლო ომში დასჯილ, თავისუფლებისათვის მებრძოლ ერად. ვაჰაბიტებისა და სხვა აგრესიული ისლამური მიმდინარეობის გავრცელებამ ჩეჩნეთის მომავალზე ისეთივე გამანადგურებელი გავლენა იქონია, როგორც რუსულმა ბომბებმა. ომში განწყვეტილი, ისედაც მცირერიცხოვანი ერი ტრადიციული ისლამის მიმდევრებად და ე.წ. "სუფთა ისლამისტებად", ვაჰაბიტებად გაიყო - ვაჰაბიზმი ეწინააღმდეგება კავკასიურ ადათ-წესებს, რამაც განსაკუთრებით უფროსი თაობა გააღიზიანა. მოხდა რამდენიმე სისხლისმღვრელი შეტაკება, რასაც შემდგომი შურისძიება - "ჭირ ლიეხნ" მოჰყვა, სისხლი ჩამოვარდა რამდენიმე საველე მეთაურს შორისაც, რის შემდეგაც მტრის წინააღმდეგ საერთო ძალებით ვერასოდეს იბრძოლებდნენ.

ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები, ბუნებრივია, საქართველოზეც აისახა. ჩვენი ქისტების დიდი უმრავლესობა თავის ისტორიულ სამშობლოში იყო გადასული სასწავლებლად თუ სამუშაოდ და იქ განვითარებულ მოვლენებშიც აქტიურად იყო ჩაბმული.

ხეობაში დაბრუნებულ უმრავლესობას თან ჩამოჰყვა ომისთვის დამახასიათებელი ყველა უბედურება: დაპირისპირება, უთანხმოება, ფული, რომელსაც სხვადასხვა არაბული "საქველმოქმედო" ორგანიზაციები უხვად არიგებდნენ. ფულს ცოტა ხანში არაბებიც ჩამოჰყვნენ, უკონტროლო ხეობაში მშვენიერი თავშესაფარი მოიწყვეს და მიმდევრებიც გაიჩინეს - ძირითადად წიგნისა და განათლების გარეშე და საკუთარი სახელმწიფოსაგან – საქართველოსაგან - ბედის ანაბარა მიტოვებული ახალგაზრდები. გაიხსნა მუსულმანური სკოლები, აშენდა ახალი, ვაჰაბიტური მეჩეთი, რადგან ძველ მეჩეთში ქისტი უხუცესები ექსტრემისტებს არ უშვებდნენ და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: ახმეტიდან 16 კილომეტრში, პანკისის ხეობაში შესვლა მაგარ ბიჭობად ითვლებოდა. და არ ტყუილად, ხეობაში და ხეობის გარშემო ხალხი ქრებოდა (დღესაც არავინ იცის ბერი ბასილის ადგილსამყოფელი, რასაც ქისტები ძალიან განიცდიან - ღვთისკაცი იყო, გვეხმარებოდა, მაგისთვის ხელის ხლება როგორ შეიძლებოდაო). ამას მოჰყვა დაპირისპირება ქართველებთან, რამდენჯერმე საქმე ლამის შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა, რასაც რუსები სულმოუთქმელად ელოდნენ (პანკისის ულამაზესი ხეობა ლამის ტერორიზმის ცენტრად გამოაცხადეს და მუქარას მუქარაზე გვითვლიდნენ).

მეცხრე წელია თავზეხელაღებულნი იბრძვიან თავისუფლებისათვის. ალბათ შემთხვევით არ ხდება: ქართველი შემხვედრს გამარჯვებას უსურვებს, რუსი ჯანმრთელობას, ებრაელი მშვიდობას. ვაინახებს კიდევ დიდხანს მოუწევთ თავიანთი ძველი მისალმება-სურვილის გამეორება: "მარშოიოლულ" - "მომიხვედ თავისუფალი", "დამხვდი თავისუფალი".

## რას მალავს პოლიცია პანკისის ხეობაში?

- ბრძანება გვაქვს, უცხოს არ ვუშვებთ! - მითხრეს პირველსავე ბლოკპოსტზე.

- უცხო არ არის, ჩვენიანია, - გამომესარჩლნენ ქისტის ქალები, რომელთაც უკვე სისხლში აქვთ, პოლიციელი თუ ვინმეს გამოელაპარაკა, აუცილებლად გამოექომაგებიან.

არ ვიცი, ქისტის ქალებმა მიშველეს თუ "მშვენიერმა" ქართულმა ტრადიციამ, რომლის მიხედვითაც ბრძანება და განკარგულება მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ იქვე დაირღვეს.

დუისში წვიმდა. წვიმაშიც ძალიან ლამაზი იყო იქაურობა. მიდიხარ შენთვის და ფიქრობ: რატომ არ შეიძლება დაბრკოლების გარეშე ქართველის აქ შემოსვლა? მსგავსი დამოკიდებულება და ასე ხელოვნურად შექმნილი საინფორმაციო ვაკუუმი ხომ უფრო ამძაფრებს ეჭვებს და ათასგვარ ჭორსა და დეზინფორმაციას წარმოშობს. ამიტომაც ჩნდება მასმედიაში მსგავსი სათაურები: "პანკისი უქართველებოდ", "ჰეროინის ქარხანა პანკისში" ან "ბოლშევიკების სამხედრო ბაზები წინ უბანში". ეს, ერთი მხრივ, ქისტი მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს, მეორე მხრივ, ქართველების შიშსა და უნდობლობას.



*მარცხნიდან: უსუფ გირნაკაშვილი, ციხესაშვილი, დათიკო ფარეულიძე - ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქისტი შეფიცულები.*



*ჩეჩნეთ-საქართველოს საზღვარი მდინარე არღუნზე.*



*ხუთ-ათ წელიწადში ესენი მეომრები იქნებიან.*

ყველაზე უცნაური ის არის, რომ დასამალი არც არაფერი ხდება ამ ხეობაში, ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანს. არანაირი დაძაბულობა პოლიციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის არ არსებობს. პირიქით, აქაურები პოლიციის ყოფნას ითხოვენ: **"ესენი რომ წავიდნენ, ისევ არეულობა იქნება". "ადგილობრივი ბიჭებიც შედიან ორგანოებში. ჯარიც ჯარსა ჰგავს, ფორმა იქნება ეს თუ შეიარაღება. ძველი კეთილმეზობლური ურთიერთობაც თანდათან აღდგება. ხეობის ასეთი "დახურვა" მხოლოდ ახალ გაუგებრობას და ეჭვებს წარმოშობს".**

- რა გინდათ? თქვენს ქვეყანას თვითონ მიხედეთ. ჩვენც მოგვხედეთ, ან ეს თურქები და არაბები საიდან გაჩნდნენ პანკისში, შუაგულ კახეთში, ჩვენა ვრგავდით? რატომ აძლევდით ვიზას? საზღვარზე როგორ გადმოდიოდნენ?

ბირჟაზე ჩეჩენი ბიჭი ჩამოდგა. კაი ჟღალი ჩეჩენი იყო - წითური წვერით, თავზე ფესკით და ხელში კრიალოსანით. ერთი ეგ იყო, ჩეჩენისთვის შეუფერებლად ბევრს ლაპარაკობდა. ცოტა ხანში ჩვენი ქისტი მეზობელი აბდულაც მოვიდა, ხელში ჭურჭლის ტილოში შეხვეული ხორცის ნაჭერი ეჭირა. მოულოდნელად ჩეჩენს მიუბრუნდა:

- იდი დამოი, იდი ი ვაიუი, ჩევო ზდეს ხოდიშ ბარადოი, დეტეი პუგაეშ?

გაბრუნდა ის ბიჭი და უხმოდ წავიდა.

- რას ერჩოდი?

- რას ვერჩოდი და თუ მეომარია, წავიდეს და იომოს. დადის აქ, ჩვენი ბიჭები სამი დღის წინ იქ ჩახოცეს, ეს აქ დადის კრიალოსანით. მეომარი ვარო, თუ მეომარია, აქ რა უნდა?..

## ქაქუცა ჩოლოყაშვილის ქისტი თანამებრძოლები

- ქაქუცას აქ მაგრად ვემხრობოდით. ყველგან ღალატობდნენ, მაგრად დასდევდნენ. ყველაზე საიმედო თავშესაფარი აქ ჰქონდა, ზევით, ტყეში. ოთხი ქისტი ჰყავდა "შეფიცულთა რაზმში": ჰააკეი აჭეშვილი, დათიკო ფარეულიძე, ციხესაშვილი და უსუფა მორნაკაშვილი. ამ სურათში მარტო სამნი არიან, ჰააკეი აჭეშვილი აკლიათ. ეს გოგო კიდევ ჩვენი ზელიმხანას დედაა. ახლახან დაიღუპა. დათიკო ფარეულიძე დაიჭირეს ერთხელ ჩეკისტებმა და თუ არ გინდათ რომ დაგხვრიტოთ, ქაქუცა მოკალითო. "კარგიო" - უთქვამს. პირობის ნიშნად გულზე დასაკიდებელი დიდი ვერცხლის საათი უჩუქებიათ. თან ვიღაც "შპიონებიც" შეუგზავნიათ ქაქუცას რაზმში და თვითონვე გაუფრთხილებიათ, დათიკო მოისყიდეს კომუნისტებმა, გღალატობსო. უნდოდათ ერთმანეთი ამოეხოცინებინათ. სხედან თურმე ტყეში ქაქუცა და დათიკო. დათიკოს საათი გულზე ჰკიდია. ეგ რა კარგი საათი გკიდია, სად იშოვეო - უკითხავს ქაქუცას. არ არის ქაქუცა ეს კარგი საათი, ცუდი საათია. შენი მოკვლისთვის მომცესო. გასცინებია ორივეს და აღარაფერი უთქვამთ. მაგრად ერთგულებდნენ ერთმანეთს ბოლომდე. საზღვარგარეთ კი ქისტები აღარ გაჰყვნენ - ჩვენ თურქეთში ვერ გავძლებთო. ნეტავ წასულიყვნენ... ყველა დაკარგეს ჩეკისტებმა. უსუფა გორნაფაშვილი კი ჩვენმავე მოკლა, ჩეჩენმა, სისხლი ემართა. დათიკო მატანელმა ძმაკაცმა გაყიდა. ქორწილში ყოფილა თუ სადღაც კამპანიაში და დაუბეზღებია. წაიყვანეს, გააქრეს. აჭაშვილი და ციხესაშვილი სხვადასხვა დროს მოკლეს. მერე, გვიან, ჩვენებმა ქაქუცას ნაბინავარზე ნიშა ააგეს, თქვენი ჯარი დგას, ახლა ასვლა შარია... მთაში კომუნისტები ძალიან ეჯავრებოდათ. ჩვენთანაც და თუშებშიც. თუშებს უარესს უშვრებოდნენ. ცხვარი ჩამოართვეს ჭყოპიშვილს, იმხელა ფარები, ცარიელი კავი დააჭერინეს ხელში - წადიო... წავიდა და სახლამდე ვერ მიაღწია, გული გაუსკდა. მთაში მთავრობა არ უყვარდათ, მანამდეც, მეფის დროსაც სუ ტყეში იყვნენ გავარდნილები. ხარება და გოგიაც ჩვენთან იმალებოდნენ თავიანთი "ტყის ძმებით". იმ თავიდან ეგრე მოდის, ყველა აბრაგი და გავარდნილი ჩვენთან იყრიდა თავს, შევიფარებდით, მერე ჩვენვე გვხვდებოდა. აქ კაცს უკან არ გააბრუნებენ, შეიფარებენ. სხვანაირად არ შეიძლება. თქვენ ხო შეიფარეთ ჩვენი ლტოლვილები

## ლტოლვილები

აფხაზეთიდან დევნილებს, რომლებიც რუსებთან და აფხაზებთან ერთად ჩეჩნებსაც გამოექცნენ, ცოტა ხანში ჩეჩენი ლტოლვილებიც დაედევნენ.

დამარცხებულმა, ნაღალატებმა საქართველომ სტუმარ-მასპინძლობის ქართულ-კავკასიური წესი არ დაარღვია - ჩვენში ქალებს და ბავშვებს კარს არ უკეტავენ და საქმეც მხოლოდ კაცებს შორის ირჩევა.

ჩეჩენთა უმრავლესობა უკვე გასულია ხეობიდან, ვინ სახლში დაბრუნდა, უმრავლესობა კი მესამე ქვეყანაში, თურქეთში გადავიდა, სადაც გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ. ვისაც წასვლის საშუალება არა აქვს, ისევ ჩვენს იმედზე არიან: "ლუჩე ია უ ვას ბეჟენცამ ბუდუ, ჩემ უ სებია დომა პოდ კაბლუკომ კაფირა".

დუისში, შესასვლელში, ყოფილი კანტორის შენობაზე ჩეჩნებს დიდი ასოებით აქვთ წაწერილი: "გეროი სამაშკი", ეს ის "სამაშკია", რომელიც რუსებმა ჯერ კიდევ პირველი ომის დროს მიწასთან გაასწორეს და მაინც ვერ აიღეს.

ჩეჩნების ყიჟინით მორბენალ ქერა ბიჭებს დავუძახე:

- დავაიტე ია ვას სნიმუ!

- ფული რო არ არი? - მომაძახეს ქართულად.

- უფულოდ.

დადგნენ. ერთმანეთს ხელი გადახვიეს და რაც შეეძლოთ, გაიჯგიმნენ.

ხუთ-ათ წელიწადში ესენი ყველანი მეომრები იქნებიან.

# ვირტუალური აბრეშუმის გზა

საქართველოში, 10-12 ივნისს, ოფიციალური ვიზიტით, კავკასიის რეგიონში ნატო-ს სამეცნიერო პროგრამის პასუხისმგებელი პირი ვალტერ კაფენბერგი ჩამოდის. იგი "კომპიუტერული პროგრამებისა" და "მეცნიერება სიცოცხლის შესახებ და ტექნოლოგიების" პროგრამების დირექტორია.

10 ივნისს არასამთავრობო ორგანიზაციაში "საქართველო ნატო-ში", ნატო-ს სამეცნიერო პროგრამაში მონაწილე მეცნიერებთან შედგება შეხვედრა. 11 ივნისს პროექტის - "ვირტუალური აბრეშუმის გზა" პროგრამის ფარგლებში, საქართველოსთვის გადაცემული თანამგზავრული სადგურის გამოყენებით, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და ნატო-ს გენერალურ მდივანს ლორდ რობერტსონს შორის ვიდეოკონფერენცია გაიმართება.

ჩატარდება, აგრეთვე, პროექტ "ვირტუალური აბრეშუმის გზის" გახსნის ოფიციალური ცერემონიალი. აღნიშნულ პროექტს, რომელიც ერთ-ერთი წარმატებულია, ნატო ახორციელებს კავკასიასა და შუა აზიაში. პროექტი ამ ქვეყნების სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მაღალი სიჩქარის ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ამ კვირაში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ ნატო-ს წარმომადგენლობითი დელეგაცია, საელჩოების, საერთაშორისო ორგანიზაციების და აბრეშუმის გზის ქვეყნების წარმომადგენლები. **მედია-ნიუსი**

## მოკლედ

**თბილისი.** საგანგებო ლეგიონის ახლადდანიშნული ხელმძღვანელი ნუგზარ კახნიაური საგანგებო ლეგიონისთვის საშტატო ერთეულების დამატებასა და მისი სამსახურისთვის გამოძიების ფუნქციების მინიჭებას მოითხოვს. მისივე თქმით, ბოლო 2-3 კვირის განმავლობაში ქვეყანაში ყველა კონტრაბანდული არხი თითქმის გადაკეტილია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მოამზადა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 85 მილიონი ლარით შემცირების პროექტი და იგი უკვე საქართველოს მთავრობას და საერთაშორისო სავალუტო ფონდს წარუდგინა", — განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშვილმა. მისი განმარტებით, ბიუჯეტის კორექტირება ნაკლებად შეეხება ბიუჯეტის დაცულ მუხლებს, თუმცა ეს ძნელი განსახორციელებელი იქნება, ვინაიდან ხარჯების 85 პროცენტი ბიუჯეტის დაცული მუხლების დაფინანსებაზე მოდის. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ სამუშაო თათბირზე ფინანსთა სამინისტრო გააკრიტიკა. ამის მიზეზი გახდა ქვეყანაში თამბაქოს ნაწარმის დიდი ნაწილის არალეგალური ბრუნვა და, აქედან გამომდინარე, ბიუჯეტისთვის შესაბამისი თანხების დაკარგვა. მან ამ პრობლემის მოუგვარებლობაში ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურები დაადანაშაულა და მათ თამბაქოს პროდუქციით უკანონოდ ვაჭრობაში დაინტერესებული ყველა პირის დასახელება დაავალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა თურქეთის ქალაქ სტამბოლში დაწყებულ კონფერენციაში მონაწილეობს. კონფერენცია კემბრიჯის ენერგეტიკის ცენტრის (CERA) მიერ არის ორგანიზებული და 12 ივნისამდე გაგრძელდება. მასზე შავი ზღვის აუზის ყველა ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრის გამოსვლაა დაგეგმილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მოსახლეობას მოუწოდებს, რომ საკუთარი დანაზოგები ქართულ ბანკებში შეიტანოს, რაც ქვეყანაში შიდასაინვესტიციო ფონდის ზრდას შეუწყობს ხელს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 11-12 ივნისს მოლდოვაში, ქალაქ კიშინიოვში, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის გენერალური ასამბლეის XXI პლენარული სხდომა გაიმართება. შეხვედრაზე განიხილავენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების პარლამენტების როლს ეკონომიკის, სამართლებრივი, ეკოლოგიური, სავაჭრო და სოციალური სფეროების განვითარებაში. **მედია-ნიუსი**

## მონიტორინგი

# ორთვიანი სახელფასო დავალიანება გარანტირებულია

შრომის ანაზღაურების დაფინანსება სულ უფრო შორდება თავის გრაფიკს. ხაზინამ, როგორც იქნა, მაისის თვის ხელფასების გაცემა დაიწყო. წინა თვეების დინამიკისა და არსებული სიტუაციის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ მაისის თვის ხელფასების დაფინანსება, მინიმუმ, ივლისის თვის შუა რიცხვებამდე ვერ დასრულდება.

**ხელფასების დაგვიანების ასეთ მზარდ ტემპსა და შემოსავლების მობილიზების არსებული დონის ანალიზს კიდევ უფრო მძიმე დასკვნებამდე მივყავართ. კერძოდ, 2003 წელს, მინიმუმ, ორი თვის შრომის ანაზღაურება დაუფინანსებელი დარჩება.**

უმძიმეს სურათს იძლევა სოციალური ფონდის ხარჯების ანალიზიც.

8 ივნისის მდგომარეობით, თებერვლის თვის პენსიების დაფინანსება დასრულებული არ არის. გარღვევა, დაახლოებით, 2 მილიონ ლარს შეადგენს.

მარტის თვის პენსიების დაფინანსებაში გარღვევა 8.8 მილიონი, ხოლო აპრილის თვეში - 12 მილიონი ლარია.

დაწყებულია მაისის თვის პენსიების დაფინანსება. თუმცა, მხოლოდ 0,2 მილიონი ლარი დაფინანსდა.

**ცხადია, რომ ქვეყანას ფინანსური და სოციალური ქაოსი ემუქრება, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად გადაიზრდება პოლიტიკურ ქაოსში.**

შექმნილი სიტუაციის თითოეული დღით გაგრძელება კრიზისიდან გამოსვლის პერიოდის გაორმაგებას ნიშნავს.

2003 წლის 3-6 ივნისის ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილში.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

### 2003 წლის 3-6 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | **საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება** | **2,025.6** |
| | სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლები | 205.0 |
| | საქართველოს პარლამენტი | 452.6 |
| | უმაღლესი სასწავლებლები | 1,317.0 |
| | საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) | 51.0 |
| 2 | **ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს მაისის თვის ტრანსფერი** | **1,933.0** |
| 3 | **სხვა საქონელი და მომსახურება** | **492.0** |
| | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 50.0 |
| | თავდაცვის სამინისტრო | 374.3 |
| | საქართველოს პარლამენტი | 7.8 |
| | სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი | 1.0 |
| | დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 10.8 |
| | იუსტიციის საბჭო | 6.5 |
| | იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი | 11.8 |
| | ეროვნული საინვესტიციო სააგენტო | 29.0 |
| | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | 0.8 |
| 4 | **სამივლინებო ხარჯები** | **57.0** |
| | საქართველოს პარლამენტი | 7.0 |
| | შინაგან საქმეთა სამინისტრო | 50.0 |
| 5 | **ავტომატურ რეჟიმში და ოქმების წესით ჩამოჭრილი თანხები** | **379.7** |
| | დისკონტი სახაზინო ვალდებულებებზე | 357.9 |
| | სასამართლო გადაწყვეტილებები | 21.8 |

### სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 9 ივნისისთვის — მილიონ ლარებში

| დასახელება | ექვსი თვის პროგნოზი | შესრულება | % | 6 ივნისი |
|---|---|---|---|---|
| **სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები** | 529.80 | 375.85 | 71% | 1.90 |
| ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები | 385.09 | 168.27 | 44% | 1.59 |
| საგადასახადო შემოსავლები | 310.64 | 231.14 | 74% | 1.50 |
| სოციალური ფონდი | 116.81 | 91.9 | 79% | 0.28 |
| საგზაო ფონდი | 24.05 | 15.91 | 66% | 0.03 |
| **დეფიციტის დაფინანსება** | 118.66 | 89.63 | 76% | 0.05 |

# სადისტრიბუციო კომპანია დათმობაზე არ მიდის

## სანამ ფულს არ გადაუხდიან, "გსეკ" რეგიონებს დენს არ მიაწვდის

მაია ურუშაძე

*საქართველოს "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ("გსეკ") 20 ფილიალი, ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, დენის გარეშეა დარჩენილი. რეგიონებს ელექტრომომარაგება მხოლოდ მას შემდეგ განუახლდებათ, რაც "გსეკ"-ის ფილიალები მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდის მყარ გარანტიებს წარადგენენ. "ყველა რეგიონი მიიღებს იმდენ დენს, რამდენის გადახდასაც შეძლებს," – ასეთია საბითუმო ბაზრისა და "გსეკ"-ის ერთიანი პოზიცია.*


ალბერტო სოლისი: "ყველა რეგიონი მიიღებს იმდენ დენს, რამდენის გადახდასაც შეძლებს"
გოგიტა ბუხაიძის ფოტო

როგორც გუშინ "გსეკ"-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან გვაცნობეს, წინასწარმა მოლაპარაკებებმა შედეგი მხოლოდ ქუთაისის ფილიალთან გამოიღო: რეგიონმა კომპანიას 15 მეგავატის ელექტროენერგიის საფასურის 100-პროცენტიანი გადახდის გარანტია წარუდგინა. თუმცა, ეს საკმარისი არ არის – ქუთაისს 60 მეგავატი სჭირდება. ამის გამო, საბითუმო ბაზრის მიერ ურჩ გადამხდელთა წინააღმდეგ გამიზნულ აქციას რეგიონში მკვეთრი წინააღმდეგობა შეხვდა. პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთში თემურ შაშიაშვილმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და განიზრახა, რომ იმერეთის ყველა გადამხდელი ობიექტი (რომლებიც, ბუნებრივია, შეზღუდვაში მოჰყვებიან) რეგიონში განთავსებული ჰესებიდან პირდაპირ – სახელმწიფო ელექტროსისტემისა და გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის გვერდის ავლით ჩართოს. **"ულირსად ვაცხადებ ჰესის ყველა იმ ხელმძღვანელს, ვინც მხარს არ დაგვიჭერს დაუმორჩილებლობის აქციის განხორციელებისას,"** - აცხადებს შაშიაშვილი. ელექტროენერგიის შეზღუდვას აპროტესტებს რუსთავის მერი მერაბ ტყეშელაშვილიც.

შაშიაშვილსა და ტყეშელაშვილს გუშინ მხარი აუბა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ დემურ გიორხელიძემაც და ენერგეტიკის დარგის ყველა ხელმძღვანელს მოუწოდა, თავი შეიკავონ რეგიონების გათიშვისაგან, რადგან ეს სანქციები შედეგებს ვერ მოიტანს, რეგიონებში კი ისედაც მწვავე პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო დაიძაბება.

მაშინ, როცა რაიონი მთლიანად იზღუდება, ბუნებრივია, კარგი გადამხდელებიც ზარალდებიან. სემეკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი პაატა ვარდოსანიძე მიიჩნევს, რომ თუ გამრიცხველიანების პრობლემა მოგვარდება და რეგიონებში ელექტროენერგიის საფასურის გადახდის ახალი წესი დაინერგება, შესაძლებელი იქნება, რომ რეგიონებში კარგი გადამხდელები არ დაიჩაგრონ.

პაატა ვარდოსანიძე შექმნილ ვითარებას კორუფციულ გარემოს უკავშირებს. როგორც გუშინ "გსეკ"-ის გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა დინ უაიტმა განაცხადა, კორუფციის აღმოფხვრის მიზნით, ენერგოკომპანია თავის ყველა ფილიალში აუდიტორულ შემოწმებას ჩაატარებს და აღმოჩენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას პროკურატურას გადასცემს.

მიუხედავად მძაფრი უარყოფითი რეაქციისა, საბითუმო ბაზარი და "გსეკ" სხვა გზას ვერ ხედავენ იმისათვის, რომ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიამ საბითუმო ბაზარს 220 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება გაუსტუმროს. სხვათა შორის, საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორის ალბერტო სოლისის ინფორმაციით, ურჩ გადამხდელთა წინააღმდეგ ბერკეტების ამოქმედებას არც სავალუტო ფონდი ეწინააღმდეგება. მისივე თქმით, რეგიონებში დაწყებული შეზღუდვები მანამ გაგრძელდება, სანამ ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დონე 70 პროცენტს მაინც არ მიაღწევს.

# იტალიელები ჟინვალჰესის ტექნიკურ მდგომარეობას იკვლევენ

*ჟინვალის ჰიდროელექტროსადგური, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემას 70 მეგავატ სიმძლავრეს აწვდის, ხოლო თბილისს სასმელი წყლით ამარაგებს, რეაბილიტაციას საჭიროებს. სარემონტო სამუშაოებია ჩასატარებელი როგორც კაშხალზე, ასევე დამატებით ჰიდროტექნიკურ ნაგებობებზე, მათ შორის – ე.წ. წყალსაგდებ გვირაბზე. თუმცა, სანამ აღდგენითი სამუშაოები დაიწყება, სადგურზე არსებული მდგომარეობის საფუძვლიანად შესწავლაა საჭირო.*

ჟინვალჰესსა და ენგურჰესზე მონიტორინგის სამუშაოებს იტალიური საკონსულტაციო ფირმა "ანსალდო" ახორციელებს და იტალიის მთავრობის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილ გრანტს – 667 ათას ევროს ითვისებს. იტალიელებმა გასული წლის ნოემბერში გამოიკვლიეს ენგურჰესის კაშხალი, რის შემდეგაც სადგურის სარეაბილიტაციო პროგრამის შედგენა და აღდგენითი სამუშაოების დაწყებაც შესაძლებელი გახდა.

ჟინვალჰესის მონიტორინგისათვის აუცილებელი ტექნიკა იტალიელებმა უკვე ჩამოიტანეს. **"მარტში ჟინვალის კაშხალზე დაზიანებული ადგილები გადავიღეთ და დაზიანებათა სკანირება მოვახდინეთ. ახლა გვირაბის შესწავლა უნდა განვაგრძოთ. ვიკვლევთ კაშხლის კედელსა და აუზსაც,"** – აცხადებენ იტალიელები.

მიმდინარე პროექტის გასაცნობად, გუშინ ჟინვალჰესს იტალიის ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო ეწვია. **"ჯერ აქ მხოლოდ სამეცნიერო კვლევა მიმდინარეობს,** - განაცხადა მან, - **როდესაც გამოკვლევა დასრულდება, ქართველ კოლეგებს "ჟინვალჰესის" რეაბილიტაციის პროგრამის შედგენასა და ჩასატარებელი სამუშაოებისთვის თანხების მოძიებაშიც დავეხმარებით."** მისი ინფორმაციით, საქართველოში ახლახან დაბრუნდა 20 ქართველი სპეციალისტი, რომლებმაც იტალიაში 12-დღიანი გადამზადების კურსები გაიარეს და ახლა მონიტორინგის სამუშაოების წარმოება ევროპული სტანდარტების შესაბამისად შეუძლიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჟინვალჰესზე მონიტორინგი ჯერ არ დასრულებულა, იმ თანხების მოცულობა, რაც მის რეაბილიტაციას დასჭირდება, უკვე გამოიკვეთა. მარტო დაზიანებული გვირაბის აღდგენას, წინასწარი გათვლებით, 22 მილიონი დოლარი დასჭირდება. გვირაბი – სადგურის ყველაზე სუსტი წერტილია: აქ ე.წ. "სამშენებლო წუნი" ჯერ კიდევ 1985 წელს, ანუ მისი მშენებლობის დასრულებისთანავე დაფიქსირდა. სწორედ ამის გამო, სადგური დღეს თავისი საპროექტო სიმძლავრის (170 მეგავატი) მხოლოდ მესამედს (60-70 მეგავატი) გამოიმუშავებს.

# რუსეთის ვალების მახრჩობელა ყულფი

საქართველომ არც რუსეთთან უღალატა ფორს-მაჟორულ პირობებში საკრედიტო შეთანხმებების გაფორმების ტრადიციას და 1993 წლის 15 სექტემბერს საქართველოსა და რუსეთს შორის ორი საკრედიტო შეთანხმება გაფორმდა.

რუსეთთან ნომერ პირველი საკრედიტო შეთანხმების თანახმად, საქართველომ სახელმწიფო ვალად აღიარა ე.წ. ტექნიკური კრედიტი (ბანკთაშორის ანგარიშსწორებაში დაფიქსირებული უარყოფითი სალდო) 39.5 მილიარდი რუბლის ანუ 135 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

ნომერ მეორე კრედიტის შესაბამისად, საქართველომ რუსეთისაგან მიიღო კრედიტი 10 მილიარდი რუბლის ანუ 6.3 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. კრედიტის ძირითადი მიზანი კვლავ ენერგოსისტემის ზამთრის სეზონისათვის მომზადება იყო. ამას გარდა, კრედიტის თანხები მრეწველობის სხვადასხვა დარგს მოხმარდა.

კრედიტის თანხები მიიღეს მაშინდელმა სახელმწიფო საწარმოებმა და სტრუქტურებმა:

- "ნავთობკონცერნმა" - 7.9 მილიარდი რუბლი ნავთობპროდუქტების იმპორტისათვის;
- "საქენერგომ" – 1 მილიარდი რუბლი;
- ზუგდიდის ქაღალდის კომბინატმა – 550 მილიონი რუბლი ქაღალდის პრესის შესაძენად;
- ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ - 550 მილიონი რუბლი ფართო მოხმარების საქონლის შესაძენად.

ამრიგად 1993 წლის სექტემბერში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი რუსეთის მიმართ გახდა – 141.3 მილიონი აშშ დოლარი.

1994 წლის 10 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთს შორის გაფორმდა ნომერ მესამე საკრედიტო შეთანხმება. შეთანხმების შესაბამისად, საქართველომ რუსეთისაგან 20 მილიარდი რუბლი ანუ 6.06 მილიონი აშშ დოლარი ისესხა. სესხის აღების ძირითადი მიზანი, ტრადიციულად, ენერგოსისტემის ზამთრის სეზონისათვის მომზადება იყო. წინა საკრედიტო შეთანხმების მსგავსად, კრედიტის ნაწილი სხვა მიზნებისთვისაც იქნა გამოყენებული.

კრედიტის თანხები უშუალოდ მიიღეს:

- "საქენერგომ" – 16 მილიარდი რუბლი საწვავისა და აღჭურვილობის შესაძენად;
- "საქგაზმა" – 1.5 მილიარდი რუბლი რუსეთისაგან შეძენილი გაზის ვალის დასაფარად;
- თბილისის მეტროპოლიტენმა – 1 მილიარდი რუბლი მეტროს რეაბილიტაციისათვის;
- ფირმა "ეგრისმა" – 1 მილიარდი რუბლი შაბიამნის შესაძენად;
- განათლების სამინისტრომ – 500 მილიონი რუბლი რუსულენოვანი სასკოლო სახელმძღვანელოების შესაძენად.

ამ კრედიტების გამოყენების ეფექტურობა ცალკე უნდა იქნას შესწავლილი.

ამრიგად, 1994 წლის აგვისტოში საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი რუსეთის მიმართ გახდა – 147.35 მილიონი აშშ დოლარი.

1997 წლის 17 იანვარს მოსკოვში საქართველოსა და რუსეთს შორის, ბუნებრივია, საქართველოსათვის კვლავ ფორს-მაჟორულ პირობებში, ხელი მოეწერა საქართველოს რუსეთისადმი დავალიანების რესტრუქტურიზაციის შეთანხმებას. რესტრუქტურიზაციის შეთანხმებაში მანამდე მოქმედი სამივე საკრედიტო შეთანხმება გაერთიანდა.

რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი რუსეთის მიმართ 179.27 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით განისაზღვრა. წინა სამი საკრედიტო შეთანხმებით განსაზღვრულ 147.35 მილიონ აშშ დოლარს დაემატა 1993-1996 წლებში გადაუხდელი მომსახურების პროცენტი 31.92 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

საბოლოოდ, 1997 წლის 17 იანვრის რესტრუქტურიზაციის შეთანხმებით განისაზღვრა:

- საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი რუსეთის მიმართ – 179 მილიონ 266 ათას 381 (აქედან ტექნიკური კრედიტი 164.24 მილიონი) აშშ დოლარი;
- კრედიტის დაფარვის ვადა – 11 წელი (01.01.97 – 01.01.08);
- კრედიტის დაფარვის შეღავათიანი პერიოდი – 3 წელი (01.01.97 – 01.01.00);
- კრედიტის მომსახურების წლიური საპროცენტო განაკვეთი – 4 პროცენტი;
- წლიური საჯარიმო განაკვეთი ვადაგადაცილებულ თანხაზე – 4.5 პროცენტი.

2000 წლის დეკემბერში საქართველომ დაფარა რუსეთის მიმართ საგარეო ვალის ძირითადი თანხის ნაწილი 22.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

2001 წლის 5-6 მარტს პარიზის კლუბში მოხდა საქართველოს საგარეო ვალების 2001 და 2002 წლების გადასახდელების (ე.წ. კონსოლიდირებული თანხის) რესტრუქტურიზაცია. რესტრუქტურიზაცია, მათ შორის, შეეხო საქართველოს საგარეო ვალს რუსეთის მიმართ.

შემდგომი ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად, რუსეთმა უარი თქვა მომსახურების პროცენტის 4-დან 3 პროცენტამდე შემცირებაზე, თუმცა, ძირითადი თანხის გადახდა პარიზის კლუბში შეთანხმებული პირობებით განხორციელდება.

2003 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი რუსეთის მიმართ შეადგენს – 156 მილიონ 858 ათას 084 აშშ დოლარს და ვალის დაფარვის გრაფიკი მოცემულია ცხრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოს 2003 წელს მარტო რუსეთის მიმართ საგარეო ვალის ძირითადი თანხა გადასახდელი აქვს 22.4 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. ამ თანხების გადახდის შესაძლებლობა ამ ეტაპზე საქართველოს არა აქვს და, შესაბამისად, ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამის აღდგენა, პარიზის კლუბში საგარეო ვალების 2003 წლის გადასახდელების რესტრუქტურიზაცია და ქვეყნისათვის დეფოლტის თავიდან აცილება. მაგრამ, ამ პრობლემების მოსაგვარებლად მთავრობა არაფერს აკეთებს.

**საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"**

### რუსეთის კრედიტი

| № | პერიოდი | ბალანსი | საამორტიზაციო გადასახადები | საპროცენტო გადასახადები | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 20.02.03 | 156,858,083.62 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 2 | 31.03.03 | 151,256,009.20 | 0.00 | 1,095,516.77 | 1,095,516.77 |
| 3 | 20.05.03 | 151,256,009.20 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 4 | 30.06.03 | 145,653,934.78 | 0.00 | 1,940,807.56 | 1,940,807.56 |
| 5 | 20.08.03 | 145,653,934.78 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 6 | 30.09.03 | 140,051,860.36 | 0.00 | 983,475.29 | 983,475.29 |
| 7 | 30.11.03 | 140,051,860.36 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 8 | 31.12.03 | 134,449,785.94 | 0.00 | 1,843,704.93 | 1,843,704.93 |
| 9 | 20.02.04 | 134,449,785.94 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 10 | 31.03.04 | 128,847,711.52 | 0.00 | 871,433.80 | 871,433.80 |
| 11 | 20.05.04 | 128,847,711.52 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 12 | 30.06.04 | 123,245,637.10 | 0.00 | 1,721,704.20 | 1,721,704.20 |
| 13 | 20.08.04 | 123,245,637.10 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 14 | 30.09.04 | 117,643,562.68 | 0.00 | 759,392.31 | 759,392.31 |
| 15 | 30.11.04 | 117,643,562.68 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 16 | 31.12.04 | 112,041,488.26 | 0.00 | 1,619,621.96 | 1,619,621.96 |
| 17 | 20.02.05 | 112,041,488.26 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 18 | 31.03.05 | 106,439,413.84 | 0.00 | 647,350.82 | 647,350.82 |
| 19 | 20.05.05 | 106,439,413.84 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 20 | 30.06.05 | 100,837,339.42 | 242,009.61 | 1,492,641.61 | 1,734,651.22 |
| 21 | 20.08.05 | 100,595,329.81 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 22 | 30.09.05 | 94,993,255.39 | 0.00 | 535,309.33 | 535,309.33 |
| 23 | 30.11.05 | 94,993,255.39 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 24 | 31.12.05 | 89,391,180.97 | 282,344.55 | 1,390,591.23 | 1,672,935.78 |
| 25 | 20.02.06 | 89,108,836.42 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 26 | 31.03.06 | 83,506,761.00 | 0.00 | 423,267.84 | 423,267.84 |
| 27 | 20.05.06 | 83,506,761.00 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 28 | 30.06.06 | 77,904,687.57 | 322,679.49 | 1,258,013.28 | 1,580,692.77 |
| 29 | 20.08.06 | 77,582,008.08 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 30 | 30.09.06 | 71,979,933.66 | 0.00 | 311,226.36 | 311,226.36 |
| 31 | 30.11.06 | 71,979,933.66 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 32 | 31.12.06 | 66,377,859.25 | 367,496.08 | 1,154,138.87 | 1,521,634.95 |
| 33 | 20.02.07 | 66,010,363.17 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 34 | 31.03.07 | 60,408,288.75 | 0.00 | 199,184.87 | 199,184.87 |
| 35 | 20.05.07 | 60,408,288.75 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 36 | 30.06.07 | 54,806,214.33 | 412,312.68 | 1,020,050.11 | 1,432,362.79 |
| 37 | 20.08.07 | 54,393,901.65 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 38 | 30.09.07 | 48,791,827.23 | 0.00 | 87,143.38 | 87,143.38 |
| 39 | 30.11.07 | 48,791,827.23 | 5,602,074.42 | 0.00 | 5,602,074.42 |
| 40 | 31.12.07 | 43,189,752.95 | 457,129.27 | 914,113.14 | 1,371,242.41 |
| 41 | 30.06.08 | 42,732,623.68 | 506,427.53 | 864,148.61 | 1,370,576.14 |
| 42 | 31.12.08 | 42,226,196.15 | 555,725.78 | 863,291.12 | 1,419,016.90 |
| 43 | 30.06.09 | 41,670,470.37 | 609,505.70 | 838,039.46 | 1,447,545.16 |
| 44 | 31.12.09 | 41,060,964.67 | 663,285.61 | 839,468.61 | 1,502,754.22 |
| 45 | 30.06.10 | 40,397,679.06 | 721,547.19 | 812,442.21 | 1,533,989.40 |
| 46 | 31.12.10 | 39,676,131.87 | 784,290.42 | 811,156.47 | 1,595,446.89 |
| 47 | 30.06.11 | 38,891,841.45 | 847,033.65 | 782,158.14 | 1,629,191.79 |
| 48 | 31.12.11 | 38,044,807.80 | 914,258.55 | 777,804.96 | 1,692,063.51 |
| 49 | 30.06.12 | 37,130,549.26 | 981,483.44 | 750,862.22 | 1,732,345.66 |
| 50 | 31.12.12 | 36,149,065.82 | 1,053,189.99 | 739,047.57 | 1,792,237.56 |
| 51 | 30.06.13 | 35,095,875.83 | 1,124,896.54 | 705,817.06 | 1,830,713.60 |
| 52 | 31.12.13 | 33,970,979.28 | 1,205,566.42 | 694,517.80 | 1,900,084.22 |
| 53 | 30.06.14 | 32,765,412.87 | 1,286,236.29 | 658,948.86 | 1,945,185.15 |
| 54 | 31.12.14 | 31,479,176.58 | 1,366,906.16 | 643,574.28 | 2,010,480.44 |
| 55 | 30.06.15 | 30,112,270.42 | 1,456,539.35 | 605,591.22 | 2,062,130.57 |
| 56 | 31.12.15 | 28,655,731.07 | 1,546,172.54 | 585,850.50 | 2,132,023.04 |
| 57 | 30.06.16 | 27,109,558.53 | 1,640,287.39 | 548,215.52 | 2,188,502.91 |
| 58 | 31.12.16 | 25,469,271.14 | 1,738,883.90 | 520,705.10 | 2,259,589.00 |
| 59 | 30.06.17 | 23,730,387.24 | 1,841,962.07 | 477,244.45 | 2,319,206.52 |
| 60 | 31.12.17 | 21,888,425.17 | 1,949,521.90 | 447,496.69 | 2,397,018.59 |
| 61 | 30.06.18 | 19,938,903.28 | 2,057,081.73 | 400,993.50 | 2,458,075.23 |
| 62 | 31.12.18 | 17,881,821.55 | 2,173,604.87 | 365,583.91 | 2,539,188.78 |
| 63 | 30.06.19 | 15,708,216.67 | 2,294,609.68 | 315,909.69 | 2,610,519.37 |
| 64 | 31.12.19 | 13,413,606.99 | 2,415,614.49 | 274,233.74 | 2,689,848.23 |
| 65 | 30.06.20 | 10,997,992.50 | 2,545,582.62 | 222,403.85 | 2,767,986.47 |
| 66 | 31.12.20 | 8,452,409.88 | 2,680,032.40 | 172,804.82 | 2,852,837.22 |

# ისრაელი ებრაული დასახლებების დემონტაჟს იწყებს

ისრაელი მზადყოფნას გამოთქვამს, გამოაქვეყნოს პალესტინურ ტერიტორიებზე იმ ებრაული დასახლებების სია, რომლებიც დემონტაჟს ექვემდებარებიან. სალიკვიდაციო ოპერაცია გუშინ ღამით უნდა დაწყებულიყო. ამ დასახლებების ზუსტი რაოდენობა ჯერ უცნობია. ისრაელის არმია ცდილობს ებრაელების დარწმუნებას, რომ რაც შეიძლება სწრაფად დატოვონ დასახლებები. ისრაელის სახელისუფლებო წრეებში მიიჩნევენ, რომ შესაძლებელია, ისრაელის არმია ებრაელი მოსახლეების მხრიდან სერიოზულ წინააღმდეგობებს წააწყდეს.

მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ასზე მეტი ებრაული დასახლებაა, რომელთაგან სამოცი, 2001 წლიდან პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის ინიციტივით აშენდა.

უკვე ყველასათვის ცნობილი სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" თანახმად, ისრაელმა პალესტინურ ტერიტორიებზე აშენებული ყველა ებრაული დასახლება უნდა აყაროს. თუმცა, ჯერჯერობით, პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი მხოლოდ იმ სახლების ლიკვიდაციაზე საუბრობს, რომლებიც აშკარად უკანონოდ არის აშენებული.

გარდა ამისა, პარტია "ლიკუდის" წარმომადგენელთა წინაშე გამოსვლისას პრემიერმა შარონმა განაცხადა, რომ ისრაელის ტერიტორიაზე არც ერთი პალესტინელი ლტოლვილის დაბრუნებას არ დაუშვებს. **"მე ამის შესახებ გარკვევით განვაცხადე აქაბაში, რომ პალესტინელი ლტოლვილების პრობლემის გადაჭრა არ შეიძლება ისრაელის ტერიტორიაზე მოხდეს. მე ისრაელის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლებას არც ერთ პალესტინელს არასდროს არ მივცემ,"** - ხაზგასმით აღნიშნა შარონმა.



*არიელ შარონი: "მე ისრაელის ტერიტორიაზე შემოსვლის უფლებას არც ერთ პალესტინელს არასდროს არ მივცემ"*

დაახლოებით, მილიონი პალესტინელი ლტოლვილის დაბრუნების საკითხი, სამშვიდობო გეგმაში ძირითად პრობლემად არის აღიარებული და მისი გადაჭრა გეგმის განხორციელების მესამე ეტაპზეა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ ეს მოვლენები პალესტინელთა და ებრაელთა შეტაკების ფონზე ვითარდება. კვირას, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში მომხდარი შეტაკებების დროს, ხუთი პალესტინელი და ხუთი ებრაელი მოქალაქე დაიღუპა.

ისრაელის მოქალაქეებზე თავდასხმები, რომელთა განხორციელებისთვისაც პასუხისმგებლობა სამმა უმსხვილესმა პალესტინურმა რადიკალურმა დაჯგუფებამ აიღო, სამშვიდობო პროცესის ნორმალურ კალაპოტში გაგრძელებას საფრთხეს უქმნის. პალესტინური რადიკალური ისლამური დაჯგუფებები უკან არ იხევენ და კვლავ მტკიცედ აცხადებენ, რომ მომავალშიც გააგრძელებენ ტერორს ებრაელების წინააღმდეგ, ვიდრე ისრაელი ოკუპირებულ ტერიტორიას არ დატოვებს. ისრაელის პრემიერ-მინისტრი კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ ვიდრე პალესტინელთა ლიდერები ისლამისტების მხრიდან ტერორს არ აღკვეთენ, სამშვიდობო პროცესში ყოველგვარი პროგრესი გამორიცხულია. მან მკაფიოდ აღნიშნა, რომ, პირველ რიგში, პალესტინელებმა ტერორი უნდა შეწყვიტონ. ისლამისტები კი, პირველ რიგში, დეოკუპაციას ითხოვენ. ამგვარად, პალესტინელთა პრემიერ-მინისტრი აბუ მაზენი ორ ცეცხლს შუა იმყოფება. მის მცდელობას, ისლამისტების მხრიდან ტერორის შეწყვეტის მიმართულებით, ჯერჯერობით, არანაირი შედეგი არ მოაქვს.

# ისლამისტური გადატრიალების მცდელობა მავრიტანიაში


*მავრიტანიის პრეზიდენტი ტაია და შირაკი.*

ისრაელის ცენტრალურმა გაზეთმა "ჰაარეცმა" გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც მავრიტანიაში შაბათ-კვირას განხორციელებული შეიარაღებული ამბოხება და გადატრიალების მცდელობა მავრიტანიის პრეზიდენტის მააუი ულდ ტაის პროისრაულმა და პროამერიკულმა პოზიციამ განაპირობა.

ერაყში სამხედრო ოპერაციის დასრულების შემდეგ, ისრაელსა და მავრიტანიას შორის კავშირები შესამჩნევად გაიზარდა. პრეზიდენტმა მააუი ულდ ტაიმ ცალსახად დაუჭირა მხარი ამერიკელთა მოქმედებას ერაყში და ჰუსეინის რეჟიმთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. ყოველივე ამან, მავრიტანიის ისლამისტების აშკარა პროტესტი გამოიწვია. გაზეთი "ჰაარეცი" გამოთქვამს ვარაუდს, რომ გადატრიალების პროვოცირება გამოიწვია მავრიტანიის პრეზიდენტის უარმა, მხარი დაეჭირა ერაყელი ლიდერისათვის "ამერიკელების და სიონისტების" წინააღმდეგ ბრძოლაში.

შეგახსენებთ, რომ სამხედრო გადატრიალების მცდელობა მავრიტანიის დედაქალაქში შაბათს ღამით განხორციელდა, როდესაც ჯავშანსატანკო ჯარების და სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიცერთა ჯგუფმა ამბოხება დაიწყო. მავრიტანიის პრეზიდენტის მააუი ულდ ტაის ბედი უცნობია. სამთავრობო ძალების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ პრეზიდენტს საფრთხე არ ემუქრება. ბრძოლები მავრიტანიის დედაქალაქის ქუჩებში კვირასაც გრძელდებოდა. გადატრიალების მცდელობის შედეგები და ბრძოლის დეტალები, ჯერჯერობით, უცნობია.

# ამერიკამ მოლდოვა რუსეთს დაუთმო

## დემოკრატიისა და ფედერალიზმის დისკრედიტაცია

**პირველი გვერდიდან**

ქვეყნის ფედერალურ მოწყობას გარანტორთა უცნაური ტრიო უზრუნველყოფს: რუსეთი, უკრაინა და ეუთო. ანუ დასავლეთის პირდაპირი მონაწილეობა გათვალისწინებული არ არის. გარანტირების ასეთი მექანიზმი მოლდოვას რუსეთის პროტექტორატად აქცევს. პირველი, ვინც ამის შესახებ ხმამაღლა განაცხადა, კიშინიოვში სტუმრად მყოფი ჯორჯ სოროსი იყო. რაც შეეხება ეუთო-ს, იგი კონსენსუსის წესით მოქმედებს და ამიტომ, რუსეთის თანხმობის გარეშე არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მოსკოვის მცდელობა, არ დაეშვა დასავლური სახელმწიფო გარანტორთა შორის, წარმატებით დასრულდა. უკრაინის ყოფნა ზედამხედველთა შორის არაფერს ცვლის.

აშშ-ს და ეუთო-ს დიპლომატები ამტკიცებენ, რომ მათ მოლდოვას დემოკრატიულ ფედერაციად ჩამოყალიბება სურთ. თუმცა, ამ საქმეში რუსეთისა და უკრაინის მონაწილეობა და დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების ჩარევის გამორიცხვა ფედერაციის დემოკრატიულ მომავალს ეჭვქვეშ აყენებს. რუსეთიცა და უკრაინაც დემოკრატიისაგან შორს არიან, ამ ქვეყნებში კანონის უზენაესობა დაუცველია და კორუფცია კი – ღრმად გამჯდარი. როგორ შეეძლო ეუთო-ს ასეთი ქვეყნებისათვის სხვა ქვეყანაში დემოკრატიის ჩამოყალიბებაზე ზედამხედველობის უფლება მიეცა?

ახალი მოწყობის თანახმად, რუსეთის მარიონეტებს მოლდოვაში პოლიტიკის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი ხმა ექნებათ, შეცვლიან ქვეყნის ევროპულ კურსს და, მოლდოველ კომუნისტებთან ერთად, რომლებიც ამჟამად პარლამენტში უმრავლესობას შეადგენენ, უზრუნველყოფენ იმას, რომ " ხელახლა გაერთიანებული" ქვეყანა სამუდამოდ კრემლის დიქტატის ქვეშ დარჩეს. გაერთიანებული მხოლოდ სიტყვით, რადგან რეალურად, ახალი პროექტი სეპარატისტების ძალაუფლებას მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კიდევ უფრო განამტკიცებს, ხოლო ცენტრალურ ხელისუფლებაში - ვეტოს უფლებას მიანიჭებს.

ბოლოს და ბოლოს, ვინ არიან ეს დნესტრისპირელი "თავისუფლებისთვის მებრძოლები"? ეს იყო ერთადერთი ჯგუფი საბჭოთა კავშირში, რომელმაც 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ, ძალაუფლების შენარჩუნება მოახერხა და რუსული სამხედრო ჩარევის შედეგად, მისი განმტკიცება შეძლო. მათი უმრავლესობა რუსეთში დაბადებულ-გაზრდილი, რუსეთის მოქალაქეა და ამ ქვეყნის სამხედრო წოდებებს ატარებს. მათი იდეოლოგია საბჭოურისა და ველიკორუსულის ნაზავია. ისინი მართავენ უშიშროების სამსახურების მეშვეობით, რომლებიც "არჩევნებში" მათ მუდმივ გამარჯვებას უზრუნველყოფენ.

მათი ძალაუფლება ორ ფაქტორს ეყრდნობა: რუსულ "სამშვიდობო" ძალებსა და რუსეთიდან მოწოდებულ უფასო გაზს (გაზის ვალი, ყოველი შემთხვევისათვის, დათვლილია: 800 მილიონი დოლარი). არავინ უარყოფს იმას, რომ რეჟიმის მთავარ ფინანსურ წყაროს კონტრაბანდა და არალეგალური ვაჭრობა წარმოადგენს. ევროპის ყურისძირში მდებარე ეს რეგიონი, დიდი ხანია, "შავ ორმოდ" არის მიჩნეული (აშშ-მ, ევროკავშირმა და სხვა ქვეყნებმა დნესტრისპირეთის ხელმძღვანელებს თავიანთი საზღვრები ჩაუკეტეს). წესით, "ფედერალიზაციამ" ქვეყანა ამ სენისაგან უნდა განკურნოს, რეალურად კი იგი დნესტრისპირეთის ახლანდელი ხელმძღვანელების ლეგალიზაციასა და მათი ძალაუფლების კონსოლიდაციას ემსახურება.

დნესტრისპირეთი ერთ-ერთი რეგიონია ევროპაში, რომელსაც უმცირესობა მართავს. რუსები აქ სიდიდით მხოლოდ მესამე ეთნიკური ჯგუფია მოლდოველებისა და უკრაინელების შემდეგ. მაგრამ, უმაღლეს ხელმძღვანელობაში მხოლოდ რუსები არიან. ადგილობრივი მოლდოველები და უკრაინელები კი, ძირითადად, გლეხები არიან და ისევ კოლმეურნეობებში მუშაობენ. პოლიტიკურად, ისინი უუფლებონი არიან, მათ მიმართ კვლავაც მიმდინარეობს რუსიფიკაციის პოლიტიკა. რუსული მოსახლეობა ტირასპოლშია კონცენტრირებული, ხუთივე დანარჩენ რაიონში უმრავლესობას მოლდოველები ან უკრაინელები შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ეუთო და დასავლეთის ქვეყნები ამ რეგიონს უყურებენ, როგორც რუსულ არეალს და მის ხელისუფლებას ლეგიტიმურად თვლიან.

"ფედერალიზაციის" პროექტი მოლდოვაში აღშფოთებას იწვევს. ეუთო კი ცდილობს მოსახლეობა დაარწმუნოს - მხარი დაუჭიროს მოდელს, რომელსაც მისი თქმით, იყენებს ამერიკა, კანადა, ბელგია, შვეიცარია და ავსტრია. თუმცა, ხალხისათვის აშკარაა, რომ მათთვის შემოთავაზებულ მოდელს არც ფედერალიზმთან და არც დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს.

დემოკრატიული ფედერაციის უმთავრესი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების დაცვაა. ამ შემთხვევაში კი, ფედერაცია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და აგენტების ინტერესებს იცავს, რომლებიც უცხო ქვეყნისადმი ერთგულებას ღიად გამოხატავენ. დასავლეთის ფედერალური სახელმწიფოები აგებულია შეთანხმებაზე მათ მოქალაქეთა შორის, და არა შეთანხმებაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან. დემოკრატიულ ფედერალურ ქვეყნებში ხელისუფლება ხალხის მიერ არის არჩეული, დნესტრისპირეთში კი საპოლიციო რეჟიმია.

მოლდოვა პირველი ქვეყანაა ყოფილ საბჭოთა კავშირში, რომელსაც დასავლეთი რუსეთის ზედამხედველობის ქვეშ გადასცემს. მაშინ, როდესაც აშშ და ეუთო მოლდავეთს მოუწოდებს, გახდეს ფედერაცია "დასავლური ფედერაციების" მსგავსად, დასავლელი დიპლომატები კატეგორიულ უარს აცხადებენ იმაზე, რომ ამერიკა ან ევროკავშირი შეუერთდეს გარანტორთა რიგებს და შესაძლო შედეგებზე პასუხისმგებლობა იკისროს. ერთი სიტყვით, ამ შემთხვევაში ფედერალიზაცია მხოლოდ იარლიყია, რომელიც სულ სხვა რამეს უნდათ რომ მიაკრან - საეჭვო გარიგებას რუსეთის აგენტებთან.

დნესტრისპირეთის ლიდერები ღიად აცხადებენ, რომ თუ ცენტრალურ ხელისუფლებაში აღმოჩნდებიან, ისინი "პროაღმოსავლურ" პოლიტიკას დაუჭერენ მხარს. დღევანდელ მოლდოვას სათავეში კომუნისტები უდგანან, მაგრამ ისინი სწორედ ახლა იბრუნებენ პირს ევროპისაკენ. ამას ხედავს და აფასებს ევროკავშირი. დნესტრისპირეთის ახლანდელ ლიდერებთან ძალაუფლების განაწილების შემთხვევაში კი, თანაც რუსეთის გარანტორობის პირობებში, კიშინიოვს არ ასცდება დაბრუნება მოსკოვის ორბიტაში.

# კოჩარიანი ძველი მოკავშირეების დაბალანსებას ცდილობს

*საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სომხეთის ეროვნულ ასამბლეაში სამი პროკოჩარიანული პარტია მოხვდა, რომლებიც პარლამენტის სპიკერის თანამდებობას ერთმანეთს ეცილებიან. პრეზიდენტი კოჩარიანი ყველაზე ძლიერი და დიდი რესპუბლიკური პარტიის დაბალანსებას საკვანძო თანამდებობაზე ახალი პირის დანიშნვით ცდილობს.*

**რევაზ ბახტაძე**

სომხეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული ერთ-ერთი პარტიის “ორინაც იერკირის” (სამართლიანობის ქვეყანა) ლიდერმა არტურ ბაღდასარიანმა განაცხადა, რომ სომხეთის ახლადარჩეული პარლამენტის სპიკერობა სურს.

ბაღდასარიანის პარტიას ეროვნულ ასამბლეაში (სომხეთის პარლამენტი) სიდიდით მეორე ფრაქცია ეყოლება რესპუბლიკური პარტიის შემდეგ, რომელსაც წინა პარლამენტშიც ყველაზე დიდი ფრაქცია ჰყავდა. სომეხი ჟურნალისტების თქმით, ბაღდასარიანი სომხეთის პრეზიდენტის რობერტ კოჩარიანის ახალი ფავორიტია და იგი სწორედ მის კანდიდატურას უჭერს მხარს. ამის მიუხედავად, “ორინაც იერკირის” კანდიდატურა არჩევნებში გამარჯვებულ ორ სხვა პროკოჩარიანულ პარტიას აშკარად არ ეპიტნავებათ.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, როგორ აფასებს საკუთარ შანსებს სპიკერის თანამდებობაზე, ბაღდასარიანმა უპასუხა, რომ “ყველაფერი პოლიტიკური მოლაპარაკებების შედეგებზეა დამოკიდებული”. მისი თქმით, ახალ სპიკერს შესაბამისი პოლიტიკური გამოცდილება და კონსენსუსის მიღწევის უნარი უნდა ჰქონდეს. ბაღდასარიანმა, პირველ რიგში, საკუთარი თავი იგულისხმა.

“არც ერთ პოლიტიკურ ძალას პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა არ ჰყავს”, - აღნიშნა “რადიო თავისუფლების” სომხური ბიუროსათვის მიცემულ ინტერვიუში ბაღდასარიანმა. “უნდა გაგრძელდეს კონსულტაციები და შედეგიც ასე უნდა მივიღოთ”.

ბაღდასარიანის კანდიდატურას ყველაზე დიდ წინააღმდეგობას პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანის რესპუბლიკური პარტია უწევს. რესპუბლიკურმა პარტიამ 25 მაისს გამართულ საპარლამენტო არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო, მაგრამ მათ აბსოლუტური უმრავლესობა ვერ მოიპოვეს. ეროვნულ ასამბლეაში რესპუბლიკურმა პარტიამ 39 ადგილი მოიპოვა, “ორინაც იერკირმა” კი - 22. რესპუბლიკური პარტიის ზოგიერთი წევრი საჯაროდ აცხადებს, რომ ბაღდასარიანს არავითარ შემთხვევაში არ დაუჭერენ მხარს, თუნდაც, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ დიდი ზეწოლა განახორციელოს. მათი თქმით, პარლამენტს სწორედ რესპუბლიკური პარტიის წევრმა უნდა უხელმძღვანელოს.

“ორინაც იერკირის” კარგად დაფინანსებული წინასაარჩევნო კამპანია, ძირითადად, რესპუბლიკური პარტიის წევრებით დაკომპლექტებული მთავრობის კრიტიკაზე იყო აგებული. ბაღდასარიანმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ სომხეთს “ფულის პარტია” მართავს. ამგვარი გამოსვლების გამო, მას ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც ყველაზე დიდი პოპულისტი უწოდა.

მესამე პროკოჩარიანული პარტიის სომხეთის რევოლუციური ფედერაციის (დაშნაკციუტუნი) პოზიცია ნაკლებ კატეგორიულია. “რადიო თავისუფლების” სომხური ბიურო ანონიმ რესპოდენტზე დაყრდნობით იუწყება, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, ბაღდასარიანის მხარდაჭერის სანაცვლოდ, დაშნაკებს მინისტრის სამი პორტფელი და ორი რეგიონის მართვა შესთავაზა. დაშნაკებს ერთი ვიცე-სპიკერისა და ორი საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტებიც შესთავაზეს. ამავე წყაროს ინფორმაციით, “ორინაც იერკირს” ახალ მთავრობასა და პარლამენტში სწორედ ამდენივე პოსტი ერგება.

სომხური ოპოზიციური გაზეთის, “ჰაიკაკან ჟამანაკის” სარედაქციო სტატიის თანახმად, პრეზიდენტ რობერტ კოჩარიანს სურს, რომ “ეროვნულ ასამბლეას სუსტი თავმჯდომარე ჰყავდეს. გაზეთის მტკიცებით, პრეზიდენტი პარლამენტის სპიკერად თავდაცვის ყოფილი მინისტრის, სერჟ სარგსიანის დანიშვნის კატეგორიული წინააღმდეგია. “ამგვარი დამოკიდებულება ბუნებრივია, რადგან საპარლამენტო არჩევნების დროს სარგსიანსა და კოჩარიანს შორის აზრთა სხვადასხვაობამ პიკს მიაღწია. ამდენად, პრეზიდენტს სურს, რომ სერჟ სარგსიანი იმგვარ მდგომარეობაში ჩააყენოს, როდესაც მისი პოლიტიკური კარიერა მთლიანად პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული”.

“პრეზიდენტმა კოჩარიანმა კარგად იცის, რომ ბაღდასარიანის კანდიდატურა დეპუტატთა უმრავლესობისათვის ყველაზე ნაკლებად მისაღებია და, თუ ამის მიუხედავად, იგი პარლამენტის თავმჯდომარე მაინც გახდება, მაშინ იგი მთლიანად პრეზიდენტზე იქნება დამოკიდებული”, - ასკვნის “ჰაიკაკან ჟამანაკი”. პარლამენტის სუსტი, არარესპუბლიკელი თავმჯდომარე კი პრემიერ-მინისტრ ანდრანიკ მარქარიანისა და ძალზე გავლენიანი, თავდაცვის ყოფილი მინისტრის სერჟ სარგსიანის პოზიციებს სერიოზულად შეარყევს.

# დიდ ბრიტანეთში სკანდალი არ ცხრება

დიდ ბრიტანეთში აგორებული სკანდალი, ერაყის საკითხებში დაზვერვის სამსახურის დოსიეს შესაძლო ფალსიფიკაციის შესახებ, დღითიდღე ძლიერდება. როგორც გაირკვა, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ელისტერ კემპბელმა სადაზვერვო სამსახურებს განუცხადა, რომ ა.წ. თებერვალში მათ მიერ მომზადებული მეორე მოხსენება ბევრ "ხვრელს" შეიცავდა.

სადაზვერვო დოსიე ერაყის შესახებ, პრესაში გამოქვეყნების შემდეგ მკაცრი კრიტიკის ქვეშ მოექცა. როგორც აღმოჩნდა, დოკუმენტის დიდი ნაწილი ამერიკელი სტუდენტის სადიპლომო ნაშრომიდან იყო კოპირებული, ხოლო სადიპლომო ნაშრომი 12 წლის წინანდელ ინფორმაციას შეიცავდა. დაუნინგ-სტრიტის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ კემპბელმა ამის თაობაზე საგარეო დაზვერვის სამსახურის (მი-6) შეფიც კი წერილობით თავად გააფრთხილა. კემპბელმა მი-6-ის დირექტორს მიუთითა, რომ მეტი ყურადღება გამოეჩინა მოხსენების მიმართ და დოსიეს სრულყოფილად მომზადებაზე თავად აეღო პასუხისმგებლობა.


*კონსერვატორები და მათი მხარდამჭერები ტონი ბლერისგან პასუხს მოითხოვენ.*

დიდ ბრიტანეთში ამ სკანდალით გამოწვეული მდგომარეობა საკმაოდ სერიოზულია. კონსერვატორები და მათი მხარდამჭერები პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერისგან პასუხს მოითხოვენ. შეგახსენებთ: დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო დოსიეში ერაყის შესახებ მკაფიოდ იყო ნათქვამი, რომ სადამ ჰუსეინს გააჩნია მასობრივი განადგურების იარაღი და მისი ამოქმედება 45 წუთში შეუძლია. ასეთი სახის იარაღი კი, ერაყში დღემდე არ არის ნაპოვნი. შესაბამისად, ერაყში სამხედრო კამპანიის სამართლიანობაც უკვე ეჭვს იწვევს.

ანალოგიური კითხვები ისმის უკვე აშშ-შიც. თეთრი სახლი და ოფიციალური ლონდონი, ჯერჯერობით, ოპონენტებს არწმუნებენ, რომ ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი არსებობს და ის უახლოეს მომავალში იქნება ნაპოვნი.

# ფხენიანს ატომური ბომბი ჯარის შესამცირებლად სჭირდება

ორშაბათს ჩრდილოეთ კორეის კომუნისტურმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მას ატომური ბომბის ფლობა სურს იმისათვის, რათა უზარმაზარი შეიარაღებული ძალების რაოდენობა შეამციროს, გამოთავისუფლებული საბიუჯეტო თანხები კი ეკონომიკის განვითარებისაკენ წარმართოს. უცხოელი ანალიტიკოსების თქმით, ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკა კოლაფსის პირასაა.

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ფხენიანმა ბირთვული შეიარაღების პროგრამა საკუთარი არმიის შეკვეცასა და ფულის დაზოგვას დაუკავშირა. ჩრდილოეთ კორეას ერთ-ერთი უდიდესი არმია ჰყავს მსოფლიოში. 1.1 მილიონიანი ჯარის დიდი ნაწილი სამხრეთ კორეის საზღვრის მახლობლად არის განლაგებული.

“ჩვენ ბირთვული იარაღის სხვების დასაშანტაჟებლად მოპოვებას არ ვცდილობთ. ჩვენ უბრალოდ, ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას და ადამიანური და ფულადი რესურსების ეკონომიკის განსავითარებლად წარმართვას, ხალხის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ვცდილობთ”, - ნათქვამია ფხენიანის საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაში.

საგარეო ურთიერთობებისა და ეროვნული უსაფრთხოების ინსტიტუტის პროფესორის იუ სუკ-რიუტის აზრით, ჩრდილოეთ კორეის განცხადება საგანგებოდ გაკეთდა, რათა ქვეყნის ეკონომიკურ სირთულეებს ხაზი გაუსვას და შეერთებულ შტატებთან ორმხრივი მოლაპარაკებების დაწყება დააჩქაროს.

ფხენიანის განცხადებას ვაშინგტონის, სეულის ან ტოკიოს მყისიერი კომენტარი არ მოჰყოლია. თუმცა, სავარაუდოდ, შეერთებული შტატები ბირთვული იარაღის, ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და ფულის ერთმანეთთან დაკავშირებას არ მიესალმება. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე თვით ადრე ჩრდილოეთ კორეას, ბირთვული პროგრამების შეწყვეტის სანაცვლოდ, ეკონომიკური დახმარება სამივე ქვეყანამ შესთავაზა.

სეულის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორის პაიკ ძინ-ჰიუნის თქმით, ჩრდილოეთ კორეის არგუმენტები დამაჯერებელი არ არის. “არავინ დაიჯერებს, რომ ფხენიანმა ბირთვული იარაღი ამ მიზეზების გამო შექმნა, - თქვა მან, - ეს ჩრდილოეთ კორეის კიდევ ერთი აბსურდული კომენტარია”.

# საავადმყოფოთა ოპტიმიზაცია გრძელდება

"ამას აუცილებლად გავასაჩივრებთ!" - აცხადებენ "ლეიბორისტები"

*გუშინ საოლქო სასამართლოში დასრულდა არსებითი განხილვა "ლეიბორისტების" სარჩელისა საქართველოს პრეზიდენტის იმ ბრძანებულების წინააღმდეგ, რომელიც საფუძვლად დაედო თბილისის სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაციის პროცესს. "ლეიბორისტები" მოითხოვდნენ აღნიშნული ბრძანებულების გაუქმებას და ოპტიმიზაციის შეჩერებას. სასამართლომ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, მაგრამ "ლეიბორისტებმა" სასამართლო დარბაზი დემონსტრაციულად დატოვეს ჯერ კიდევ განაჩენამდე.*

ზაზა ფაჩუაშვილი

"ლეიბორისტების" გულისწყრომა იმან გამოიწვია, რომ სასამართლო კოლეგიამ მათ მიერ დაყენებული შუამდგომლობები არ დააკმაყოფილა, თუმცა ამის შესახებ მოსარჩელე მხარემ განმარტება ჯერ კიდევ წინა პროცესზე მიიღო, - ყველა შუამდგომლობა მოსამზადებელი სხდომის დროს უნდა დაგეყენებინათო.

მაშინ "ლეიბორისტების" წარმომადგენელი, საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარე, კახაბერ ძაგანია იმ ჩინოვნიკების მოწმედ გამოძახებასაც ითხოვდა, რომლებსაც, მისი თქმით, პრეზიდენტის დანაშაულებრივი ბრძანებულების შექმნაში თავისი წვლილი მიუძღვით. ჩვენ უნდა ვიმსჯელოთ ბრძანებულების კანონიერებაზე, რაშიც მოწმეები ვერ დაგვეხმარებიანო, - იყო სასამართლოს პასუხი.

ამის მიუხედავად, გუშინდელ პროცესზე საქმეში მესამე პირად ჩართვა მოითხოვეს საავადმყოფოებიდან დათხოვნილმა ექიმებმა, რაც სასამართლომ იგივე მიზეზით არ დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ძაგანიამ და მისმა მომხრეებმა სასამართლო დარბაზი დემონსტრაციულად დატოვეს. მათთვის სასამართლო გადაწყვეტილება უკვე ნათელი იყო და აკი განაცხადა კიდეც კახაბერ ძაგანიამ, - ჩვენ ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ უზენაეს სასამართლოშიო.

ამის თაობაზე კომენტარი ვთხოვეთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს, ვასილ ჭეიშვილს:

"სასამართლომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ოპოზიცია, რომელმაც გაასაჩივრა პრეზიდენტის ბრძანებულება საავადმყოფო ქსელის ოპტიმიზაციის შესახებ, შედეგებზე პასუხისმგებლობას არ იღებს.

პასუხისმგებლობას, რომ ოპტიმიზაციის შედეგად ნამდვილად მივიღებთ თანამედროვე დონისა და აღჭურვილობის სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც მკურნალობა ხელმისაწვდომი იქნება, საკუთარ თავზე სახელმწიფო იღებს. ამის ნათელი მაგალითია ლუდუშაურის სახელობის ეროვნული ცენტრი, რომელსაც მალე ინფექციური პათოლოგიების ცენტრიც მიემატება. ისიც იმ დონისვე გახდება; ასევე - ბავშვთა მრავალპროფილიანი საავადმყოფო და ა.შ. იგივე პროცესი რაიონებშიც მიმდინარეობს.

ჩვენ მზად ვართ, ვიმუშაოთ ნებისმიერ ძალასთან, ოღონდ კატეგორიული წინააღმდეგნი ვართ საკითხის პოლიტიზირებისა, რისი პრეცედენტების მომსწრეც ვხდებით, სამწუხაროდ."



"ლეიბორისტები" გუგავა და ძაგანია სასამართლო გადაწყვეტილებას დროზე ადრე მიხვდნენ.

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

**- როგორც "ლეიბორისტებმა" განაცხადეს, საოლქოს გადაწყვეტილებას უზენაესში გაასაჩივრებენ.**

- იცით რაშია საქმე, მე სიმართლეში ასე დარწმუნებული არასოდეს ვყოფილვარ. ოპტიმიზაციის პროცესი ერთადერთი სწორი გამოსავალია შექმნილი სიტუაციიდან.

უფრო მეტსაც გეტყვით, დავინტერესდი სტატისტიკით და აღმოჩნდა, რომ სსრკ-ს რღვევის შემდეგ ველური ბაზრის ანაბარა დარჩენილ საქართველოში წარმოუდგენლად სწრაფი იყო საწოლების შემცირებისა და ექიმების სამსახურიდან დათხოვნის ტემპი. მე თვითონ იმ თაობის ექიმებს ვეკუთვნი, რომლებისთვისაც სამუშაო ფიზიკურად არ არსებობდა.

ოპტიმიზაციის დაწყების შემდეგ ეს დინამიკა გაცილებით დაბალია, ანუ ხდება პროცესის მართვა და არა ველურ ბაზარზე მიშვება, რასაც ოპოზიცია მოითხოვს.

**- "ლეიბორისტები" ამბობენ, - სამედიცინო დაწესებულებებს ხუთწლიანი თავისუფლება მივცეთ და ვნახოთ, რა მოხდება. თუ თავს ვერ მოუვლიან, შემცირებას თავადვე მოახდენენო.**

- ამ პროცესის ბაზარზე "მიგდება," აუცილებელი რეგულირების გარეშე, სამედიცინო კლინიკებს, როგორც არამომგებიან დაწესებულებებს, გაანადგურებს. მაინცდამაინც უნდათ, რომ სამედიცინო დაწესებულებები მკაცრი კონკურენციის პირობებში ჩააყენონ. ჩვენ კი პირიქით, გვსურს შევინარჩუნოთ ჯანდაცვის საღი სისტემა. ამის ნათელი მაგალითია საგადასახადო შეღავათების დაწესებაც, რომელიც ახლახან განხორციელდა და კიდევ ერთი დამატებითი საშუალება იქნება იმისთვის, რომ სამედიცინო დაწესებულებები კარგ ფინანსურ რეჟიმში ჩავაყენოთ. ასეთი პროცესები მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს და ბაზრის ანაბარა არსად არ არის დატოვებული.

## მოკლედ

**თბილისი.** „საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უკვე მოამზადა და საქართველოს მთავრობას და საერთაშორისო სავალუტო ფონდს წარუდგინა სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 85 მილიონი ლარით შემცირების პროექტი. მთავრობაში აცხადებენ, რომ ხელფასებსა და პენსიებს შემცირება არ ემუქრება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულს იმერეთის მხარეში, თემურ შაშიაშვილს განზრახული აქვს, გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მიერ იმერეთს ერთიანად გამორთვის შემთხვევაში, გადამხდელი ობიექტები რეგიონში განთავსებული ჰესებიდან პირდაპირ ჩართოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გადაუდებელი აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, კვლავ გამორთულია 500-კილოვატიანი გადამცემი ხაზი "ქართლი 2", რის გამოც, ელექტროენერგიის მიწოდება მკაცრად არის შეზღუდული თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში. სამუშაოები დღეს უნდა დასრულდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მერიის წინ შეკრებილი მრავალშვილიანი დედები აცხადებენ, რომ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისთვის ქალაქის მერმა ფულადი დახმარება მრავალშვილიანი დედების მხოლოდ ერთ, "რჩეულ" ნაწილს მისცა. მერიაში განმარტავენ, რომ მრავალშვილიანებისთვის ერთი თეთრიც არ მიუციათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთავარი არქიტექტორის, ირაკლი როსტომაშვილის განცხადებით, გარკვეული ძალები მისი რეპუტაციის შელახვას ცდილობენ. ქალაქის მთავარი არქიტექტორის წინააღმდეგ ცილისმწამებლური თავდასხმები მეტროს სადგურ "მარჯანიშვილის" წინ ჯიხურების აღების შემდეგ გახშირებულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში, ლილოს დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელის საკითხი კვლავაც მოუგვარებელია. თბილისის მერიის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექცია კეთილმოწყობის სამსახურისგან ამ ნაგავსაყრელის მოქმედების სასწრაფოდ შეწყვეტას ითხოვს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დაზიანებული გზების საფარის აღდგენისათვის დამატებითი თანხების გამოყოფას კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური თბილისის მუნიციპალიტეტისგან, დაახლოებით, ერთი თვეა ამაოდ ელოდება. ფულის გამოყოფის შემთხვევაში გზები მტკვრის ორივე სანაპიროზე და გარეუბნებშიც აღდგება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბულაჩაურის წყალსადენის სარემონტო სამუშაოების გამო, გლდანის რაიონის მოსახლეობას სასმელი წყალი შეზღუდვით მიეწოდებოდა. მერიაში აცხადებენ, რომ წყალსადენზე სარემონტო სამუშაოები გუშინ დამთავრდა და დღეიდან მოსახლეობა წყალს შეუზღუდავად მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვანო ზოდელავა არ ეთანხმება მერიის ადმინისტრაციული ინსპექციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებას, მარჯანიშვილის მეტროს მიმდებარე ტერიტორიიდან გარე მოვაჭრეთა ჯიხურების აღების თაობაზე. იგი მუმლაძეს ჯერ მოვაჭრეთათვის ალტერნატიული სამუშაოს მოძებნისკენ მოუწოდებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობა ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილ 4 მლნ. ლარს ჯერ კიდევ უშედეგოდ ელოდება, არადა მერმა საბინაო მეურნეობის სამსახურს, რომელსაც ამჟამად არანაირი თანხები არ აქვს, დაზარალებული მოსახლეობისათვის კომპენსაციების გაცემა დაავალა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თამბაქოს ეროვნულმა ცენტრმა სახელმწიფო მინისტრს "თამბაქოს პროდუქციის არალეგალური ბრუნვის აღკვეთის პროფილაქტიკური ღონისძიებების ხელშემწყობი პროგრამა" წარუდგინა. ფინანსთა სამინისტროს განცხადებით, პროგრამაში არის მუხლები, რომლებიც საერთაშორისო ვალდებულებებს არ შეესაბამება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ქუთაისის კვების ობიექტებში შექმნილი მდგომარეობა კატასტროფულად შეფასდა. სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო ინსპექციამ საზოგადოებრივი კვების 21 ობიექტი შეამოწმა და ყველა მათგანში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევები დააფიქსირა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამწლიანი აკრძალვის შემდეგ, წელს ლისის ტბაში ბანაობა დაშვებულია. "ტბაში გაშვებული ლიფსიტები გადარჩნენ, რაც იმის დასტურია, რომ ლისის ტბაში წყალი გაიწმინდა", - აცხადებენ სანიტარული ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში. წყლის ხარისხი ნორმალურია და ბანაობა დასაშვებია თბილისის ზღვაშიც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისის.** თბილისში ნაგვის რაოდენობამ იმატა. გასულ კვირას დიღმის მასივის მე-5 კვარტლში, კოსტავას ქუჩა N8-ში და ბახტრიონის ქუჩაზე ნაგვის კონტეინერები და კორპუსების ბუნკერები არ დაცლილა. დასუფთავების სამსახურებს კატეგორიულად მოეთხოვა, ბუნკერები კვირის განმავლობაში დაცალონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გარდაბანი.** გარდაბნის რაიონში ბოტულიზმის ორი შემთხვევა აღინიშნა. ერთი ოჯახის წევრებს - 19 და 21 წლის ძმებს ბოტულიზმის ინფექცია დაკონსერვებული კიტრის მწნილის მიღების შემდეგ განუვითარდათ. დაავადებულები მკურნალობის კურსს თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში გადიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო მონაცემებით, საგაზაფხულოდ წვევამდელთა ჯარში გაწვევის გეგმა მხოლოდ 33 პროცენტით არის შესრულებული, - ითქვა გუშინ მერიაში გამართულ ტრადიციული თათბირზე. გაწვევა 27 მაისს დაიწყო და 27 აგვისტოს უნდა დასრულდეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კვირა საღამოს დროებით დაიკეტა ცენტრალური სუპერმარკეტი და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ყველა ბაზარი და ბაზრობა. გუშინ იქაურობა დასუფთავდა - გაიტანეს ნაგავი, მოირეცხა ქუჩები, ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო ათიოდე დღის განმავლობაში თბილისის ვაკე-საბურთალოსა და დიდუბის რაიონებში 20 ლიფტი აღდგა. წელს აღდგენილი ლიფტების რიცხვმა 30-ს გადააჭარბა. თითოეული ლიფტის აღსადგენად, საშუალოდ, 4.500-5.000 ლარია გამოყოფილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში წელს, გაზაფხულზე დაგეგმილი გამწვანებითი სამუშაოები ამ კვირაში დასრულდება. ბოლო აქცია დაგეგმილია ისან-სამგორის რაიონში, სადაც 500-მდე ძირი კიპარისის დარგვაა დაგეგმილი. გამწვანებითი სამუშაოები შემოდგომაზეც განახლდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოლდოვაში 7-8 ივნისს ჩატარებულ მნათეთა პირველ საერთაშორისო კონკურსში - "დედამიწის მნათე," საქართველომ, უსახსრობის გამო, მონაწილეობა ვერ მიიღო. კონკურსში სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით გამოვლინდნენ გამარჯვებულები. სპეციალური პრიზები იყო დაწესებული პრესისა და ტელევიზიისგან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში სავაჭრო დახლებზე გასაყიდად გამოჩნდა წიგნი "დიანეტიკა: მეცნიერების ევოლუცია", რომელიც საენტოლოგიის სექტის დაამარსებელს, ლ.რ. ჰაბარდს ეკუთვნის. ამასთან დაკავშირებით საპატრიარქო აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული წიგნი საენტოლოგიის ტოტალიტარული სექტის ცრუ სწავლების შემცველია. **ინტერ-პრესი**

# პრეზიდენტი საბულვარე ტრასას არ თმობს

აცხადებს საკრებულო

*საკრებულოსა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის მიერ შეპირებულ დასასვენებელ-სასეირნო ბულვარს თბილისელები, ჯერჯერობით, ამაოდ ელიან. გამორიცხული არ არის, ეს იდეა აუხდენელ ოცნებადაც დარჩეს. თუმცა, საკრებულოს თავის გასამართლებელი მიზეზი აქვს, პრეზიდენტს კრწანისის რეზიდენციისკენ მიმავალი ტრასის დათმობა არ სურსო, - აცხადებენ საკრებულოს წევრები.*

ნანა ქადაგიშვილი

26 მაისს, მეტეხიდან რესტორან "კრწანისამდე" მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ერთი დღით ტრანსპორტისგან გათავისუფლებამ თბილისელები ძალზედ ასიამოვნა. ორთაჭალელი მამედ-ზადეს ხალიჩებზე წამოკოტრიალებულმა ქალაქელებმა საკრებულოს თავმჯდომარისა და ქალაქის მთავარი არქიტექტორის დაპირება, - ივნისიდან სექტემბრამდე ამ ადგილას ტრანსპორტი არ გაიჭაჭანებსო, - კმაყოფილებით მოისმინეს. ამ იდეამ ბიზნესმენებიც დააინტერესა. ირაკლი როსტომაშვილმა ისიც განაცხადა, - ხეივანში ღია კაფეებს ჩავდგამთ და მტკვარზე კატერებს ავამოძრავებთო. ბიზნესმენებმა არქიტექტურის დეპარტამეტს წინადადებებითაც კი მიმართეს, მაგრამ მთავარი არქიტექტორი საკრებულოს გადაწყვეტილებას ელის; საკრებულო კი, ჯერჯერობით, ზუსტ პასუხს ვერ იძლევა.

"საკრებულომ საზაფხულო ბულვარის პროექტი განიხილა და მაშინვე მოიწონა, მაგრამ ამჟამად საკრებულოს სხდომები პარალიზებულია და გადაწყვეტილების მიღება გაჭიანურდა. არის ერთი მთავარი პრობლემაც - პრეზიდენტი ამ იდეას სასტიკად ეწინააღმდეგება. 26 მაისს ხეივანი ერთი დღით რომ გადავკეტეთ, კანცელარიაში ერთი ამბავი ატყდა. თუმცა, კანცელარიის წინააღმდეგობის მიუხედავად, საკრებულო უკან დახევას არ აპირებს. პრეზიდენტის გადასაწყვეტი არ არის, თბილისელები სად და როგორ შეიკრიბებიან", - აცხადებს ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობის" წევრი გიორგი არველაძე. თუმცა, საკრებულოს არქიტექტურისა და მშენებლობის დროებითი კომისიის ხელმძღვანელი, მანუჩარ მაჩაიძე ნაკლებ ოპტიმისტურ განცხადებას აკეთებს: "საკრებულომ ეს პროექტი კი განიხილა, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერაფერი გადაწყვიტა. მომავალში რას იზამს, ვერ გეტყვით. მე თავიდანვე ვამბობდი, რომ კანცელარია წინააღმდეგობას გაგვიწევდა."

კანცელარიაში ამ საკითხს კომენტარს არ უკეთებენ, მხოლოდ იმას აცხადებენ, - საკრებულოს ჩვენთან არანაირი მოთხოვნა არ გამოუგზავნიაო. მანუჩარ მაჩაიძის განმარტებით, - წესით, საკრებულოს ეს არ ევალება, მაგრამ საქართველოში პრეზიდენტის რეზიდენციისკენ მიმავალი ტრასის გადაკეტვა კანცელარიასთან შეუთანხმებლად გაჭირდებაო.

## ფოსტა

# ვითხოვთ კონტროლის პალატას!

რედაქციაში შემოვიდა ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსის, ქალბატონ ელენე ამირეჯიბის წერილი, რომელიც კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ბატონ სულხან მოლაშვილს სთხოვს, დაინტერესდეს აღნიშნული დეპარტამენტის საქმიანობით. კანონდარღვევის სხვადასხვა ფაქტების მოყვანის შემდეგ ქალბატონი ელენე წერს:

"ბატონო სულხან, ჩვენ შევეცადეთ, ძალიან მოკლედ მოგვეთხრო ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის დეპარტამენტის ირგვლივ გამეფებული განუკითხაობის თაობაზე, იმის შესახებ, რომ, თუკი ამ დეპარტამენტს არ დაახრჩობენ კორუფციის მორევში, მას შეუძლია თავისი ღირსეული სიტყვა თქვას როგორც დარგის, ისე რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარებაში და მნიშვნელოვანი შემოსავალი შეიტანოს ბიუჯეტში.

ჩვენი თხოვნა იქნება, დაინტერესდეთ ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის დეპარტამენტით, დაავალეთ თქვენს თანამშრომლებს, შეისწავლონ ჩვენი საქმიანობა, დაგვეხმარეთ აღვადგინოთ სამართლიანობა და განვახორციელოთ ჩვენი ფუნქციები დარგის ასაღორძინებლად და ქვეყნის საკეთილდღეოდ".

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახაზინო სამსახური

**ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ოპერატიული ინფორმაციის მიხედვით მიმდინარე წლის 3-6 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა:**
**4 887.3 ათასი ლარი**

**1. ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 379.7 ათასი ლარი:**
■ **დისკონტი - 357.9 ათასი ლარი;**
■ **სასამართლო გადაწყვეტილებით ჩამოჭრილი თანხები - 21.8 ათასი ლარი;**

**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 958.6 ათასი ლარი;**

**საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება - 1 974.6 ათასი ლარი;**
■ სკოლა-ინტერნატებისა და ბავშვთა სახლების - 205.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 452.6 ათასი ლარი;
■ უმაღლესი სასწავლებლები - 1 317.0 ათასი ლარი;

**საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი (შრომის ანაზღაურება - წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა) - 51.0 ათასი ლარი;**

**ტრანსფერი ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს (მაისის თვის) - 1 933.0 ათასი ლარი;**

**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 549.0 ათასი ლარი;**

**სხვა საქონელი და მომსახურების" მუხლით - 492.0 ათასი ლარი:**
■ ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (ჩაის პროგრამა) - 29.0 ათასი ლარი;
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 50.0 ათასი ლარი;
■ თავდაცვის სამინისტრო - 374.3 ათასი ლარი;
■ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი - 1.0 ათასი ლარი;
■ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი - 10.8 ათასი ლარი;
■ იუსტიციის საბჭო - 6.5 ათასი ლარი;
■ იუსტიციის სამინისტროს სასჯელარსრულების დეპარტამენტი - 11.8 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 7.8 ათასი ლარი;
■ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო - 0.8 ათასი ლარი;

**საბიუჯეტო ორგანიზაციების სამივლინებო ხარჯები - 57.0 ათასი ლარი;**
■ შინაგან საქმეთა სამინისტრო - 50.0 ათასი ლარი;
■ საქართველოს პარლამენტი - 7.0 ათასი ლარი;

**სულ ხარჯი: 4 887.3 ათასი ლარი;**

**1 ავტომატურ რეჟიმში და იძულების წესით ჩამოჭრილი თანხები - 379.7ათასი ლარი:**
■ **დისკონტი - 357.9 ათასი ლარი;**
■ **სასამართლოს გადაწყვეტილებებით ჩამოჭრილი თანხები - 21.8 ათასი ლარი;**
**2. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დაცული მუხლები - 3 958.6 ათასი ლარი;**
**3. 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული დანარჩენი ხარჯები - 549.0 ათასი ლარი;**
■ **სხვა საქონელი და მომსახურება - 492.0 ათასი ლარი;**
■ **მივლინება - 57.0 ათასი ლარი;**

**თბილისი, 380093, მ.ალექსიძის ქ. N1**
**ტელ/ფაქსი: 92-30-03, ელ.ფოსტა: treasury@iberiapac.ge**

# ბასილ მკალავიშვილის ბედი დღეს გადაწყდება

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გუშინ დილით საოლქო სასამართლოში მოსამართლეებზე ადრე ბასილ მკალავიშვილის მხარდამჭერები გამოცხადდნენ და დილაადრიან დაიწყეს საკუთარი მოძღვრის პატიმრობიდან გადარჩენისთვის ლოცვა. სასამართლოს შენობასთან აქციაზე თავად ძებნილი მკალავიშვილისთვის თვალი არავის მოუკრავს, თუმცა ეკლესიიდან განკვეთილი მღვდლის, გლდანის ეპარქიის წინამძღვრის ფუნქცია გუშინ საპროტესტო აქციაზე მისულმა პოლიტიკოსებმა – გურამ შარაძემ, სანდრო ბრეგაძემ, ჯემალ გამახარიამ, გურამ აბსანძემ და ბრალდებულის ინტერესების დამცველმა ქართლოს ღარიბაშვილმა შეასრულეს.*

საოლქო სასამართლოს ეზოში რამდენიმე საათის განმავლობაში ხელიდან ხელში გადადიოდა მეგაფონი. მკალავიშვილის მხარდამჭერები და მათთან ერთად მყოფი პოლიტიკოსები, "ღვთისა და ერის სახელით," რისხვას უგზავნიდნენ მათთვის არასასურველ, უფრო სწორად, "საძულველ" ადამიანებსა და ორგანიზაციებს და "ქვეყნის მოღალატეებს" ჯოჯოხეთისა და იუდას გზას უყენებდნენ. **"ჩვენ ვართ ჭეშმარიტი ქართველები, ჭეშმარიტი მართლმადიდებლები, ყველა დანარჩენი წყალს წაუღია, მთავარია, მამა ბასილი გვყავდეს კარგად",** - ასეთი შინაარსი ჰქონდა საოქლო სასამართლოს შენობის წინ მიმდინარე სანახაობას.

როგორც გუშინ გაირკვა, ძებნილი მკალავიშვილის მომხრეები საკუთარ ლიდერს, თურმე, საპარლამენტო არჩევნებისთვის ამზადებენ. **"დიახაც, მამა ბასილმა კენჭი უნდა იყაროს პარლამენტში და დაუპირისპირდეს ყველა ულირსს. ვინ ზის იქ მასზე ჭკვიანი? სწორედ მას შეუძლია ქვეყნის გადარჩენა",** - ამაყად აცხადებდნენ მკალავიშვილის მიმდევრები და ემოციური შეძახილებით ერთმანეთს ამხნევებდნენ. "სექტანტური ლიტერატურა დავწვი მე", - ასეთი პლაკატები ამშვენებდა აქციის, თითქმის, ყველა მონაწილეს.




*მამა ბასილის მხარდამჭერები სამოქალაქო დაპირისპირებით იმუქრებიან.*

**"გაუქმდეს მკალავიშვილის დაპატიმრების ბრძანება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყება; ომს დავიწყებთ ჩვენ; ფრთხილად იყავით, თორემ, სამოქალაქო ომი სწორედ ამ სასამართლოს ეზოდან დაიწყება",** - იმუქრებოდნენ შეკრებილები და საოლქო სასამართლოს მოსამართლეებს კატეგორიულ დავალებასა და გაფრთხილებას აძლევდნენ.

ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე, მამუკა ნოზაძე, რომელმაც მკალავიშვილის დაპატიმრების სანქცია გასცა, შეკრებილთა წყევლა-კრულვისა და შეჩვენების ძირითადი ობიექტი აღმოჩნდა. გლდანის ეპარქიის მრევლმა, ქართლოს ღარიბაშვილმა და გურამ შარაძემ, ის გუშინ სამსახურიდან "გაათავისუფლეს" და კიდევ ბევრი მოსამართლე და პროკურორიც მიაყოლეს. თანამდებობები "დაატოვებინეს" პარლამენტარებს, ედუარდ შევარდნაძეს კი პრეზიდენტობა შეუწყვიტეს. "თანამდებობებიდან გათავისუფლება" მარტივად, სიის მიხედვით ხდებოდა.

**"ხალხო, აბა, მითხარით, არის თუ არა მოსახსნელი?",** - კითხვებს ქართლოს ღარიბაშვილი სვამდა.

**მოსახსნელია, მოსახსნელია, გასადევნია",** - ერთხმად პასუხობდნენ მომიტინგეები და, მათი გადაწყვეტილებით, პროკურორები, მოსამართლეები, პარლამენტარები თანამდებობებიდან "თავისუფლდებოდნენ".

ამ ხმაურისა და ხალხმრავლობისას კი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი, ჩატარდებოდა თუ არა ბასილ მკალავიშვილის სასამართლო პროცესი, რომელიც მისი პატიმრობის საკითხს გადაწყვეტდა. ამის გასარკვევად ბრალდებულის ადვოკატმა, ქართლოს ღარიბაშვილმა სასამართლოს ეზოდან შენობაში გადაინაცვლა და ცოტა ხანში კვლავ მომხსენებლის როლში გამოვიდა.

ბოლოს და ბოლოს გაირკვა, რომ საოლქო სასამართლოს მკალავიშვილის საქმე გუშინ მიუღია, შესაბამისად, სასამართლო საქმის გუშინვე განხილვას ვერ მოახერხებდა. პროცესი დღეისთვის გადაიდო. გლდანის მრევლის თავკაცის პატიმრობის საკითხს საოლქო სასამართლო დღეს გადაწყვეტს. ემოციებით დატვირთული გამოსვლებით, ლექსების თქმითა და სიმღერებით დაღლილმა მომიტინგეებმა გუშინ მშვიდობიანად დაშლა არჩიეს, მათთვის განკუთვნილ ავტობუსებში მოთავსდნენ და გლდანის გზას გაუდგნენ. თუმცა, საბოლოო სიტყვა მაინც დატოვეს. მკალავიშვილის მხარდამჭერთა მუქარა ძალაში რჩება - იმ შემთხვევაში, თუ დღეს საოლქო სასამართლო ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას არ გააუქმებს და მოსამართლე მამუკა ნოზაძის მიერ გაცემულ დაპატიმრების სანქციას ძალაში დატოვებს, სხვისი ქონების განადგურებაში ბრალდებულის მხარდამჭერები ფართომასშტაბიან მანიფესტაციებს გეგმავენ იუსტიციის სამინისტროს, პარლამენტისა და კანცელარიის შენობებთან და აცხადებენ, რომ უკან არაფერზე დაიხევენ, პოლიციელებზე ნაკლები ძალა არ აქვთ და, თუ საჭირო გახდება, ნებისმიერ უკიდურეს ზომასაც მიმართავენ მოძღვრის გასათავისუფლებლად.

# ნარკოვაჭრებმა დიდი ზარალი ნახეს

ორიოდ დღის წინ, თბილისის პოლიციამ ნარკოტიკების რეალიზატორთა სერიოზული ჯგუფი დააკავა, სარეალიზაციოდ გამზადებული ჰეროინის მსხვილი პარტიით. მთელი ჰეროინის – არც მეტი არც ნაკლები – 2 კგ და 317 გრამი, უკვე ეგრეთ წოდებულ "ბაშებად" იყო დაფასოებული. საერთო ჯამში, ნარკორეალიზატორთაგან ამოღებულმა ჰეროინმა 1500 "ბაშა" შეადგინა და, უხეში დაანგარიშებით, მათ 200 ათას დოლარს მოუტანდა.

პოლიციამ, თავდაპირველად, ორი ქალი დააკავა. გლდანის IV მკ/რში მცხოვრებ 23 წლის ანა ფიფიასა და 28 წლის შორენა გორდელავას დაფასოებული 2 კგ და 17 გრამი ჰეროინი ბინაში უპოვეს. მოგვიანებით, კოსტავას ქუჩაზე, სამორინე "ევროპის" მახლობლად, დააკავეს მათთვის "საქონლის" მომწოდებელი 40 წლის თემურ შულაია, რომლის მანქანის ჩხრეკისას სამართალდამცველებმა დანარჩენ ნარკოტიკებს მიაგნეს.

ამოღებული ნარკოტიკები, სავარაუდოდ, რუსეთიდან არის შემოტანილი, თუმცა, პოლიციას დაკავებული შულაიასთვის კონტრაბანდის ბრალდების წაყენება, ჯერჯერობით, უჭირს. თემურ შულაია ამჟამად წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება, მისი თანამზრახველი ქალბატონები თავდებით გაათავისუფლეს. თუმცა კი, სამივე მათგანს წაყენებული აქვს ბრალი, ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ შენახვარეალიზაციის მუხლით, რაც 8-დან 25 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

# ყაჩაღური ჯგუფის წევრი საქმის შემკვეთთან ერთად დააკავეს

რამდენიმე დღის წინ პოლიციამ "შერატონ მეტეხი პალასის" მიმდებარე ტერიტორიაზე დედაქალაქში მოქმედი დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრი, ზუგდიდელი 23 წლის მალხაზ კვარაცხელია დააკავა. დაკავებულს 0,17 გრამი ჰეროინი აღმოაჩნდა. მოგვიანებით ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად კი დადგინდა, რომ 2002 წლის აპრილში მალხაზ კვარაცხელიამ და მასთან ერთად სამმა, ამჟამად ძებნაში მყოფმა პიროვნებამ შეიარაღებული თავდასხმა განახორციელეს სააქციო საზოგადოება "ინჟმშენის" თანამშრომლებზე. კერძოდ, სააქციო საზოგადოების ტერიტორიაზე თავს დაესხნენ "ვაზ 21-21" ტიპის მანქანას, რომელშიც, მძღოლის გარდა, ისხდნენ "ინჟმშენის" გენერალური დირექტორის მოადგილე და მოლარე. ყაჩაღებმა მათ, იარაღის მუქარით, ორგანიზაციის თანამშრომელთათვის განკუთვნილი სახელფასო თანხა წაართვეს და მიიმალნენ.

ამჟამად უკვე დადგენილია იმ პირის ვინაობაც, რომელმაც ბოროტმოქმედებს საქმე შეუკვეთა- პოლიციამ დააკავა აფხაზეთიდან დევნილი, ამჟამად თბილისში მცხოვრები ნუკრი ჩხეტია. იგი "ინჟმშენის" თანამშრომელი აღმოჩნდა და, შესაბამისად, ზუსტად იცოდა, როდის უნდა გამოეტანა მოლარეს ბანკიდან ხელფასის თანხა და რა მარშრუტით იმოძრავებდა მანქანა. ოპერატიული ღონისძიებების შედგად დადგენილია, რომ ყაჩაღობის გეგმა ჩხეტიამ კვარაცხელიასთან ერთად შეიმუშავა.

რაც შეეხება მალხაზ კვარაცხელიას, მას, პოლიციის მონაცემებით, სხვა დანაშაულებიც აქვს ჩადენილი. მაგალითად, როგორც სამართალდამცველებისთვის გახდა ცნობილი, წელს თებერვალსა და მარტში მას გლდანის რაიონში არაერთი ბინა გაუქურდავს, ხოლო მაისში ქერჩის ქუჩიდან "მერსედესის" მარკის მიკროავტობუსი გაუტაცია და 1500 დოლარად მიუყიდია ჯერჯერობით დაუდგენელი პიროვნებისთვის.

# პრეზიდენტის დაცვის სამსახურის თანამშრომელი პროკურატურამ გაათავისუფლა

*რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტის რეზიდენციასთან მომხდარი ინციდენტის მონაწილე, სამხედრო პროკურატურის მიერ განზრახ მკვლელობისთვის დაკავებული სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელი, ბიჭიკო გუჩმაზაშვილი სამხედრო პროკურატურამ, მტკიცებულებების არარსებობის გამო, პატიმრობიდან გაათავისუფლა.*

თბილისის სამხედრო პროკურორის, კობა კობიაშვილის განცხადებით, გამოძიებამ ჯერჯერობით ვერ მოაგროვა მტკიცებულებები, რომლითაც მოხდებოდა გუჩმაზაშვილის დადანაშაულება ადამიანის განზრახ მკვლელობაში. **"დაპატიმრებამდე მტკიცებულებები უნდა შევაგროვოთ,"** - განაცხადა კობიაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ გასულ კვირას ბევრეთის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტისას სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა, რომლებიც ბევრეთის ქუჩაზე მიღებული შეტყობინების შემდეგ გავიდნენ, ცეცხლი გაუხსნეს სწრაფად მომავალ ავტომანქანა "ვაზ-2107"-ს. ცეცხლის გახსნის შემდეგ ავტომანქანაში მჯდომი 20 წლის დავით შამანიანი დაიღუპა, ხოლო ორი მგზავრი მძიმედ დაიჭრა.

სახელმწიფო დაცვის თანამშრომლების კონტროლის ზონაში გასვლას პრეზიდენტის რეზიდენციის სიახლოვეს მდებარე ბევრეთის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტი უსწრებდა წინ. ინციდენტისას შეიარაღებული შეტაკება მოხდა სამართალდამცველებისთვის უცნობ პირებს შორის.

კობა კობიაშვილის თქმით, ორ დაუდგენელ დაჯგუფებას შორის მომხდარ შეტაკებაში, შესაძლოა, გარდაცვლილი დავით შამანიანიც მონაწილეობდა და მისი დაჭრაც აღნიშნულ დროს მოხდა და არა სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლების მიერ ცეცხლის გახსნის დროს. თბილისის სამხედრო პროკურორი, რატომღაც, არ საუბრობს იმ ორ ადამიანზე, რომლებიც მანქანის დაცხრილვისას დაიჭრნენ და, რომელთაგან ერთი ახლაც უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება; არც იმაზე, რომ სახელმწიფო დაცვის თანამშრომლები ცეცხლის გახსნის მომენტში უკანონოდ მოიქცნენ. სხვათა შორის, ერთადერთი დაჭრილი ადამიანი, რომელიც თავდასხმამდე მანქანაში იმყოფებოდა, ელზა შამოიანია, რომელიც მანქანაში მყოფ სამ მამაკაცს საავადმყოფოში მიჰყავდა.

კობა კობიაშვილი აცხადებს, რომ დანიშნულია ხუთი ექსპერტიზა, რომელმაც უნდა დაადგინოს, თუ რა დროს და ვინ დაჭრა სასიკვდილოდ შამოიანი. **"აუცილებლად უნდა მოხდეს საგამოძიებო მასალების შეჯერება და თუ გუჩმაზაშვილის ან სხვა პირების ბრალეულობა დადგინდება, მათ დავაკავებთ,"** - აცხადებს კობა კობიაშვილი.

*"24 საათი"*

# დააკავეს გატაცებაში ეჭვმიტანილნი

ორიოდ დღის წინ პოლიციამ ადამიანის გამტაცებელთა ორკაციანი ჯგუფი დააკავა. მათ ბრალად ედებათ 16 მაისს ბაღდათელი გიგა ჩხეიძის გატაცება.

თავად გიგა ჩხეიძე ახალგაზრდა ბიზნესმენია – ქუთაისში საწვავის ბიზნესს ეწევა; ამბობენ იმასაც, რომ მის ნაწილობრივ საკუთრებაშია ერთ-ერთი მსხვილი ნავთობბაზაც.

გიგა ჩხეიძის გატაცების ირგვლივ მოვლენები საკმაოდ უცნაურად განვითარდა. ჟურნალისტების მიერ გახმაურებულ ინფორმაციას არ ადასტურებდნენ არც სამართალდამცველი ორგანოები და არც თავად ჩხეიძის ოჯახის წევრები. მეტიც, გიგა ჩხეიძის გაუჩინარებიდან მეორე დღესვე მისი შინ დაბრუნება მამამისმა მშვიდად ახსნა, – მე თავად მყავდა საქმეზე გაგზავნილიო. მიუხედავად ამისა, მაშინვე მოხერხდა გარკვეული ინფორმაციის მოპოვება, რომლის თანახმადაც, 19 წლის გიგა ჩხეიძე უკანასკნელად ქუთაისში, საღორიას ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე ნახეს. იგი ბაღდათიდან ქუთაისისკენ მიდიოდა, როდესაც ავტობუსის გაჩერებასთან რამდენიმე ნიღბიანი პიროვნება გადაეღობა და მანქანაში გადაჯდომა მოსთხოვა. ჩხეიძეს თან ფეხმძიმე მეუღლე და ოჯახის სხვა წევრები ახლდნენ. მას შემდეგ ერთი დღე-ღამის განმავლობაში გიგა ჩხეიძე აღარ უნახავთ. თუმცა, გავრცელდა ხმები, რომ იგი ფულის გამოძალვის მიზნით გაიტაცეს. ამბობდნენ, - გამტაცებლებმა სოლიდური თანხა მოითხოვეს და მიიღეს კიდეცო.

სხვათა შორის, ამ გაურკვევლობაში, როცა ოჯახი გატაცების ფაქტს არ ადასტურებდა, შინაგან საქმეთა მინისტრი პირდაპირ ეთერში დაჰპირდა მოსახლეობას, - ამ გატაცების ფაქტს უყურადღებოდ არ დავტოვებთო. ამჯერად ნარჩემაშვილმა პირობა შეასრულა. გოგა ჩხეიძეს გატაცებაში ეჭვმიტანილები - ქუთაისელი, რამდენჯერმე ნასამართლები, 45 წლის ავთანდილ კერვალიშვილი და თბილისელი იაკობ ხიტიბოშვილი, პოლიციამ ორი დღის წინ დააკავა. გუშინ კი იმ სახლსაც მიაგნეს, სადაც გამტაცებლები გატაცებულს მალავდნენ. თერჯოლის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მდებარე სახლში პოლიციამ გუშინ იარაღსაც მიაგნო – ავტომატსა და პისტოლეტს. სხვა ინფორმაციის გაცემისგან სამართალდამცველები ჯერჯერობით თავს იკავებენ. ამ ეტაპზე მათ მიზანშეუწონლად მიაჩნიათ იმაზე საუბარიც, თუ რა პოზიცია აქვთ დაზარალებულ ჩხეიძეს და მის ოჯახს ეჭვმიტანილთა დაკავების შემდეგ.

# გატაცებულთა მაძიებლები ოპტიმისტურად არიან განწყობილნი

*კოდორის ხეობაში სიტუაცია სულ უფრო იძაბება. გაერო-ს გატაცებულ დამკვირვებელთა და მათი ქართველი თარჯიმნის მაძიებელთა ყურადღება ამჟამად მთლიანად სოფელ ომარშარაზეა მიპყრობილი. როგორც სამაძიებლო ღონისძიებების ხელმძღვანელი, კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი ამბობს, სოფელი სამეთვალყურეო ალყაშია, რადგანაც, სავარაუდოდ, გამტაცებლები მძევლებს აქ უნდა ამყოფებდნენ.*

სოფიკო ჩხაიძე

კოდორის ხეობაში გუშინდელი დილა, როგორც ბოლო ხუთი დღე, ჩვეულებისამებრ დაიწყო. ემზარ კვიციანი დილიდანვე იმედებს გამოთქვამდა, რომ გატაცებულებს - კლაუს ოტს, ჰერბერტ ბაუერს, ჰენრიკ სორენსენს და მათ ქართველ თარჯიმანს ლაშა ჭიქაშუას მაინცდამაინც გუშინ საღამომდე მიაგნებდნენ. კვიციანის იმედებს გუშინაც იგივე საფუძველი ჰქონდა, რაც წინა დღეებში: ადგილობრივი ბატალიონის "მონადირის", ძალოვანთა სპეცრაზმის, კოჯრის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის ჯგუფის, თბილისიდან ჩასული კინოლოგებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მზადყოფნა და მონდომება. სხვათა შორის, კოდორელები გუშინაც შეიკრიბნენ და თავკაცს შეჰფიცეს, რომ თუკი რამეს შეიტყობენ გატაცებულთა შესახებ, არ დამალავენ. გუშინაც, როგორც წინა დღეებში, გაჟღერდა გატაცების ახალი ვერსია, ოღონდ ამჯერად - აფხაზთა მხრიდან. აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ ვარაუდი გამოთქვა, რომ გაერო-ს დამკვირვებელთა გატაცება კოდორის ზემო ხეობაში თავდაცვის სამინისტროს რეგულარული ქვედანაყოფების განთავსებისათვის საბაბად გამოიყენეს.

რაც შეეხება გამტაცებელთა სატელეფონო კავშირზე გამოსვლას, ეს ფაქტი გუშინ ოფიციალურად დაადასტურა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილემ ჯემალ გახოკიძემ, რომელმაც თქვა, რომ სატელეფონო კავშირი უკვე რამდენჯერმე შედგა, თუმცა, ბოროტმოქმედთა მიერ მოთხოვნილი თანხის სიდიდე იცვლება – თუ აქამდე გამოსასყიდ თანხად 2 მილიონი დოლარი სახელდებოდა, ახლა, გატაცებულთა გათავისუფლების სანაცვლოდ, 3 მილიონს ითხოვენ. გახოკიძემ იმასაც გაუსვა ხაზი, რომ არც საქართველოს ხელისუფლება, არც გაერო-ს მისია გამტაცებელთა მიერ წაყენებული პირობების შესრულებას არ აპირებს.

სამაგიეროდ, კრიმინალებთან დიალოგისა და მოლაპარაკებებისთვის საქართველოს ხელისუფლების მზადყოფნაზე საუბრობდა გუშინ საქართველოს პრეზიდენტი. ოღონდ, რაღა თქმა უნდა, კეთილი მიზნებით – **"საფრთხე რომ არ შეექმნათ გაერო-ს მისიის თანამშრომლებს"**. გარდა ამისა, გუშინ პრეზიდენტი წმინდა ადამიანურ გრძნობებზეც ალაპარაკდა და მავანთა უმადურობის გამო სინანული გამოთქვა, კერძოდ: **"ხეობაში, რომლისთვისაც, შესაძლებლობების ფარგლებში, ხელისუფლება, სხვა მთიან რეგიონებთან შედარებით, ყველაფერს აკეთებს, ერთი კაცი მაინც მოიძებნა, ვისაც ამგვარი განზრახვა გაუჩნდა"**, - გული წყდება პრეზიდენტს.

**"საერთაშორისო დამკვირვებლებზე ხელის აღმართვა მხოლოდ ქვეყნის მოღალატეს და ავისმოსურნეს შეუძლია"**, – აცხადებს შევარდნაძე და იმედი აქვს, რომ ხეობის მოსახლეობა და მისი ხელმძღვანელი, რომელსაც იგი ენდობა, **"საკადრის პასუხს გასცემს მას, ვინც ეს ჩაიდინა"**.

პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი კი ცდილობს, რომ პრეზიდენტის ნდობა გაამართლოს, თუმცა ჯერჯერობით, უშედეგოდ. მისი თქმით, სამძებრო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს. სამხედროებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხეობა მთლიანად ჩაკეტილია, იგი თავიდან ბოლომდე კონტროლდება და გამორიცხულია, რომ მძევალთა გათავისუფლება ვერ შეძლონ. მისივე თქმით, გარკვეული ინფორმაცია გამტაცებლების თაობაზე უკვე არსებობს, თუმცა ამ ეტაპზე მისი დაკონკრეტება მიზანშეუწონელია.

გავრცელებული ინფორმაციით, თუ მაძიებელთა იმედები გაცრუვდა, დღეს ხეობაში დამატებითი ძალები, ძირითადად, თავდაცვის სამინისტროს ნაწილები შევლენ.

## მოსკოვში კიდევ ერთი მენეჯერი მოკლეს

მოსკოვის სიახლოვეს მოკლეს ღია სააქციო საზოგადოების "როტეკ"-ის კომერციული დირექტორი, სერგეი შიტკო. საზოგადოება ჰოლდინგ "ალმაზ-ანტეის" შემადგენლობაში შედიოდა.

მილიციამ შიტკოს ცხედარი ოქტომბრის ქუჩაზე კაფე "გირჩას" სიახლოვეს გაჩერებულ მისივე "ტოიოტაში" აღმოაჩინა. კომერციულ დირექტორს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჰქონდა სამი ჭრილობა.

სერგეი შიტკო რამდენიმე დღის წინ მოკლული "ალმაზ-ანტეის" გენერალური დირექტორის, სერგეი კლიმოვის უახლოესი გარემოცვის წევრი იყო. სერგეი კლიმოვი კი რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი და პუტინთან დაახლოებული ადამიანი გახლდათ. კლიმოვის მკვლელობის საქმეს რუსეთის გენერალური პროკურატურა იძიებს. "კლიმოვისა და შიტკოს მკვლელობა ერთი ჯაჭვია, ამიტომაც, მოსალოდნელია, რომ ეს საქმეები გაერთიანდება", - განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა. შიდა დაზვერვის სამსახურის ოფიცერი, იგორ კლიმოვი კონცერნში პირადად ფსბ-ს დირექტორის, გენერალ ვიქტორ ივანოვის ბრძანებით დაინიშნა.

კონცერნი "ალმაზ-ანტეი" გასულ წელს პრეზიდენტ პუტინის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა და საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის საშუალებების ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი იყო. "იგორ კლიმოვის მკვლელობის საქმე პრეზიდენტ პუტინმა მკაცრ კონტროლზე აიყვანა", - განაცხადა მოსკოვის პროკურორმა მიხაილ ავდიუკოვმა. რუსეთის მასმედია გამოთქვამს ვარაუდს, რომ კლიმოვი, რომელიც ვლადიმირ პუტინის სანდო ადამიანის სტატუსით სარგებლობდა, სიცოცხლეს გამოასალმეს დაქირავებულმა მკვლელებმა, მკვლელობა კი კონცერნის გენერალური დირექტორის სავარძლის პრეტენდენტმა შეუკვეთა. კლიმოვის მკვლელობის შემკვეთის ვინაობა ჯერჯერობით არ სახელდება.

## ლონდონის სასამართლომ ახმედ ზაკაევის ექსტრადიციის საქმის განხილვა დაიწყო

ლონდონის სასამართლომ რუსეთის გენერალური პროკურატურის მოთხოვნის განხილვა დაიწყო. საუბარია ახმედ ზაკაევის რუსეთში ექსტრადიციაზე. როგორც ცნობილია, ახმედ ზაკაევს რუსმა სამართალდამცველებმა უმძიმეს დანაშაულებში, მათ შორის ტერორიზმში დასდეს ბრალი.

გუშინ დაწყებულ სასამართლო პროცესზე ბრალმდებელმა სასამართლოს მიმართა თხოვნით, საქმის სრულყოფილი განხილვისთვის კიდევ ოთხი დღე გამოიყოს. მოსამართლე ტიმოთი უორკმანმა ბრალმდებლის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ზაკაევის სასამართლო პროცესს კიდევ ორი დღე დაუთმო – 30 ივნისი და 1 ივლისი.

ახმედ ზაკაევის ლონდონში ცხოვრებისა და ასევე საადვოკატო მომსახურების ხარჯებს ბორის ბერეზოვსკი იხდის. სხვათა შორის, ახმედ ზაკაევისა და ბორის ბერეზოვსკის საქმეებს ერთი და იგივე მოსამართლე განიხილავს.

რუსეთის პროკურატურის განმარტებით, ცოტა ხნის წინათ რუსეთის სახელმწიფო დუმის მიერ მიღებული დადგენილება ჩეჩნეთში ამნისტიის გამოცხადების შესახებ ახმედ ზაკაევს არ შეეხება. "ამნისტია არ შეეხებათ იმ პირებს, რომლებიც ბრალდებული არიან მკვლელობაში, ადამიანის გატაცებაში და სხვა უფრო მძიმე კატეგორიის დანაშაულში, ამიტომაც ახმედ ზაკაევი, რა თქმა უნდა, ამნისტიას არ ექვემდებარება," – განაცხადა რუსეთის გენერალური პროკურატურის წარმომადგენელმა.

## ესპანეთის პროკურორი იუსტიციის მინისტრს უჩივის

ესპანეთის უზენაესმა სასამართლომ განსახილველად მიიღო მადრიდის გენერალური პროკურორის სარჩელი. პროკურორი მარიანო ფერნანდეს ბერმეხო იუსტიციის მინისტრს ხოსე მარია მიჩავილს ღირსებისა და პატივის შელახვისთვის უჩივის.

კონფლიქტი პროკურორსა და მინისტრს შორის 29 აპრილს მოხდა, მას შემდეგ, რაც პროკურორმა იუსტიციის სამინისტროს მუშაობა გააკრიტიკა. პროკურორის კრიტიკა იუსტიციის მინისტრმა პირად შეურაცხყოფად მიიღო და გენერალური პროკურორს უწოდა უცოდინარი მეტიჩარა, რომელსაც მუშაობა არ სურს. მომხდარი კონფლიქტისას ძალიან ბევრმა მოსამართლემ და პროკურორმა ესპანეთის გენერალური პროკურორის პოზიცია დაიკავა. ესპანეთის პრესის ინფორმაციით, ეს პირველი შემთხვევაა ესპანეთის სასამართლო პრაქტიკაში, როცა მაღალი რანგის სამართალდამცველთა დავა განიხილება.

## მოკლედ

**თბილისი.** მიუხედავად იმისა, რომ ბერ ბასილ მაჩიტაძის გატაცების ორგანიზებაში ეჭვმიტანილები, ხიზრი ხანგოშვილი და ჯემალ ცათიაშვილი პანკისის ხეობაში 4 ივნისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ, საქართველოს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები გატაცების საქმის გახსნას მაინც იმედიანად უყურებენ. ორივე უწყების წარმომადგენლები ადასტურებენ, რომ მათ ხელთ არსებული ინფორმაციით, ბერი მაჩიტაძე ცოცხალი უნდა იყოს. როგორც ცნობილია, ხანგოშვილი სპეცოპერაციის დროს დაიჭრა და იგი 6 ივნისს საავადმყოფოში გარდაიცვალა. უშიშროების ადგილობრივი სამსახურის წარმომადგენლებმა ხანგოშვილის დაკითხვა მოახერხეს, რაც გატაცებაში მონაწილე სხვა პირებზე გასვლისა და, შესაბამისად, ბერის გათავისუფლების შანსებს ზრდის. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მაჩიტაძის გათავისუფლების მიზნით არ შეწყვეტილა და ამჟამადაც გრძელდება. **მედია-ნიუსი.**

**ქუთაისი.** იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ძალოვანი სტრუქტურების ერთობლივი ინიციატივით, პოლიციასთან, პროკურატურასთან და უშიშროებასთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით, ქუთაისში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური შეიქმნა. ახალი სამსახური საქალაქო ადმინისტრაციის შენობაში განთავსდება და მოსახლეობას სამივე უწყების შესახებ ნებისმიერი ინფორმაციას მიღება შეეძლება.

ძალოვანი სტრუქტურების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისთვის იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ფონდი ყოველთვიურად 1300 ლარს გაიღებს. სამსახურის ტექნიკური უზრუნველყოფა ამავე ფონდიდან მოხდება. **ინტერ-პრესი**

**თბილისი.** საოლქო სასამართლოში საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადმოკვეთაში ბრალდებული ხამზატ ისაევის სასამართლო პროცესი, მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო, გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო. განსასჯელის ადვოკატმა არჩილ ჩოფიკაშვილმა სასამართლოს განსახილველ საქმეში არსებული იმ მტკიცებულებების ამოღება მოსთხოვა, რომელიც, მისი თქმით, ისაევის დაკავების დროს არასათანადო წესით იყო მოპოვებული.

გუშინდელ პროცესზე არ გამოცხადდნენ მოწმეები - ისაევთან ერთად დაკავებული ქისტი ეროვნების მოქალაქეები - კუშტანაშვილი და მარგოშვილი, რომლებიც სასამართლომ გაათავისუფლა. **ინტერ-პრესი**

# საქართველოს კაპიტალის ბაზარი

საინვესტიციო ბანკი "გალტ ენდ თაგარტ სიქიურითის" (G&T) იწყებს ფართო საზოგადოებისათვის საქართველოს საფონდო ბაზრის მოკლე ყოველკვირეული ანალიზის შეთავაზებას. ჩვენი პირველი გამოშვება დღეისთვის არსებული ინსტრუმენტების მოკლე აღწერას დაეთმობა.

საქართველოში ორგანიზებული საფონდო ბაზრის ჩამოყალიბებას 1999 წლიდან ჩაეყარა საფუძველი, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი საფონდო ბაზრის შესახებ. ამ კანონის საფუძველზე 2000 წელს ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს საფონდო ბირჟამ (სსბ). საფონდო ბირჟებზე მიმდინარე პროცესების ამსახველ ინსტრუმენტებს საფონდო ინდექსები წარმოადგენს, რომელთა მრავალფეროვნებითაც ხასიათდება განვითარებული საფონდო ბაზრები. მსოფლიო პრაქტიკაში პირველი საფონდო ინდექსი 1884 წელს გამოჩნდა, როდესაც ჩარლზ დოუმ ე.წ. "ინდუსტრიული საშუალო" გაიანგარიშა. თავდაპირველად ინდექსის გაანგარიშება 11 კომპანიის მაჩვენებელთა საფუძველზე ხდებოდა; ძირითადად, ეს სარკინიგზო კომპანიები იყო. ამჟამად "დოუ-ჯონსის ინდუსტრიულ საშუალოს" შემადგენელი 30 კომპანიის ფასიანი ქაღალდი ინდივიდუალური პირებისა და ინვესტორების ფართო დაინტერესების საგანს წარმოადგენს. ამ აქციების ჯამური კაპიტალიზაცია (გამოშვებული აქციების რაოდენობის აქციის ფასზე ნამრავლი) ნიუ-იორკის ბირჟაზე კოტირებული ფასიანი ქაღალდების შესაბამისი ჯამური მაჩვენებლის, დაახლოებით, მეოთხედს შეადგენს.

საფონდო ინდექსის მთავარი ამოცანა, როგორც ეს პირველი მცდელობისას იყო გათვალისწინებული, ბირჟაზე მიმდინარე პროცესების დახასიათებას წარმოადგენს. საფონდო ინდექსი ასახავს აქციების გარკვეული ჯგუფის ფასის ცვალებადობას, რაც ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციების დანახვის საშუალებას იძლევა. იმის მიხედვით, თუ რა კრიტერიუმებით არის შედგენილი ინდექსი, ანუ ეს არის დარგობრივი თუ უფრო ზოგადი სახის ინდექსი, შესაძლებელი ხდება შესაბამისი დასკვნების გაკეთება ეკონომიკის კონკრეტული სექტორის, ან ზოგადად, ბაზრის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში "გალტ ენდ თაგარტ ბლუ ჩიპ ინდექსი" (GTBCI), რომელიც დღეისათვის ერთადერთ საფონდო ინდექსს წარმოადგენს ქვეყანაში, 2001 წლის 1 იანვრიდან შემოიღო ჩვენმა კომპანიამ. ჩვენი ინდექსის გაანგარიშების მეთოდოლოგია Nasdaq-ის ინდექსების ანალოგიურია და კაპიტალიზაციის ცვლილების ასახვას ეფუძნება. ინდექსის გაანგარიშებისას ხდება შერჩეული კომპანიების კაპიტალიზაციების ჯამის დათვლა და იანგარიშება ამ სიდიდის პროცენტული თანაფარდობა დროის სხვადასხვა მომენტისათვის საწყის მაჩვენებელთან მიმართებით. თუმცა, შარშანდელი ზაფხულის შემდეგ, ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად, ინდექსის დათვლისას ვითვალისწინებთ გამოშვებული აქციების თავისუფალი მიმოქცევის კოეფიციენტს. თავისუფალი მიმოქცევის კოეფიციენტი, კომპანიის მსხვილი აქციონერების და მენეჯმენტის მფლობელობის გარდა, მიმოქცევაში არსებული აქციების პროცენტულ მაჩვენებელს წარმოადგენს. ინდექსის გაანგარიშებისას ამ კოეფიციენტის მიხედვით ხდება კაპიტალიზაციის მაჩვენებლის შესწორება. განვითარებადი ბაზრების შემთხვევაში ეს საშუალებას იძლევა დაბალი ლიკვიდურობის პირობებში თავიდან იქნეს აცილებული ინდექსის დიდი ცვალებადობა.

ინდექსის შედგენის დროს კომპანიების შერჩევისას სხვადასხვა კრიტერიუმებს ექცევა ყურადღება. საზოგადოდ, მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ინდექსის შემადგენლობაში შემავალი ფასიანი ქაღალდები, დამოკიდებულია კონკრეტულ საბაზრო გარემოზე. განვითარებული ბაზრების შემთხვევაში ეს მოთხოვნები საკმაოდ მკაცრია, თუმცა ნაკლები ტრადიციის მქონე საფონდო ბაზრებისათვის მისაღებია უფრო სუსტი პირობები. როგორც წესი, მთავარი, რასაც ექცევა ყურადღება, ეს არის ბირჟის ლისტინგში დაშვებულობა, კაპიტალიზაცია, საშუალო დღიური ბრუნვა, გარიგებათა სიხშირე, სპრედის (მაქსიმალურ და მინიმალურ ფასს შორის სხვაობა) სიდიდე და მოთხოვნა-მიწოდების არსებობა. ცხადია, რომ დროთა განმავლობაში, კონკრეტული გარემოებების ცვალებადობის გათვალისწინებით, აუცილებელია ინდექსის რეგულარული გადასინჯვა, რამაც, შესაძლოა, ინდექსის შემადგენლობის შეცვლა გამოიწვიოს.

თავდაპირველად, ინდექსის შედგენისას საქართველოს საფონდო ბირჟაზე ვაჭრობაზე დაშვებული ათი კომპანია შევარჩიეთ. ქართული სინამდვილის გათვალისწინებით, ძირითად კრიტერიუმებს კაპიტალიზაციის სიდიდე, ვაჭრობის ინტენსივობა და კომპანიის პოტენციური მიმზიდველობა წარმოადგენდა. თუმცა, წელს იანვარში ინდექსის გადასინჯვის შედეგად კომპანიების რაოდენობა რვამდე შევამცირეთ, რასაც არასაკმარისი ლიკვიდურობა (აქტივის ფულად გარდაქმნის სისწრაფე და სიმარტივე) ედო საფუძვლად. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დღეისთვის საქართველოს საფონდო ბირჟაზე ბევრი პოტენციურად მიმზიდველი კომპანიის აქციებით ვაჭრობა არ მიმდინარეობს, რაც განაპირობებს კიდეც ბაზრის დაბალ ლიკვიდურობას. ამის ნათელი დადასტურება თვითონ ინდექსის საკმაოდ მაღალი ცვალებადობაა, რაც ხშირ შემთხვევებში არ არის დაფუძნებული კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების ცვლილებაზე. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში (იხ. ცხრილი) მოცემულია ამ რვა კომპანიის მონაცემები და ჩვენი რეიტინგები. მომავალი კვირიდან ჩვენ რეგულარულად შემოგთავაზებთ კომენტარებს GTBC ინდექის და მისი შემადგენელი კომპანიების შესახებ, ასევე - საფონდო და ობლიგაციების ბაზრებზე მომხდარი სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ.

*ლექსო ლიპარტელიანი*
*საინვესტიციო-საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კაპიტალის ბაზრების დარგში*

### გალტ ენდ თაგგარტის ბლუ ჩიპ ინდექსის (GTBCI) შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 0.50 | 40,573,943 | 0.2 |
| გაერთიანებული ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 0.72 | 15,120,000 | 35.0 |
| საქართველოს ბანკი | GEB | ყიდვა | 1.30 | 13,000,000 | 37.0 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | ყიდვა | 1.20 | 8,896,302 | 2.3 |
| ყაზბეგი | KAZB | ფლობა | 2.00 | 5,600,000 | 14.3 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | ფლობა | 1.00 | 1,966,030 | 5.0 |
| საქქალაქმშენპროექტი | SQMP | გაყიდვა | 6.51 | 1,615,580 | 5.7 |
| რუსთავცემენტი | RUCE | ფლობა | 0.50 | 790,480 | 0.5 |
| სულ | | | | 87,562,335 | 100 |

სს გალტ & თაგგარტ სექიურითის
JSC GALT & TAGGART SECURITIES

# კორპორატიული მმართველობა - განსაზღვრებიდან კონცეფციამდე

მიუხედავად ეკონომიკური სუბიექტების კორპორატიული (სააქციო საზოგადოების) ფორმით ორგანიზების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა, ეფექტური კორპორატიული მმართველობის საკვანძო მნიშვნელობამ ეკონომიკური განვითარების პროცესში საყოველთაო აღიარება მხოლოდ მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებში მოიპოვა. კორპორატიული მმართველობისადმი ფართო საზოგადოებრივ ინტერესს ბიძგი მისცა ამერიკის საფონდო ბაზრის 1929 წლის კრიზისმა და შემდგომმა ეკონომიკურმა დეპრესიამ.

ამ მოვლენებს წინ უსწრებდა საფონდო ბაზრის არნახული აღმავლობა. ოციანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, აქციების ფასები ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე განუხრელად იზრდებოდა. ნებისმიერი პროფესიის, განათლების თუ სოციალური წარმომავლობის ადამიანს ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია გამდიდრების ყველაზე სწრაფ და მარტივ გზად ესახებოდა.

ფასიან ქაღალდებზე არნახული მოთხოვნა მათი ფასების მუდმივ ზრდას იწვევდა. ინვესტორთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ აცნობიერებდა, რომ ფასიანი ქაღალდების ფასების ასეთი ზრდა, რომელიც არა ემიტენტი (ფასიანი ქაღალდების გამომშვები) კორპორაციების ჯანსაღი ეკონომიკური საფუძვლებით და ზრდის პოტენციალით, არამედ საყოველთაო, დაუსაბუთებელი ენთუზიაზმით იყო განპირობებული, დიდ ხანს ვერ გასტანდა. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული საბირჟო სპეკულატორი, ბერნარდ ბარუხი ამ პერიოდს ასე იხსენებს: **"როდესაც მათხოვრებს და ფეხსაცმლის მწმენდავებს, პარიკმახერებს და კოსმეტოლოგებს შეუძლიათ გასწავლონ გამდიდრების მარტივი გზა, დროა, გაიხსენო, რომ არაფერია უფრო სახიფათო, ვიდრე ილუზია, თითქოს, ვინმეს შეუძლია მიიღოს რაიმე - არაფრის სანაცვლოდ".**

1929 დან 1932 წლამდე ამერიკის ფასიანი ქაღალდების ბაზრის საერთო ღირებულება 80%-ით დაეცა. მილიონობით ადამიანი, რომლებიც წლების განმავლობაში საკუთარ დანაზოგებს, ხშირად ნასესხებ ფულსაც, ფასიან ქაღალდებში აბანდებდა, გაკოტრდა. მხოლოდ ამის შემდეგ გააცნობიერა ინვესტორთა უმრავლესობამ, თუ რა მწირი ინფორმაცია ჰქონდათ იმ კორპორაციებზე, რომელთა დაპირებებს არნახული დივიდენდების და აქციათა ფასის მუდმივი ზრდის შესახებ ბრმად ენდობოდნენ. 1932 წელს ა. ბერლემ და გ. მინსმა გამოაქვეყნეს დღეს უკვე კლასიკად აღიარებულ სტატია "თანამედროვე კორპორაცია და კერძო საკუთრება". ავტორთა ხედვა, რომელიც მათ მიერ კორპორატიული ამერიკის კვლევის მრავალწლიან გამოცდილებას ეფუძნებოდა, ინვესტორთა უმრავლესობისათვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა. ბერლე და მინსი ამტკიცებდნენ, რომ კორპორაციების სამეთვალყურეო საბჭოები ვერ ასრულებდნენ თავიანთ უშუალო მოვალეობას, რომელიც აქციონერთა ინტერესების დაცვის მიზნით მენეჯმენტის მონიტორინგში მდგომარეობს, რადგან, ძირითადად, მენეჯმენტის მიერ დანიშნულ და მორჩილ სტრუქტურას წარმოადგენდნენ. სამეთვალყურეო საბჭოების მიერ ფუნქციების შეუსრულებლობის პირობებში, აქციონერები უძლურნი იყვნენ, ზემოქმედება მოეხდინათ კორპორაციების ფუნქციონირებაზე. ავტორთა დასკვნით: **"კორპორაციები ვერ ასრულებდნენ თავიანთ ერთადერთ დანიშნულებას, რომელიც კორპორაციის აქციის ფასის მაქსიმიზაციის და დივიდენდების გაცემის გზით, აქციონერთა კეთილდღეობის განმტკიცებაში მდგომარეობს".**

ამ სტატიამ დასაბამი დაუდო კორპორატიულ მმართველობაზე თანამედროვე შეხედულებების ჩამოყალიბებას. ამ პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც სახელწიფო მარეგულირებელი სტრუქტურები, ფასიანი ქაღალდების კომისიის სახით, ასევე - ინდუსტრიული ასოციაციები და კერძო თუ ინსტიტუციური ინვესტორები. დღეს კორპორატიული მმართველობის მრავალი განსაზღვრება არსებობს, ყველაზე ზოგადი სახით კი იგი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

**კორპორატიული მმართველობა წარმოადგენს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმატივებისა და კერძო სექტორის მიერ ნებაყოფლობით მიღებული საუკეთესო პრაქტიკის განაწესის ერთობლიობას, რომელიც ქმნის ხელსაყრელ გარემოს კორპორაციის მიერ ადამიანური და ფინანსური რესურსების მოზიდვისთვის, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს ეფექტური ფუნქციონირება განუსაზღვრელი დროის განმავლობაში მისი აქციონერების ინტერესების შესაბამისად.**

ეფექტური კორპორატიული მმართველობა ემყარება სამ ძირითად პრინციპს:

გამჭვირვალობას, რომელიც გულისხმობს საზოგადოების მუდმივ ინფორმირებას კორპორაციის ფინანსური და საოპერაციო შედეგების შესახებ; აქციონერთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას და სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებლობას მენეჯმენტისაგან; სამეთვალყურეო საბჭოს უნდა ჰქონდეს უფლება და საშუალება, დაიქირაოს, გააკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს კორპორაციის მენეჯმენტი. განვითარებული საფონდო ბაზრების მქონე ქვეყნებში ეს სამი ძირითადი პრინციპი საყოველთაოდ მიღებულია და ეფექტური კორპორატიული მმართველობის მინიმალურ აუცილებლობას წარმოადგენს.

საქართველოში, როგორც ქვეყანაში, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრებას, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კორპორატიული მმართველობის ეფექტურობის გაზრდას, რადგან სტაბილური ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია ჯანსაღი კორპორატიული მმართველობის არარსებობის პირობებში. სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება მინორიტარულ (მცირე რაოდენობის აქციების მფლობელი) აქციონერთა უფლებათა დამცავი მექანიზმების შექმნა, რომლებიც კაპიტალის ბაზრების ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს მინორიტარულ აქციონერთა უუნარობა – თუნდაც, მინიმალური მონაწილეობა მიიღონ იმ კორპორაციების მართვაში, რომელთა თანამფლობელებიც არიან და, ასევე ისიც, რომ ამ უკანასკნელებს არ აქვთ საშუალება, მიიღონ მსხვილ აქციონერთა მსგავსი დივიდენდი ანდა კაპიტალური მოგება მათ საკუთრებაში არსებული კორპორაციის სრული ან ნაწილობრივი გასხვისების შემთხვევაში. ფულად ნაკადებს მთლიანად აკონტროლებს მსხვილი, თუნდაც, არასაკონტროლო პაკეტის მფლობელი აქციონერი. ამგვარად, ხდება მკვეთრი გამიჯვნა მსხვილი და წვრილი პაკეტების მფლობელობასთან დაკავშირებული რისკებისა და უპირატესობებისა, როდესაც მსხვილი აქციონერები სარგებლობენ ფულად ნაკადებზე უპირატესი უფლებით მაშინ, როცა წვრილ აქციონერებს ფულად ნაკადებზე ხშირად ხელი არ მიუწვდებათ. მაგალითისთვის, შარშან შედგა რამდენიმე გარიგება, როცა გაიყიდა სააქციო საზოგადოებების საკონტროლო თუ მსხვილი პაკეტები კორპორაციებში, რომლებშიც აქციების მნიშვნელოვან ნაწილს წვრილი აქციონერებიც ფლობდნენ. მყიდველის მიერ ყველა აღნიშნულ შემთხვევაში მსხვილი აქციონერისთვის გადახდილი საერთო თანხა აჭარბებდა თითოეული აქციის საბაზრო ღირებულების ნამრავლს გაყიდულ აქციათა რაოდენობაზე. იმ შემთხვევაში კი, თუ წვრილი პაკეტის მფლობელი ინვესტორი გაყიდდა თავის წილს მთლიანად, ან ნაწილობრივ, მისი შემოსავალი მხოლოდ გაყიდული აქციების საბაზრო ფასის და რაოდენობის ნამრავლი იქნებოდა. ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რა არათანაბარ მდგომარეობაში არიან საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე მსხვილი და წვრილი აქციონერები. არსებულ საბაზრო გარემოში აზრი ეკარგება აქციათა წვრილი პაკეტის ფლობას. როგორც სხვა ქვეყნების კაპიტალის ბაზრების გამოცდილება გვიჩვენებს, კაპიტალის ბაზრების საერთო კაპიტალიზაციის 30-40 პროცენტი სწორედ წვრილ აქციონერებზე მოდის. ამგვარად, საქართველოს კაპიტალის ბაზრებს, სადაც ინვესტორთა ასეთი მნიშვნელოვანი კლასის უფლებები, პრაქტიკულად, უგულებელყოფილია, არსებულ პირობებში განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია.

ამ პრობლემის (მის წინაშეც საფონდო ბაზრის მქონე ყველა ქვეყანა იდგა განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე) გადაჭრის საყოველთაოდ მიღებული მექანიზმია ე. წ. "აუცილებელი შეთავაზების" უფლება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: აქციების გარკვეულ რაოდენობაზე მსხვილი პაკეტის გასხვისების შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, შესთავაზოს მინორიტარულ აქციონერებს მათი პაკეტების შესყიდვაც იმავე პირობებზე, რა პირობებზეც იგი აპირებს მსხვილი პაკეტის შესყიდვას. ანუ მინორიტარული აქციონერები უთანაბრდებიან მსხვილ აქციონერებს და სურვილის შემთხვევაში საშუალება ეძლევათ, მიიღონ პროპორციულად იგივე შემოსავალი რასაც იღებს მსხვილი აქციონერი. აქციათა პაკეტის ის საზღურბლო მოცულობა, რომელზე მეტის შესყიდვის შემთხვევაშიც მყიდველი ვალდებულია, მისცეს "აუცილებელი შეთავაზება" (Mandatory offer) მინორიტარულ აქციონერებს, სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაა. მონაცემები რამოდენიმე ქვეყნის საზღურბლო პროცენტის შესახებ იხილეთ ქვემოთ:

ზემოთ მოყვანილი ქვეყნების ერთ ნაწილში "აუცილებელი შეთავაზება" კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, ხოლო მეორე ნაწილში - საუკეთესო პრაქტიკის განაწესით. მინორიტარული აქციონერების ინტერესების დაცვის ამ მექანიზმის მეორე შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ე.წ. "შესაბამისობის მოსაზრება" (Fairness opinion).

| | |
|---|---|
| ახალი ზელანდია | 20% |
| ესპანეთი | 25% |
| მალაიზია | 33% |
| პოლონეთი | 50% |
| რუსეთი | 30% |
| სამხრეთ აფრიკა | 35% |
| სინგაპური | 30% |
| ჰონკონგი | 30% |

"შესაბამისობის მოსაზრებას" იძლევა საინვესტიციო ბანკი-საბროკერო კომპანია რომელსაც ქირაობს სამეთვალყურეო საბჭო. "შესაბამისობის მოსაზრება" წარმოადგენს საინვესტიციო ბანკის/საბროკერო კომპანიის დასკვნას იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება შეთავაზებული ფასი აქციების პაკეტის საბაზრო ღირებულებას. საინვესტიციო ბანკის/საბროკერო კომპანიის მიერ გაცემული "შესაბამისობის მოსაზრება" ეხმარება მინორიტარულ აქციონერებს დაადგინონ, თუ რამდენად შეესაბამება შეთავაზებული ფასი მათი აქციების საბაზრო ღირებულებას და გადაწყვიტონ, არის თუ არა მათ ინტერესებში აქციების პაკეტის "აუცილებელი შეთავაზების" ფარგლებში გაყიდვა.

გარდა ამისა, ასეთი დასკვნა წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ლეგალური დაცვის მძლავრ მექანიზმს. მინორიტარული აქციონერების მიერ სამეთვალყურეო საბჭოს წინააღმდეგ შეტანილ სარჩელს, მათი უფლებების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ შესაძლო იგნორირების თაობაზე, გაცილებით ნაკლები შანსი აქვს დაკმაყოფილდეს იმ შემთხვევებში, როდესაც საბჭო წარმოადგენს დამოუკიდებელი საინვესტიციო ბანკი/საბროკერო კომპანიის მიერ გაცემულ "შესაბამისობის მოსაზრებას", როგორც ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების საფუძველს.

"აუცილებელი შეთავაზების" ზღურბლის მსგავსად, "შესაბამისობის მოსაზრების" მიღებას საინვესტიციო ბანკის/საბროკერო კომპანიისაგან კორპორაციებს ყველა ქვეყანა არ ავალდებულებს, თუმცა, პრაქტიკულად, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც საფონდო ბაზარი ასე თუ ისე განვითარებულია, იგი გათვალისწინებულია საუკეთესო პრაქტიკის განაწესით.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნულმა კომისიამ საქართველოში "აუცილებელი შეთავაზებისა" და "შესაბამისობის მოსაზრების" მექანიზმები დანერგოს. მსგავსი ინიციატივა საქართველოს საფონდო ბირჟის კომპეტენციაშიც შედის, ოღონდ საუკეთესო პრაქტიკის განაწესის ფარგლებში. მრავალი ქვეყნის საფონდო ბირჟა კრძალავს იმ ორგანიზაციების ფასიანი ქაღალდების ლისტინგს, რომლებიც უგულებელყოფენ დემოკრატიული კორპორატიული მმართველობის ამ მძლავრ მექანიზმს. დღეისთვის საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბირჟაზე ვაჭრობაზე დაშვებული ორი მსგავსი კომპანიის აქციებიდან უფრო მაღალ ფასში იყიდება იმ კომპანიის აქციები, რომელიც უკეთეს კორპორატიული მმართველობის პრინციპებს მისდევს. ზემოაღნიშნული პრაქტიკის საქართველოში დანერგვა გაზრდის იმ კომპანიების საბაზრო ღირებულებას, რომლებიც, ინვესტორების აზრით, შესაბამის კორპორატიულ მმართველობას ახორციელებენ, რითაც არა მხოლოდ ამ კომპანიების აქციონერების კეთილდღეობა ამაღლდება, არამედ გაიზრდება ზოგადი ინტერესი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის, როგორც ინვესტირების ერთ-ერთი მიმზიდველი ალტერნატივისადმი.

*გოგა ჯაფარიძე*
*საინვესტციო-საბანკო დეპარტამენტის თანათავმჯდომარე კორპორატიული ფინანსების დარგში*



## მხოლოდ მათთვის, ვისაც სწავლა უნდა!

### თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2003-2004 სასწ. წლისათვის საბიუჯეტო, სამეურნეო და ფასიანი, ასევე დაუსწრებელი სწავლების ქართულ და რუსულ სექტორებზე.

I. საბიუჯეტო სექტორი
(ქართული განყოფილება)
**I. იურიდიული ფაკულტეტი**
1. სამართალმცოდნეობა, კვალიფიკაციით - იურისტი,
სამართალმცოდნეობა (ზეპირი);
ისტორია (ზეპირი);
უცხო ენა (ზეპირი);
ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).
2. ბიზნესის სამართალი, კვალიფიკაციით - ეკონომისტ-იურისტი,
სამართალმცოდნეობა (ზეპირი);
ისტორია (ზეპირი);
უცხო ენა (ზეპირი);
ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
**II. ფინანსების და მარკეტინგის ფაკულტეტი**
1. ფინანსები და ბანკები, კვალიფიკაციით ეკონომისტ-მენეჯერი,
მათემატიკა (ზეპირი);
უცხო ენა (ზეპირი);
ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
**III. საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტი**
1. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა, კვალიფიკაციით ეკონომისტ-მენეჯერი,
მათემატიკა (ზეპირი);
უცხო ენა (ზეპირი);
ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
2. ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი, კვალიფიკაციით ეკონომისტ-მენეჯერი,
გეოგრაფია (ზეპირი);
უცხო ენა (ზეპირი);
ქართული ენა და ლიტერატურა (ზეპირი).
საბუთების მიღება იწარმოებს ა.წ. 1 ივლისიდან 19 ივლისამდე 10-დან 17 საათამდე ყოველდღე, კვირის გარდა, გამოცდები დაიწყება 20 ივლისიდან.

II სამეურნეო სექტორი
(ქართული განყოფილება)
გამოცდები ჩატარდება ტესტირებული ფორმით
1. ბიზნესის სამართალი, 2. სამართალმცოდნეობა,
სამართალმცოდნეობა;
უცხო ენა.
3 ფინანსები და ბანკები, 4. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა,
მათემატიკა;
უცხო ენა.
5 ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი,
გეოგრაფია;
უცხო ენა.
საბიუჯეტო და სამეურნეო სექტორებზე სტუდენტები სწავლობენ იდენტური პროგრამებით და ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ აქვთ თანაბარი უფლებები მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.
საბუთების მიღება იწარმოებს ა.წ. 1 ივლისიდან 17 ივლისამდე 10-დან 17 საათამდე, ყოველდღე, კვირის გარდა. გამოცდა-ტესტირება ჩატარდება 18 და 21 ივლისს.
აბიტურიენტებმა, ტესტირებული გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ, სამი დღის ვადაში უნდა გადაიხადონ სწავლის ქირა ბანკში - "რესპუბლიკა" (სათაო ოფისი - თბილისი, გრ. აბაშიძის 2, ასევე, გადახდა შესაძლებელია ბანკის ფილიალებში) და ქვითარი წარმოადგინონ მიმღებ კომისიაში, რის შემდეგაც მოხდება მათი ინსტიტუტში ჩარიცხვა.

III ინსტიტუტთან არსებული ფასიანი სექტორი
აბიტურიენტები, რომლებიც მისაღებ გამოცდებზე ვერ დააგროვებენ გამსვლელ ქულებს, მათივე სურვილით, დაგროვილი ქულებით, უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ფასიან სექტორზე, ხოლო ჩაჭრის შემთხვევაში, გაიტანენ საბუთებს და მათ უფლება ეძლევათ ხელმეორედ შემოიტანონ საბუთები ფასიან სექტორზე, სადაც გამოცდა ჩატარდება ტესტირებული ფორმით.

IV. რუსული განყოფილება
გამოცდები ჩატარდება ტესტირებული ფორმით
1. ბიზნესის სამართალი, 2. სამართალმცოდნეობა,
სამართალმცოდნეობა;
უცხო ენა.
3 ფინანსები და ბანკები, 4. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა,
მათემატიკა;
უცხო ენა.
5 ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი,
გეოგრაფია;
უცხო ენა.

V. დაუსწრებელი სწავლების ქართულ და რუსულ განყოფილებებზე
გამოცდები ჩატარდება ტესტირებით:
1. ბიზნესის სამართლი, კვალიფიკაციით ეკონომისტ-იურისტი;
2. სამართალმცოდნეობა, კვალიფიკაციით იურისტი,
სამართალმცოდნეობაში.
3. ფინანსები და ბანკები,
4. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა,
5. ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი (მხოლოდ ქართულ სექტორზე)
მათემატიკაში.
6. ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი,
გეოგრაფიაში.
საბუთების მიღება იწარმოებს ა. წ 1 ივლისიდან 20 აგვისტომდე 10-დან 17 საათამდე, ყოველდღე, კვირის გარდა.
გამოცდა ჩატარდება 21 აგვისტოს 16 საათზე.

**ღია კარის დღე ჩატარდება ა. წ. 21 და 28 ივნისს 11 საათზე;**
III კორპუსი (ქეთევან წამებულის 55), IV სართული, სააქტო დარბაზი.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი);
2. ექვსი ფოტოსურათი (ფერადი) 3 X 4;
პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სამხედრო მიწერის ბარათი აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს პირადად.
მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად აბიტურიენტმა, საბუთების შემოტანისას, უნდა გადაიხადოს მომსახურების თანხა, რომლის რაოდენობას ადგენს მიმღები კომისია.
**საბიუჯეტო და სამეურნეო სექტორების სტუდენტებს ემსახურება სამხედრო კათედრა.**

**თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტთან არსებული მაგისტრატურა**
აცხადებს მიღებას 2003-2004 სასწავლო წელს შემდეგ სპეციალობებზე:
1. ფინანსები და ბანკები;
2. ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი;
3. საერთაშორისო ბიზნესი და საგარეო ვაჭრობა;
4. ტურიზმის კომერცია და მარკეტინგი;
5. სახელმწიფო და მუნიციპალური მართვის მოხელე.
სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი. საბუთების მიღება იწარმოებს ამა წლის 1 ივლისიდან 19 სექტემბრამდე. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

**ინსტიტუტთან არსებული ეკონომიკური კოლეჯი**
აცხადებს მოსწავლეების მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის. კოლეჯის კურსდამთავრებულები სარგებლობენ პრივილეგიებით თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში ჩარიცხვისას.
საბუთების მიღება იწარმოებს ამა წლის 16 ივნისიდან.
მისაღები გამოცდები ჩატარდება მათემატიკაში და უცხო ენაში, 1 ივლისიდან 5 ივლისის ჩათვლით.
**ღია კარის დღე ჩატარდება 21 ივნისს, 13 საათზე.**

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას შემდეგ მისამართზე: თბილისი, ქეთევან წამებულის 55 (მეტრო "300 არაგველთან").

ტელეფონი: 94-31-60 (ფაქსი); 74-55-83; 74-56-72; 74-52-28 (კოლეჯი).
E-mail Teusi@access.sanet.ge. WWW.teus.edu.ge.

ნომრის პერსონა

# სიმულირებული დემოკრატიის ხიბლი

## გიგი თევზაძე: შუა საუკუნეების ევროპული ტიპის ქვეყანა ვართ

მაია ჭალაგანიძე

*თითქოს უკვე წარსული იყოს, მკვლევარებმა შევარდნაძის ეპოქის ანალიზს მოჰკიდეს ხელი. ერთი ასეთი კვლევა წიგნადაც იქცა. მისი ავტორი გიგი თევზაძეა. წიგნი კი პირველად 11 ივნისს წიგნის ბაზრობაზე გამოჩნდება. გიგი თევზაძე - ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე, ანტიკორუფციული საბჭოს დარჩენილი წევრი. მისი პირველი წიგნი, "საქართველო - ძალაუფლების სიმულაციები", 1999 წელს გამოვიდა. სულ რამდენიმე დღის წინ მეორე წიგნის, "საქართველო: ძალაუფლების დაბრუნება", სასიგნალო ეგზემპლარი გამოჩნდა. ეს წიგნი, ისევე, როგორც პირველი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობაში დაიბეჭდა. სამი წლის შემდეგ კი, ალბათ, ვიხილავთ მესამე წიგნს, დაწერილს იმის შესახებ, თუ რა არჩევანს გავაკეთებთ ახლა, ვართ თუ არა შუა საუკუნეებში, თუ ისევ დემოკრატიის სიმულირებას ვეწევით. როგორც დღევანდელი "პერსონის" მეგობარმა ჩვენმა ერთ-ერთმა "პერსონამ" იხუმრა, ახალი სახელისუფლო ბლოკის აბრევიატურა "ბას" (ბლოკი "ახალი საქართველოსთვის") ძალიან ჰგავს სადამ ჰუსეინის "ბაას"-ს. იმედია, ეს მსგავსება შემთხვევითია და არაფერი ექნება საერთო შერისხული დიქტატორის მოძრაობასთან...*

**- შევარდნაძის ეპოქის მიმოხილვა-შეფასება ცოტა ნაადრევი ხომ არ არის?**

- ალბათ, შევარდნაძისა და მისი გუნდის ხელისუფლებიდან წასვლა-დარჩენას გულისხმობთ. ჩემი წიგნი შევარდნაძეზე კი არა, საქართველოში შექმნილი ვითარების, და არა შევარდნაძის წასვლა-დარჩენის, შესახებაა.

საქართველოში დემოკრატია დემოკრატიის სიმულაციით დაიწყო და შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელ სახელმწიფოში გადაიზარდა. ჩვენ უკვე მივიღეთ შუა საუკუნეების სახელმწიფოს იმპერატორი თავისი პატარ-პატარა, დაყოფილი მიწებით და რეგიონების შეხლა-შემოხლით. თუ შევარდნაძე წავიდა, ახალ ხელისუფალს დიდი ძალისხმევა დასჭირდება, რათა ქვეყანაში შუა საუკუნეები დაიძლიოს და თანამედროვე დროში გადავიდეს.

**- რას გულისხმობს დემოკრატიის სიმულაცია და შობს თუ არა სიმულირებული ძალაუფლება სიმულირებულ ინსტიტუციებს - სამოქალაქო საზოგადოებას, ოპოზიციას და ა.შ.?**

- 1999 წელს, როდესაც ჩემი პირველი წიგნი "საქართველო - ძალაუფლების სიმულაციები" გამოვიდა, ძალაუფლების წარმომადგენლები დემოკრატიის სიმულაციას დასავლეთის დასანახად ცდილობდნენ და საქართველოში დემოკრატიის და თანამედროვე სახელმწიფოს არსებობას ათამაშებდნენ. ამის გამო ძალიან ბევრი რამის სიმულაციას უწყობდნენ ხელს. მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შექმნილი ინსტიტუციები სიცოცხლისუნარიანნი არ ხდებიან.

საქართველოში, მეოცე საუკუნის ბოლოს, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას დიდწილად ხელი იმისთვის შეეწყო, რომ დემოკრატიის გარანტის არსებობის სიმულაცია მომხდარიყო. თუმცა, სამოქალაქო საზოგადოებამ საკუთარი ცხოვრებით გააგრძელა არსებობა, განვითარდა, გარკვეული ფორმები მიიღო და ევროპულ შუა საუკუნეებში არსებულ სამოქალაქო საზოგადოებას დაემსგავსა.

რაც შეეხება ოპოზიციას. ოპოზიციის ნაწილი ბოლო 10-13 წლის განმავლობაში გარკვეულად ხელოვნური იყო. ოპოზიცია დღეს ნამდვილად არ არის სიმულირებული, ის რეალურია. თუმცა, სიმულირებული ოპოზიციაც დარჩა - ნათელაშვილი, მკალავიშვილი, შარაძე, "აღორძინება". თავისი არსებობით ისინი ცრუ საფრთხეებს წარმოშობენ იმისთვის, რათა არსებული რეჟიმი შენარჩუნდეს.

**- თუმცა, ისე ჩანდა, რომ 1999 წელს "აღორძინება", მართლაც, წარმოადგენდა "მოქკავშირის" ალტერნატივას.**

- ასე ძალიან ბევრს (მათ შორის, მეც) ეგონა. შეიძლება, ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში აჭარის რეჟიმი და ასლან აბაშიძე, მართლაც, იყო რეალური საფრთხე, მაგრამ ის თანდათან ცრუ საფრთხედ იქცა. 1999 წელს "მოქალაქეთა კავშირმა" არჩევნებში მხოლოდ იმიტომ გაიმარჯვა, რომ ალტერნატივა "აღორძინება" იყო.

ორიოდე თვის წინ, როდესაც გახშირდა მკვლევარების და პოლიტოლოგების დასკვნები იმის შესახებ, რომ "მოქკავშირს" არანაირი რეიტინგი არ აქვს, ასლან აბაშიძემ განაცხადა - "აღორძინება" საერთოდ არ მიიღებს მონაწილეობას საპარლამენტო არჩევნებში და დადგა დრო, შიდა პრობლემებს მივხედოთ... ამით, ეტყობა, "აღორძინება" თავისი ხმების მთლიანად სახელისუფლო ბლოკისათვის მიცემას აპირებდა. თუმცა, შემდეგ "ბას"-ს, ეტყობა, სხვა იმედები გაუჩნდა...

თვალის დახუჭვა არც იმაზე შეიძლება, რომ დღეს არსებულ ხელისუფლებასთან რეალურად დაპირისპირებულნი, ერთ დროს ამ ხელისუფლების ნაწილი იყვნენ და შევარდნაძეს არსებული რეჟიმის შენარჩუნებაში ეხმარებოდნენ.

**- გამოვიდნენ ამ გარემოდან?**

- დიახ, რადგან მათ დაინახეს, რომ შუა საუკუნეებში ლიდერები ვერ იქნებიან. ისინი მხოლოდ სიმულირებულ დემოკრატიაში ან ნამდვილ დემოკრატიაში შეძლებდნენ ლიდერებად ყოფნას. შუა საუკუნეებში მათი ადგილი ნამდვილად არ არის.

**- საზოგადოება - თქვენ, მე, ნაცნობები თუ უცნობები - რამდენად ექცევიან შუა საუკუნეების ველში და რა ფაქტორებით მიხვდება საზოგადოება, რომ თანამედროვეობაში არ ცხოვრობს?**

- სამწუხაროდ, შუა საუკუნეები ნელნელა რეალობა ხდება. ცოტა ხნის წინათ, როცა ვამბობდით, რომ საქართველოში დემოკრატია ვითარდება, არსებობს სამოქალაქო საზოგადოება, თავისუფალი პრესა და ეს ყველაფერი მომავალი დემოკრატიის ჩანასახი გვეგონა - სიმულირებულ სამყაროში ვცხოვრობდით. როგორც აღმოჩნდა, ეს ყველაფერი სტაგნაციას, არსებული რეჟიმის შენარჩუნებას უწყობდა ხელს.

ფსიქიატრები სიმულაციას მხოლოდ პროგრესის დაკვირვებით ადგენენ. სიმულანტი და ნამდვილი გიჟი "სტატიკურ" მდგომარეობაში ერთმანეთისგან არ განსხვავდება. ფსიქიატრი სიმულირებულს და რეალურს შორის განსხვავებას მხოლოდ ავადმყოფობის მიმდინარეობაზე დაკვირვებისას, სიმპტომების ცვლილებისას ადგენს. სიმულირებულს არ შეუძლია სიმპტომების ცვალებადობის სიმულირება.

**- ჩვენს შემთხვევაში?**

- აშკარაა, რომ არანაირი პროგრესი არ მოხდა. წიგნში ჩამოთვლილია თორმეტი ნიშანი, რაც ადასტურებს, რომ ვართ შუა საკუნეების ევროპული ტიპის გარემოში. ყველაფერი, დაწყებული ეკონომიკით, სამოქალაქო საზოგადოებით, განათლების სისტემით და დამთავრებული ხელისუფლების ტიპით და გნებავთ, შეიარაღებული ძალებით - ამას მეტყველებს.

**- ვინ თხზავს სიმულირებულ ვითარებას საქართველოში? შევარდნაძეს ან წარჩინებით აქვს გავლილი საბჭოთა სკოლა, ან სათანადო ცოდნა გააჩნია...**

- საბჭოთა კავშირი, თავისი შინაარსით, კანონზე დამყარებული ევროპული, შუასაუკუნეობრივი დიქტატურა იყო. უბრალოდ, მაშსტაბები იყო დიდი. სსრკ-ს იდეოლოგებმა ძალიან ბევრი შუასაუკუნეობრივი ელემენტები შემოიღეს (მაგალითად, კანონიერი ქურდების ინსტიტუტი), იდეოლოგია რელიგიის დონეზე აიყვანეს (ერეტიკოსების დევნა, სტრუქტურულად, აბსოლუტურად ემთხვეოდა სსრკ-ში დისიდენტების დევნას).

შევარდნაძეს უნდა სსრკ-ს აღდგენა, მაგრამ საქართველოში ეს აღარ გამოვა. საბჭოთა სისტემა შიშის კვლავწარმოებას ეფუძნებოდა. მცდელობა ჩვენთანაც იყო - მაგალითად, "მხედრიონი". მაგრამ, თვითონ ჯაბას პიროვნებამ არ შეუწყო ამას ხელი - მას სურდა ყოფილიყო რაღაც შუალედური რობინ ჰუდსა და დემოკრატ მმართველს შორის, რაც რეპრესიებს გამორიცხავს. ასე რომ, რეპრესიებზე ჯაბა არ წავიდა, შევარდნაძეს კი მაშინ ამის ძალა არ ჰქონდა.

საქართველოში შიში არ იწარმოება. ამისთვის საჭიროა, რომ მმართველობა იყოს უპირობო და შორს. საბჭოთა იმპერიისთვის მითოლოგიური პოლუსები იყო დამახასიათებელი: ერთ პოლუსზე მმართველობა იყო მოთავსებული, მეორეზე კი ე.წ. გადასახლება, ციმბირი, დასჯის ადგილი, მოუსავლეთი... მმართველობაში არ უნდა ჩანდეს ნათესაობა, ოჯახი, ის მითოლოგიზებული უნდა იყოს - ეს კი აქ შეუძლებელია, თუნდაც, პოლიტიკური გეოგრაფიის გამო... ყველაფერი ხელის გულზეა. თუ სსრკ-ს ამ ირაციონალურ შიშს მოაცილებ, შუა საუკუნეებს მიიღებ.

შევარდნაძემ სსრკ-ს აღდგენის მოსურნე ბევრი ხალხი ჩართო თავის ბლოკში. სწორედ ამ ხალხის სსრკ-ში დაბრუნების სურვილის გამო აღმოვჩნდით შუა საუკუნეებში.

**- და სად არის პრესის ადგილი ამ ეპოქაში?**

- დაახლოებით, იგივეა, რაც ერთის მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებას და მეორეს მხრივ, ეკლესიას ჰქონდა - მედიატორის ადგილი. სამოქალაქო საზოგადოება - მაშინ გილდიები - შეზღუდული არ იყო. უბრალოდ, ყველას თავის სასაუბრო თემა და ტაბუ ჰქონდა...

**- გილდიები დღესაც აქტუალურია. ხელისუფლების მხარდამჭერი მეგზეურები, მშენებლები... მეორეს მხრივ, ოპოზიციის მხარდამჭერი პედაგოგები, ექიმები, ინტელიგენცია. ფორმა ერთი და იგივეა - მხარდამჭერთა მრავალრიცხოვნობით შიშის მოგვრა, მოწინააღმდეგეთა მხრიდან შეხვედრების შინაარსის გატრიზავება. ეს ხალხზე უარყოფით ზემოქმედებას ახდენს. როგორ უნდა შეიცვალოს ბრძოლის ხერხები?**

- უარყოფითად თუ არა, დადებითად ნამდვილად არ მოქმედებს. წინასაარჩევნო ბრძოლის ეს მოძველებული სისტემა - გილდია/პარტია - უნდა შეცვალოს სისტემამ – იდეა/პარტია. რა არის ის განსაკუთრებული იდეა, რაც მკვეთრად ჩამოაყალიბა ოპოზიციამ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ? ჩემის აზრით, ასეთი რამ არ არსებობს, ან თუ არსებობს, ხმამაღლა გაცხადების ეშინიათ. ეს სერიოზული ხიფათია და ოპოზიციას დამარცხებით ემუქრება. გამოსავალი არის ერთი: კარგი პოლიტიკური ტექნოლოგია და მეორე: იდეური წინააღმდეგობა.



გიგი თევზაძე

ოპოზიციის დარბაზი რომ შეიქმნა, იქაც გაურკვევლად ითქვა "რატომ". დღევანდელი ოპოზიციის მხარდაჭერა, ძირითადად, შევარდნაძის საწინააღმდეგოდ ხდება. ეს არ არის ხედვა, ეს არის მიზნის მიღწევის მეთოდი. ოპოზიციის იდეა ჩემთვის გაუგებარია. ასე თუ გაგრძელდა, ისევ შუა საუკუნეებში დავბრუნდებით....

**- საზოგადოებამ რა ნიშნით უნდა განასხვავოს ფსევდოოპოზიცია ნამდვილისგან?**

- დღეს სიმპათია-ანტიპათიის იქით საუბარი არ მიდის. ამ ბოლო ხანს სააკაშვილი ოდნავ უფრო რადიკალურია, ნათელაშვილის რადიკალიზმი კი აშკარად ფუყეა. მისი განცხადებების შინაარსს თუ დავუკვირდებით, ნათელაშვილი, დღითი-დღე, პროშევარდნაძისტული ხდება. იმის მიუხედავად, რომ შევარდნაძეს ლანძღავს, მისი მოწოდებები მაჟორიტარებისთვის პარლამენტში ყოფნის ვადის გახანგრძლივების შესახებ, არ დაიჭირონ ბასილ მკალავიშვილი და ბევრი სხვაც, აშკარად მიუთითებს იმას, რომ ნათელაშვილი შევარდნაძის ერთგული მხარდამჭერია. აშკარაა, რომ ნათელაშვილს სსრკ-ში დაბრუნება სურს: თუნდაც, მისი "უფასო საავადმყოფო" და "უფასო განათლება" რად ღირს.

ნათელაშვილის პოპულარობას ისიც უწყობს ხელს, რომ მისი ხელისუფლებაში ყოფნა აღარავის ახსოვს. ჟვანიას, სააკაშვილს და "ახლებს" კი, ჯერ კიდევ დასდევთ ხელისუფლების ჩრდილი.

**- საზოგადოების ერთ ნაწილსაც კლავს სსრკ-ს ნოსტალგია.**

- ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ სსრკ-ს "ხიბლი" მოსახლეობის ნახევრის "ლაგერებში" მონებად მუშაობით შეიქმნა. ამას არავინ ამბობს, რადგან არსად და არავის მორალურად არ შეუფასებია საბჭოთა კავშირი. იმათ, ვინც სსრკ-ს მისტირის, უნდა აუხსნა, რომ სსრკ-ს ეკონომიკა მისი თანამოქალაქის მონური შრომაზე იდგა და რომ ისიც და მისი ყოველი ახლობელი "ლაგერის" პოტენციური ტუსაღი იყო. დარწმუნებული ვარ, იქ დაბრუნება აღარავის მოუნდება...

**- ეს თემა, ისევე, როგორც სხვა მრავალი - დღემდე ტაბუდადებულია. რელიგიაზე, სასამართლოზე ხმამაღლა საუბარს ხელისუფლებაც გაურბის და ოპოზიციაც. ეს ხელისუფლებიდან შემოთავაზებული ტაბუა?**

- როგორც სოციალური პროცესებით დაინტერესებული, ძალზე კარგ მდგომარეობაში ვარ, რადგან პოლიტიკური, და ასევე, სხვა სოციალური ტაბუირების პროცესს შევესწარი.

როდესაც ეკლესიამ, სსრკ-ს დანგრევის შემდეგ, თავისუფლება შეიძინა, მთელი რიგი პრივილეგიები დაკარგა. დღეს არ შეიძლება გარკვევით თქმა, შევარდნაძის იდეა იყო თუ ჟვანიასი, მაგრამ, დაახლოებით 1995-1997 წლებში "მოქკავშირში" გაჩნდა იდეა, რომ კარგი იქნებოდა, რელიგია პოლიტიკურ იარაღად გამოეყენებინათ. ასე დაიწყო ამ ტაბუირების პროცესი და ეს აშკარად ხელისუფლების მხრიდან მოდიოდა.

**- ამის მიზეზი ჩვენი რელიგიური და პოლიტიკური განვითარების დაბალი დონე იყო?**

- არა. ეს იყო კონკრეტული პოლიტიკური ვითარების შედეგი.

**- და რომ არა ტაბუ ეკლესიაზე, არც კონკრეტული პოლიტიკური ვითარების პროდუქტი - მკალავიშვილის ფენომენი იარსებებდა? ხშირად მისი მოთხოვნები "ბას"-ის მოთხოვნებს წააგავს...**

- ბასილ მკალავიშვილი მაინც იარსებებდა. ეს უფრო საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის შუასაუკუნეობრივ ბუნებაშია: ცოტამ თუ იცის, რომ მკალავიშვილი ეკლესიიდან 1995 წელს განკვეთეს. განკვეთაც შუა საუკუნეებში დაწერილი საეკლესიო სამართლით ხდებოდა. იმდენად ემთხვევა საეკლესიო სამართლის წიგნში აღწერილი განკვეთის შემთხვევები მკალავიშვილის ქცევას, თითქოს საუკუნეები არც გასულა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად ფუჭი საფრთხეების აუცილებლობა დადგა. შარაძე-მკალავიშვილის ერთიანობა შესანიშნავი ფუჭი საფრთხეა. ეს აღარ იმუშავებს, როგორც 1999 წელს, თუმცა, ხმების გაყალბების მორალურ ლეგიტიმაციას მაინც შეიძლება დაედოს საფუძვლად

**- რა შეუშლის ამას ხელს? ოპოზიცია ხმების დაკარგვის შიშით ამ თემაზე არ საუბრობს.**

- ბასილის მრევლი ზუსტად იმდენია, რაც მას უკან დასდევს. ასე რომ, ამომრჩევლის დაკარგვის შიში არარეალურია... ოპოზიციური პარტიების წარმატება დიდწილად იქნება დამოკიდებული, რამდენად ღია დიალოგს დაიწყებენ ისინი მოსახლეობასთან და რამდენად იქნებიან გაბედულნი ამ დიალოგში... დღეს ჩვენი სოციალური სივრცე ისეა მოწყობილი, რომ საზოგადოების წევრს აიძულებს, არ მიიღოს მონაწილეობა საკუთარი ბედის გადაწყვეტაში.

ჩვენი გარემო უმსჯელობებით და ცრურწმენებითაა სავსე. ეს უმსჯელობები გვინერგავენ, რომ უხმაუროდ უნდა იცხოვრო; 24 საათი უნდა იმუშაო და არა უშავს, ცოლ-შვილი რომ მშიერი გყავს; კარგია კიდეც, ღარიბი რომ ხარ, და კარიერაზე და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე არ ზრუნავ – შუა საუკუნეების კუთვნილი ეს პრინციპები აქტიურად ინერგებოდა სსრკ-ში. შემდეგ, საქართველოში ბიბლიის ამ ინტერპრეტაციის სადარაჯოზე საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია დადგა.

უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეებში კათოლიკური ეკლესიის მსგავსი ინტერპრეტაციისადმი დაპირისპირება იყო რეფორმაციის წარმატებულობის საფუძველი. რეფორმაციამ ზემოხსენებულ უმსჯელობებს ბიბლიის სხვა ინტერპრეტაცია დაუპირისპირა: ადამიანი დამოუკიდებელი და თვითგანვითარებისკენ მიმართული უნდა იყოს. ეს იყო რეფორმაციის პოლიტიკური წარმატების მიზეზი, რამაც საბოლოოდ ზოგიერთი ევროპული სამთავროს რომის გავლენისაგან განთავისუფლებაც გამოიწვია.

**- დემოკრატიული არჩევნების გზით მოსული შევარდნაძის შემდგომი, რიგით პირველი ხელისუფლება, აუცილებლად დემოკრატიული იქნება?**

- დემოკრატიული არჩევნები სულაც არ განაპირობებს ისეთ დემოკრატიულ ხელისუფლებას, რომელიც ლიბერალურ ღირებულებებს აღიარებს. თუმცა, ეჭვი არავის შეაქვს, რომ არსებული ხელისუფლება თავის ხაზარაძეებიან, შევარდნაძის ოჯახებიან, ჩხაიძეებიანად უნდა შეიცვალოს. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება და შევარდნაძის ხელისუფლების წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მოვა ძალა, რომელიც საქართველოს გათანამედროვეობაზე იქნება ორიენტირებული. არც მათი ქცევიდან და არც ბიოგრაფიიდან ეს არ გამომდინარეობს. მათი მიზანი იდეურ, პრინციპულ განსხვავებებში უნდა გამოვლინდეს.

**- სოციოლოგი ხართ და იცნობთ კვლევებს. ამ ხელისუფლებას ხელახლა არჩევის რა შანსი აქვს?**

- ეს საზოგადოება, რომელიც ახლა არსებობს, არც ერთ შემთხვევაში არ მისცემს ხმას "ბას"-ს. მაგრამ, არსებობს სხვა საფრთხეები - თუ ოპოზიციამ მკალავიშვილ-შარაძეს, "აღორძინებას" წინააღმდეგობა არ გაუწია, ეს საფრთხე შეიძლება რეალური გახდეს. სერიოზული ქიმერაა ნათელაშვილიც, რომელიც ხმების სერიოზულ რაოდენობას აიღებს, მაგრამ საბედნიეროდ, ვითარება ცვალებადია. თუ ოპოზიცია გაერთიანდა და "კმარა" განწყობა ძლიერი იქნა - შეიძლება, არსებითად შეიცვალოს ხმების გადანაწილება.

არჩევნების გაყალბება რელიგიური მცნებების დარღვევაა. თუ სკამი ჩემი საკუთრებაა, ხმაც ჩემი საკუთრებაა და არ უნდა მოიპარო.

**- თქვენს წიგნში, ისევე როგორც კანონიერი ქურდები, ცნება "ინტელიგენტიც" საბჭოთა პროდუქტად არის მოხსენიებული. დღევანდელი ინტელექტუალები თუ განსხვავდებიან საბჭოთა ინტელიგენტებისგან?**

- სსრკ-ში ინტელიგენცია იყო ფენა, რომელსაც არც უნდოდა და არც შეეძლო არსებული ვითარების შეცვლა. ისინი დღესაც ამ ღირებულებების მატარებელნი არიან. ბევრი რამ შეიცვალა - ინტელიგენციის ნაწილი ინტელექტუალებად გადაიქცა და მათ არსებულის შეცვლა უკვე შეუძლიათ. თუმცა, საბედნიეროდ, დასავლელი ინტელექტუალებისგან განსხვავებით, ქართველი ინტელექტუალების უმეტესობა მემარცხენე ორიენტაციის არ არის.

**- თქვენ ესწრებოდით ოპოზიციის მიერ მოწყობილ ინტელიგენციასთან შეხვედრას, სადაც პრეზიდენტისადმი გასაგზავნ პეტიციას მოეწერა ხელი. ეს ნიშნავს, რომ ამ ფენას ვითარების შეცვლა უკვე შეუძლია?**

- ვფიქრობ, რომ ეს შეკრება შეცდომა იყო. არ შეიძლება, ხელისუფლებას მისივე მეთოდებით ებრძოლო. არა აქვს აზრი, შეკრიბო 200 კაცი, როცა ისინი 600-ს შეკრებენ. ხელისუფლებასთან მისივე მეთოდებით ბრძოლა ნიშნავს, რომ მას თავის მოედანზე და ნაკლები რაოდენობით ეთამაშო. მაგალითად, ჩახვიდე ესპანეთში, "რეალს" ექვსი კაცით საკუთარ მოედანზე ეთამაშო და თან მოგების იმედი გქონდეს.

მეორე შეცდომა: ეს იყო არა პოზიტიური, არამედ წინააღმდეგ მიმართული შიშველი პროტესტი.

**- პოზიტივში რომ გადავიყვანოთ, რა მოთხოვნები წამოიწევს წინ?**

- პოზიტივი ოპოზიციის მიერ გახმოვანებული ყველასთვის მისაღები ლოზუნგი როდია. ოპოზიციამ ისეთი რამ უნდა თქვას, რაც იქ მისულ აკადემიკოსს ოპოზიციის ჯარისკაცობას და არა მხოლოდ მხარდამჭერობას აიძულებს. მათ სჭირდებათ იდეები, რის გამოც არა მარტო უპირობოდ მიემხრობიან ოპოზიციას, არამედ აქტიურად დაუჭერენ მხარს. თორემ, შევარდნაძე და "ბასი" რომ უკვე არავის უნდა, ეს ცხადია. მხარდამჭერებს, განსაკუთრებით ინტელექტუალებს, უნდა სჯეროდეთ, რომ ოპოზიციას მოაქვს იდეები, რომელიც საქართველოს გათანამედროვეობას - ახალი მოწყობის, ახალი განათლების, ახალი შეიარაღებული ძალების, ახალი პოლიციის შექმნას შეუწყობს ხელს.

**- ანტიკორუფციული საბჭოს წევრად დარჩენა გერგოთ. სოროსი უკვე აღარ აფინანსებს ანტიკორუფციულ პროგრამას, რადგან საბჭოს მუშაობით უკმაყოფილოა. რამდენად განაპირობებს ანტიკორუფციულ ეფექტს იქ მომუშავე თითოეული ადამიანი?**

- უკვე ვიხუმრე - შევარდნაძეს "ბლეკ ჯეკი" ვეთამაშე-მეთქი...

რაც შეეხება პიროვნებას - საბჭოს მუშაობიდან თუ რაიმე კარგი შეიძლება გამოსულიყო - გივი თარგამაძის მუშაობა იყო.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები შეიქმნა და გამოძიებები ჩატარდა, შედეგი არ არის. რეალურად, ანტიკორუფციული საბჭოს არც ერთი რეკომენდაცია პირდაპირ არ შესრულებულა.

**- არის საბჭო გავლენიანი და დამოუკიდებელი? რამდენად შეუძლია მის თავჯდომარეს ანტიკორუფციული მუშაობის წარმართვა?**

- საბჭოს არანაირი გავლენა არ აქვს. ეს არის კიდევ ერთი შირმა, სიმულაციის დროინდელი რელიქტი, რომელიც არ მუშაობს. ანტიკორუფციული მუშაობის გატარება უგულავას არ შეუძლია იმიტომ, რომ მას ამის საშუალება არ აქვს. ვშიშობ, რომ კანცელარია უგულავას ანგარიშსწორების იარაღად გამოყენებას ეცდება. თუმცა, კახასი მჯერა და ვფიქრობ, რომ ამ ხიფათის მიუხედავად, თავს არ გამოაყენებინებს...

**- ხომ არ არის ცნობილი საბჭოს შემდეგი შემადგენლობა?**

- ხუმრობენ, რომ შეიძლება პრეზიდენტმა კახა თარგამაძე ან მოლაშვილი და ა.შ. დაასახელოს. პირადად მე კი, იმის ეჭვიც მაქვს, რომ არჩევნებამდე არც არავის დაასახელებს.

**- ქვეყანაში როგორ უნდა გაიზომოს დემოკრატიის ყოფნა, არყოფნა და ყოფნა-არყოფნა?**

- დემოკრატიის გაზომვის მთელი რიგი მეთოდები უკვე სრულყოფილად აღარ მუშაობს და ამის შესახებ ჩემს წიგნში წერია. გარკვეული მუდმივა თითქოს არის - სასამართლო სისტემა, არჩევნები, პრესა და რელიგია... დემოკრატია, ძირითადად, ამ რამდენიმე სისტემით იზომება. ეს კრიტერიუმები ტოკვილის ნაშრომში - "დემოკრატია ამერიკაში" - ჩამოყალიბდა. აშშ-ს დამფუძნებლების ამოცანა იყო, დემოკრატიულად გადაექციათ ეკლესია, რელიგია - სისტემა, რომელიც ისტორიულად ყველაზე მეტი ადამიანის გამაერთიანებელი იყო და წარმატების შემთხვევაში, დემოკრატიულ პროცესებში მაქსიმალურად ბევრი მოქალაქის ჩართვა გარანტირებული იყო.

მაგრამ მას მერე ბევრი პირობა და მაჩვენებელი შეიცვალა. გაჩნდა სულ მცირე, ორი ინსტიტუტი, რომელიც ისევე, თუ უფრო მეტად არა, მოიცავს ყველა მოქალაქეს და საკუთარ თარგზე აწყობს მათ: ესენია ტელევიზია და განათლება. ასე რომ, დემოკრატიის განსაზღვრებას რამდენიმე კომპონენტი უნდა დაემატოს - როგორი განათლება აქვს ქვეყანას და როგორი კანონებით მუშაობს მასმედია.

**- ეპოქის ობიექტურად შესაფასებლად მრავალი წელი უნდა გავიდეს. თქვენს წიგნში "ცხელი", 2003 წლის მოვლენებია გაანალიზებული. როგორ გგონიათ, რამდენიმე ათეული წლის შემდგომი და თქვენი შეფასება განსხვავებული იქნება?**

- ვფიქრობ, რომ დიდად განსხვავებული არ იქნება. შეიძლება, კონკრეტული პოლიტიკოსის შეფასებაში დავუშვა შეცდომა... სხვა არა მგონია.

სამი წლის მერე კიდევ დავწერ წიგნს და შევეცდები, ვუპასუხო კითხვას, გამოვედით შუა საუკუნეებიდან თუ დავრჩით დემოკრატიის სიმულაცია/შუა საუკუნეების ქანქარაში.

**- ახლა გზასაყარზე ვართ?**

- დიახ, ახლა ამ გამოსვლა/არ გამოსვლის არჩევანის წინაშე ვდგავართ.








რეზო თაბუკაშვილის სვეტი



## რა მინდა ამერიკისგან

მე მინდა გაუზავებელი Jack Daniels. ამერიკული ლუდი არ მინდა. მე მინდა კუპრმოუშორებელი წითელი Marlboro. McDonalds არ მინდა (მართალია, ჩემს ბავშვს უნდა). მე მინდა კონგოში 1974 წელს მოწყობილი მუჰამედ ალის და ჯო ფორმანის ჩხუბი, რომელსაც ერთი დღით იქ, კინშასაში თავმოყრილი ამერიკელი ზანგი მუსიკოსების, ელა ფიცჯერალდის, არეტა ფრანკლინის, ჯეიმს ბრაუნის და სხვების კონცერტი უსწრებდა. მე მინდა ელი მაკგროუ და სტივ მაკქუინი სემ პეკინპას ფილმში "გაქცევა". მე მინდა ჩარლი ჩაპლინი და All that Jazz. მე არ მინდა დოლარის კულტი და ოცდაათსაათიანი სამუშაო დღე და ასეთი სამუშაოს პოვნის ცხოვრების მიზნად ქცევა. მე მინდა ნიუ ორლეანული ბლიუზი, მანჰეტენური ღამის კლუბები. მე მინდა ბუკოვსკის დამსხვრეული ლუდის ბოთლებით მოფენილი სამზარეულო. არ მინდა ბეროუზი და მისი პედერასტული წიაღსვლები. მე მინდა "კატა წვიმაში" და "ნარჩიტა საჩუქრად". მე მინდა ველბოტებით მობი დიკის დევნა. მე მინდა Levi's და ოცდახუთკალიბრიანი კოლტი. არ მინდა ემანსიპაცია და გაკაცებული ქალები. მე მინდა მორისონი და ჯენის ჯოპლინი. მე მინდა თავისუფლების ქანდაკება და არ მინდა ფართო, გაბადრულსახიანი პოლიციელები, რომლებსაც ერთი სული აქვთ, თქვან: You are under arest. მე არ მინდა, როდესაც სკოლაში მასწავლებლები მოწაფეებს ერთმანეთის დაბეზღებას ავალებენ, არც სამსახურში და სხვა ადგილას უფროსების გულმოდგინე დასმენა და ამ საქციელის ნორმად მიღება მინდა. მე მინდა კლონდაიკზე ოქროს ძებნა და ტომას პინჩონთან ერთად ნიუ იორკის კანალიზაციის მილებში ნიანგებზე ნადირობა. მე მინდა, როდესაც "ღამეა ნაზი". მე მინდა ზანგების ქუჩაზე გიტარით ხელში ჩამომჯდარი ჯო ლი ჰუკერი და კერუაკის ხეტიალი გზაზე. მე არ მინდა ვიეტნამის ომი, ერაყი და ჰიროსიმა და ნაგასაკი. მე მინდა, ათასობით ბავშვი რომ თამაშობს ქვავის ყანაში და კარგად რომ იჭირება ბანანა თევზი. მე მინდა ჯეიმზ კეგნის კიბეზე ბოლო არბენა - "ჯარისკაცის ბედი ამერიკაში". მე "ფრენსის მაკომბერის ხანმოკლე ბედნიერება" მინდა. მე არ მინდა კოლექტიური, დაკონსერვებული ოცნების არსებობა.

მე მუდამ თანმდევი ზეიმი მინდა.

# ყველაზე ძველი და თანამედროვე სანახაობა

### ქართული პავილიონი ვენეციის ბიენალეზე

ნინო ჭანიშვილი

15 ივნისს ხელოვნების სამყაროში ყველაზე ძველი, პოპულარული, პრესტიჟული და ავტორიტეტული ჩვენება– ვენეციაში 50-ე ბიენალე გაიხსნება. 2 ნოემბრამდე ძველი ვენეცია თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებით მოიფინება.

აქ ახალი არტისტული პროდუქციის შესაფასებლად მთელი მსოფლიოს სახელმოხვეჭილი კურატორები, კოლექციონერები და კრიტიკოსები შეიკრიბებიან.

ვენეციის ბიენალე პირველად 1895 წელს გაიმართა. მისი ინიციატორი იყო ქალაქის მერი. თავიდანვე განისაზღვრა, რომ იტალიელებთან ერთად უცხოელი მხატვრებიც მიიღებდნენ მონაწილეობას. პირველივე წელს ჩვენებას 224 ათასი ადამიანი დაესწრო, მათ შორის - მეფე უმბერტო I და დედოფალი მარგარიტა.

1930 წლიდან ბიენალეს მუსიკის ფესტივალიც დაემატა. 1932 წლიდან იმართება კინოს ფესტივალი, რომელიც 1935 წლიდან ყოველწლიური გახდა. 1934 წლიდან დაემატა თეატრალური ფესტივალიც, 1980 წლიდან კი არქიტექტურის ჩვენება.

1972 წლიდან პირველად გაჩნდა სახელმძღვანელო თემა, რომელსაც ბიენალეს დირექტორი მონაწილეებს სთავაზობს. წელს ბიენალეს ფრანჩესკო ბონამი ხელმძღვანელობს; წლევანდელი თემაა "ოცნებები და კონფლიქტები". მთელი მსოფლიოდან მოწვეული 350 მხატვარი ამ ერთ სათაურზე იფიქრებს.



თამუნა ხუნდაძის ნამუშევარი "უსათაუროდ"

ბრწყინვალებისა და წარმატებების პარალელურად, ვენეციის ბიენალეს თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. 1910 წელს ფუტურიზმის ფუძემდებელმა, მარინეტიმ სან მარკოს მოედანზე ბიენალეს საწინააღმდეგო აქცია მოაწყო. 40-იან წლებში ანდრე ბრეტონი ყოველგვარი პრემიების მინიჭების წინაღმდეგ გამოვიდა; 1955 წელს კი, როდესაც სიურეალისტ მხატვრებს - არპს, ერნსტსა და მიროს, ვენეციის ბიენალეს პრემიები მიანიჭეს, სიურეალისტებმა მათ ბოიკოტი გამოუცხადეს და თავიანთი საზოგადოებიდან განდევნეს. 1968 წელს იტალიელი სტუდენტები ბიენალეს გახსნის წინააღმდეგ გამოდიან. ამავე წლის "სტუდენტური რევოლუციის" შედეგად ფრანგმა მხატვრებმა თავიანთი ნამუშევრები მოხსნეს ბიენალედან. ბევრი დღესაც სკეპტიკურად უყურებს ამ მასშტაბურ ღონისძიებას, თუმცა, მიუხედავად ყველაფრისა, ის დღემდე რჩება ყველაზე ავტორიტეტულ ფორუმად. იქ მოხვედრა ძნელია და გადასახადიც მაღალია.

სასიხარულოა, რომ წელს ვენეციის 50-ე ბიენალეზე 32 ნაციონალურ პავილიონს შორის ქართული პავილიონიც იქნება წარმოდგენილი. ამის შესახებ პოპულარული ინტერნეტ-გამოცემა Art daily.com წერს. ქართულ პავილიონს წარმოადგენენ მხატვრები- თამარ ხუნდაძე და თეა გვეტაძე. ამ ორმა ახალგაზრდა მხატვარმა დიუსელდორფის სამხატვრო აკადემია დაამთავრა; ამჟამად კი გერმანიაში ცხოვრობენ და მუშაობენ. როგორც გაზეთი წერს, ინსტალაცია, რომლითაც ისინი ბიენალეზე წარდგებიან, წარმოადგენს "ფუნდამენტურ არქეოლოგიის მუზეუმს". ეს არის უცნაური კომპოზიცია, რომელიც თავის თავში გალაქტიკას იტევს. ინსტალაცია ვერტიკალური ნეონის მილების რიგისაგან შედგება. ნეონის მილები აღმართულია სხვადასხვა ფერის ალუმინის იატაკზე. ცენტრში მდგარი ორი კვარცხლბეგი არქიტექტურულ მემორიალურ სვეტს წააგავს. ერთზე ტირანოზავრი რექსის პლასტმასის ფიგურაა, მეორეზე - პამიდვრის ბუჩქი, რომელიც ერთადერთი ცოცხალი ორგანიზმია ამ ინსტალაციაში. გეომეტრიულად მკაცრად კონსტრუირებულ ინსტალაციაში MTV-ის ცნობილი სახის, ტომ გრინის ორმაგ პორტრეტს ექსპრესია შეაქვს. ტომ გრინის გაორებული პორტრეტი გაპრიალებულ ალუმინის იატაკზეა დატანილი, რომელზეც დამთვალიერებლების სახეებიც აირეკლება.

ვენეციის ბიენალეზე ქართული კულტურის ნიმუში პირველად 1997 წელს მოხვდა - გია ეძგვერაძის ინსტალაციები. ეს პროექტი "მერსედეს ბენცმა" დააფინანსა და ის 95 ათასი დოლარი დაჯდა. 6 წლის შემდეგ სწორედ გია ეძგვერაძის ყოფილი მოსწავლეები - თეა გვეტაძე და თამუნა ხუნდაძე წარდგნენ ვენეციური ბიენალეს სამსჯავროზე.

# მაი კაია მასეო

თეა შანიძე

შტუტგარტისა და ვიურცბურგის მიდამოებში, ორ პატარა ქალაქში არის მუსიკალური სასწავლებლები... ჩვეულებრივი სასწავლებლები არ გეგონოთ... იქ სამი ჯადოქარი მასწავლებელი და ბევრი გერმანელი მოსწავლეა...

ასე ზღაპარივით დაიწყებოდა და გაგრძელდებოდა იმ ამბის თხრობა, ჩვენი "გმირები" საქართველოში რომ არ ჩამოსულიყვნენ და მათი შესაძლებლობების თვითმხილველები არ გავმხდარიყავით.

ათი წლის მანძილზე გერმანიაში მცხოვრები ქართველი მუსიკოსები, ჯგუფ "შინის" წევრები - ზაზა მიმინოშვილი და ზურაბ გაგნიძე ამჯერად იმ ფესტივალის ორგანიზატორებად მოგვევლინენ, რომელმაც მთელი ერთი კვირის მანძილზე მოიცვა თბილისი, სიღნაღი, მცხეთა...

ახალგაზრდა გერმანელ და ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა ფესტივალი გერმანულ ლუთერანულ ეკლესიაში გაიხსნა. ეს ფესტივალი 1999 წლიდან იმართება, ყოველწლიური კი მხოლოდ მატერიალური სირთულეების გამო ვერ გახდა.

ახალგაზრდა გერმანელი შემსრულებლები ძალიან ცდილობდნენ, საკმაოდ დიდი აუდიტორიის წინაშე ღირსეულად წარმდგარიყვნენ. კლასიკური ნაწარმოებები ნაცნობი "ხილი" იყო, მაგრამ მათ მიერ შესრულებულ ქართულ სიმღერას ეგზოტიკური ხილივით იგემებდით. "მაი კაია მასეო"..., - შემართებით, მონდომებით და ყელმოღერებულები მღეროდნენ გერმანელები. კონცერტის ბოლოს გერმანულმა ჯგუფმა "ლაოდამ" მრავალჟამიერი დააგუგუნა და ქართველი მსმენელის შესაბამისი ოვაციაც გამოიწვია.



"შინის" გერმანული აფიშა

უფრო სწორად, ამ ჯგუფს გაცნობამდე ერქვა "ლაოდა", ნაცნობობის და დამეგობრების შემდეგ კი ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის - ჯგუფის სახელიც; "ლაოდა" მალე გახდა "დილაოდა ლაოდა".

ზურა გაგნიძის ბებიის ნათქვამი არც ერთი სიტყვა არ დატოვა ზაზამ გაუცოცხლებელი. რას წარმოიდგენდა რამდენიმე წლის წინ ის ქალბატონი, რომ მის მიერ ნათქვამი ფრაზები, ორი ნიჭიერი ადამიანის ჩარევით, სიმღერად აჟღერდებოდა და გერმანელები იმღერებდნენ.

მოკლედ, ზაზას და ზურას პედაგოგიური მოღვაწეობა გერმანიაში, ჩვენდა საამაყოდ, წარმატებულია... ისინი ბედნიერებად მიიჩნევენ, რომ საკუთარი გამოცდილების სხვებისთვის გაზიარების შესაძლებლობა მიეცათ. სწორედ ესაა მათი მიზანი!

ღია სტილისტიკის, საერთაშორისო მასშტაბის ერთ-ერთ უდიდეს ფესტივალზე აკუსტიკურ გიტარაზე შემსრულებელთაგან პირველი პრიზი ზაზას მოწაფეს ხვდა – "ადიოს" კომპოზიციით "მოგონებანი".

ამ ფესტივალის ლაურეატობა კიდევ ერთმა მოწაფემ დაიმსახურა. ეს ორი "ბრწყინვალე გამონაკლისი", როგორც ზაზა უწოდებს, საქართველოში ჩამოვიდა და ამჯერად ქართველი მსმენელიც დარწმუნდა მათ შესაძლებლობებში. თურმე, ზაზა ქართული ხვეულების სილამაზეს და სირთულეს ჩვენებურ გზებთან მსგავსებით უხსნიდა თავის მოწაფეებს. "გერმანული გზები საშინლად მოსაწყენია, სრულიად სლიკინა და პრიალა.... ნახე, როგორია ჩვენი?! განსაკუთრებით ახლა – ცხვირ-პირს დაიმტვრევ... ასეთი ტონის ნაცვლად (ხელით ჰაერში სწორი ხაზი გაავლო), არის ხვეული, - უხსნიდა ზაზა.

კარგია, რომ ამჯერად საქართველოს გზები თვალსაჩინო მაგალითისთვის მაინც გამოდგა! მოკლედ, გზებს, მთებს, ბუნებას, ხალხს შესაშური სისწრაფით შეეგუენ გერმანელები - იმდენად, რომ წასვლაც გაუჭირდათ.

ახალგაზრდა გერმანელ და ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა ფესტივალი სამხატვრო აკადემიის საკონცერტო დარბაზში ისეთივე წარმატებით დასრულდა, როგორც დაიწყო; ისეთივე ხალხმრავლობით დაიხურა, როგორც გაიხსნა; ფესტივალის შედეგმა მოლოდინს გადააჭარბა და უნგრელ მუსიკოსებსაც გადააწყვეტინა ამ პროექტში ჩართვა.

## სომხური თეატრი თბილისში

ნანა ბასილაშვილი

ერევნის გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის ნაციონალური აკადემიური თეატრი დღეს, ხვალ და ზეგ მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლებს წარმოადგენს. "სუნდუკიანის თეატრი" თბილისში უკანასკნელად 30 წლის წინათ სტუმრობდა. თეატრი გასტროლებზე სამი სპექტაკლით ჩამოვიდა. ამჯერად თბილისელი მაყურებელი ლორკას "ბერნარდა ალბას სახლს", ტენესი უილიამსის "ტრამვაი, რომელსაც "სურვილი" ჰქვია" და ჩეხოვის "ალუბლის ბაღს" იხილავს.

სომხური თეატრის, თითქმის, სრულ შემადგენლობას, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მსახიობებს გუშინ კულტურის სამინისტროში საგანგებო შეხვედრა-პრესკონფერენცია გაუმართეს. კულტურის მინისტრმა, სესილი გოგიბერიძემ პირადად წარუდგინა ჟურნალისტებს სტუმრები. როდესაც მან მისასალმებელი ტექსტის სტუმრებისათვის რუსულ ენაზე გამეორება დააპირა, მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებმა ერთხმად წამოიძახეს, - ყველაფერი გვესმოდაო.

"ჩვენ ხშირად ჩამოვდიოდით თბილისში, კარგად ვიცნობთ თქვენს შესანიშნავ რეჟისორებს, მსახიობებსა და მათ შემოქმედებას. ბედნიერები ვართ, რომ დიდი ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის, ოთარ მეღვინეთუხუცესის სცენაზე გვიწევს გამოსვლა - სცენაზე, სადაც გენიალური "ურიელ აკოსტა" დაიდგა. ძალიან ვღელავ, სასიამოვნო მოულოდნელობაა ის ფაქტიც, რომ ჩვენთან შესახვედრად ამდენი ჟურნალისტი მოვიდა", - თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ვაგე შახვერდიანი პრესკონფერენციაზე მთელი დასის სახელით ლაპარაკობდა.

სომხური თეატრი ქართულ სცენაზე სპექტაკლებს სინქრონული თარგმანით წარმოადგენს. ვაგე შახვერდიანის ნაამბობით, "ალუბლის ბაღს" მოსკოველი მაყურებლის დიდი მოწონება დაუმსახურებია, "ბერნარდა ალბას სახლი" კი თეატრს თურქეთის საერთაშორისო ფესტივალზე წარუდგენია და პრემია დაუმსახურებია.

შარშან თეატრის დაარსებიდან 80 წელი შესრულდა. ვაგე შახვერდიანი თეატრს 1996 წლიდან ხელმძღვანელობს. საკმაოდ დიდხნიანი პაუზის შემდეგ სომხური თეატრის გასტროლები თბილისში საქართველოს კულტურის სამინისტროსა და სომხეთის რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის სამინისტროების, საქართველოში სომხეთის საელჩოსა და სომხეთის პირველი ლედის მხარდაჭერით განხორციელდა.

## „ტრისტან და იზოლდა" საქართველოში

ნანა ბასილაშვილი

საქართველოს სიმფონიური ორკესტრი ევგენი მიქელაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ სეზონს 14 ივნისს დაასრულებს. ამ დღეს, პირველად ქართული მუსიკის ისტორიაში, რიჰარდ ვაგნერის "ტრისტან და იზოლდა" შესრულდება.

მონდომების მიუხედავად, პროექტისათვის საჭირო თანხის შეგროვება ვერ მოხერხდა. ამდენად 14 ივნისს ოპერის მხოლოდ საკონცერტო ვარიანტი შესრულდება. "ვინაიდან პროექტისათვის საჭირო თანხის შეგროვება ვერ მოვახერხეთ, უარი ვთქვით რამდენიმე პერსონაჟზე, რეჟისორზე და დეკორაციებზე. უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდით ცნობილ ინგლისელ რეჟისორთან, მაიკლ ჰანტთან, რადგან მისი და სოლისტების თანხმობა უკვე მიღებული გვქონდა", განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე სახელმწიფო ორკესტრის ხელმძღვანელმა ვახტანგ მაჭავარიანმა.

გუშინ თბილისში საოპერო ხელოვნების ოთხი ცნობილი წარმომადგენელი ჩამოვიდა. ნატაშა პეტრინსკის (მეცო სოპრანო), რომელიც ბრანგენეს პარტიას შეასრულებს, თბილისელი საზოგადოება უკვე იცნობს. იზოლდას პარტიას ვაგნერის საზოგადოების სტიპენდიანტი, გერმანელი ბრიგიტ ვოლფარტი (სოპრანო) შეასრულებს. მას პარტნიორობას ინგლისელი ტენორი, მეტროპოლიტენ ოპერის, ლონდონის სამეფო და პარიზის ოპერის, სან ფრანცისკოსა და სანტა ფეს თეატრების სოლისტი დევიდ რენალდი გაუწევს. მეფე მარკეს პარტიას კი ამერიკელი მომღერალი, ვაშინგტონის, კანადისა და მეტროპოლიტენ ოპერის სოლისტი, მონტე იაფე (ბანი) შეასრულებს.

"დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოს მოსახლეობა ინტერესს გამოიჩენს და გარკვეულ თანხას სწორედ შემოსავალიდან დავფარავთ. მაღალი ფასის ბილეთები არ გვაქვს, მთავარია, პრემიერამ ანშლაგით ჩაიაროს. დიდი დახმარება გაგვიწია კულტურის სამინისტრომ, "ჯეოსელმა" და "ბადრი პატარკაციშვილის ფონდმა". თუმცა, თანხა მაინც არაა საკმარისი. მომღერლები ჰონორარს 25-30 ათას დოლარს არ იღებენ, მაგრამ დღიური ანაზღაურება საკმაოდ სოლიდურია." – ამბობს ვახტანგ მაჭავარიანი.

14 ივნისს სამაქტიან, 224 წუთიან "ტრისტან და იზოლდას" 110 წუთში", მოვისმენთ.

# ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები

ნათია ვადაჭკორია

კინოს სახლი 9-დან 20 ივნისის ჩათვლით ფრანგულ-გერმანულ ფილმებს მასპინძლობს. ეს ციკლი მომზადებულია საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და გოეთეს ინსტიტუტის ერთობლივი თანამშრომლობით, ელისეის ხელშეკრულების ორმოცი წლისთავის ფარგლებში, რომელსაც ფრანგები მთელი 2003 წლის მანძილზე აღნიშნავენ. საფრანგეთის საელჩო, ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი და გოეთეს ინსტიტუტი ოთხ ფრანგულ და ათ გერმანულ ფილმს შემოგვთავაზებენ.

ფრანგული ფილმების ციკლს "ახალგაზრდა კინო" ეწოდება და მოიცავს რეჟისორების – ჟაკ ოდიარის, სედრიკ კანის, კატრინ კორსინის და ტომა ვენსანის სრულმეტრაჟიან ფილმებს. გერმანელები კი წარმოადგენენ ანჟეი ვაიდას, იშტვან საბოს, ფონს რადემაკერსის, ფრანს ვაისცის, აგნიშკა ჰოლანდის, ჟერვუ ჰოფმანის, ციკა მიტროვიჩის, ეუგენ იორკის და ფალკ ჰარნაკის ფილმებს. კინოჩვენება გუშინ ჟაკ ოდიარის "შეხედე როგორ ეცემიან ადამიანებით" გაიხსნა, რომელშიც ყველასათვის კარგად ნაცნობი ჟან-ლუი ტრენტინიანი მონაწილეობდა. იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ვერ ფლობს ფრანგულ ან გერმანულ ენებს, კინოსეანსები ყოველ დღე, საღამოს ოთხ საათზე გაიმართება ორიგინალის ენაზე, ხოლო შვიდ საათზე - ქართულად. რაც მთავარია, შესვლა ყველასთვის უფასოა და მაყურებელი ფილმებს ვიდეოკასეტაზე კი არა, ნამდვილ კინიფირზე იხილავს.


ფრანსუა ლორანი საინტერესო ფილმებს გვპირდება

საფრანგეთის საელჩოს კულტურის ატაშემ, ფრანსუა ლორანმა აღნიშნა, რომ თებერვალსა და აპრილში "რაპნოსა" და "...ქალების" ციკლის შემდეგ გადაწყვიტეს ფრანგულ-გერმანული ფილმების რეტროსპექტივა. ფრანგული ფილმები ახალგაზრდა რეჟისორების ნამუშევრებითაა წარმოდგენილი, ხოლო გერმანელების რეპერტუარი უფრო ფართოა.

გარდა ამისა, 21 ივნისს, მუსიკის დღესასწაულთან დაკავშირებით, საფრანგეთის საელჩო ორ მანიფესტაციას აწყობს. მუსიკის ღამეს, 20-დან 21 ივნისის ღამის განმავლობაში საფრანგეთის საელჩოს მომავალ ტერიტორიაზე - 9 აპრილის პარკში ლიონიდან ჩამოსულ მუსიკოსებთან ერთად ჯგუფი "33 ა" იმღერებს, 21 ივნისს კი კულტურის ატაშე ყველას ეპატიჟება დიუმას სახელობის ცენტრში მუსიკალურ აპერიტივზე.

# შავი ზღვის 24-საათიანი შთაბეჭდილებები

## ისევ პენ-მარათონის შესახებ

თამარ სუხიშვილი

*რა განსხვავება იყო პენ-მარათონ-2002-სა და პენ-მარათონ-2003-ს შორის? პირველი ხმელეთზე იყო, მეორე წყალში; მაშინ ღვინის დიდი ბოთლები იყო, ახლა – პატარა, თანაც მაშინ ღვინოც ბევრი იყო, ახლა - ცოტა (შარშანდელი მწარე გამოცდილების შედეგი); შარშან პირველ, შესარჩევ ეტაპზე, დაახლოებით, ორჯერ მეტი ადამიანი მონაწილეობდა, ვიდრე წელს; შარშან წერდნენ ჩაკეტილ სივრცეში, ახლა - ღია ზღვაში; შარშან პენ-მარათონი პირველი იყო, წელს – მეორე; შარშან მარათონს დედაქალაქი მასპინძლობდა, წელს – მარათონი დედაქალაქიდან გავიდა და ფოთის პორტში გადაინაცვლა; შარშან საკონკურსო მინიშნება იყო პირველი წინადადება, წელს – ეპიგრაფი; შარშან 12-საათიანი გრაფიკი იყო, წელს – 24-საათიანი; შარშან ფულადი პრიზები ორჯერ უფრო ცოტა იყო, წელს – ორჯერ უფრო მეტი; შარშან კონკურსის მონაწილენი მხოლოდ დავალებაზე ფიქრობდნენ, წელს – დავალებაზეც, გართობაზეც, ზღვაში შესვლაზეც და მზეზე გარუჯვაზეც; შარშან მარათონელებს მხოლოდ ნაცნობ-მეგობრები გულშემატკივრობდნენ, წელს გულშემატკივართა რიგებს დელფინებიც შეემატნენ და უკან მოჰყვებოდნენ შუა ზღვაში შესულ გემს; შარშან მონაწილეებს არ ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება, წელს – ჰქონდათ; შარშანდელი პენ-მარათონი სიმღერით არ დაგვირგვინებულა, წელს ფინალი კარგი ქართული სიმღერა იყო, მონაწილეებმა ავტობუსში რომ შემოსძახეს; შარშან იყო ნაკლები ხალისი, წელს – ბევრად მეტი, ხალისიც და მოგონებაც; შარშან... მოკლედ, პენ-მარათონის ციებ-ცხელებამ ჩაიარა, უკან დარჩა კონკურსის ყველაზე დაძაბული ეტაპი, რომელიც გაშლილ ზღვაში, გემზე 24 საათის განმავლობაში პროზაული ნაწარმოების შექმნას ითვალისწინებდა. 26 კონკურსანტისთვის ახლა მოუთმენელი მოლოდინის კვირეული დაიწყო – 27 ივნისამდე, როცა საბოლოო შედეგები გამოცხადდება და პენ-მარათონ-2003-ის საუკეთესო ათეულის კრებულის პრეზენტაციაც გაიმართება. 27-მდე კი ჟიურის დაადგება დიდი ჯაფა... სანამ ჟიური "კაპიტანი თავართქილაძის" გემბანზე შექმნილ თხზულებებს შეაფასებს და შთაბეჭდილებებს გაგვიმჟღავნებს, ლიტერატურული ეკიპაჟის წევრები თავად გვიზიარებენ შავი ზღვის უჩვეულო კრუიზის შთაბეჭდილებებს.*



ცხადდება საკონკურსო თემა.



ყველაზე უსაფრთხო ხომალდი...



ნუგზარ შატაიძე, ვანო შატბერაშვილი, ჯემალ მონიავა.



შარშანდელი მარათონის გამარჯვებული გელა ჩქვანავა.



ბესო სოლომანაშვილი და ყველაზე ახალგაზრდა კონკურსანტი სალომე ჯანელიძე.

**ჯარჯი აქიმიძე** (ორგანიზატორი): გონზე აღარა ვარ, რამდენიმე დღის განმავლობაში სულ რაღაც რამდენიმე საათი მეძინა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვარ. და ბედნიერი ვარ იმით, რომ ეს ადამიანები არიან ბედნიერნი, ხომ ხედავთ, ავტობუსში სხედან და მღერიან. მათ გააკეთეს ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც 24 საათში შეეძლოთ, კონკურსის მონაწილეები მთელი სერიოზულობით მუშაობდნენ. მერე იცით, წერის დროს უცნაური რაღაცეებიც ხდებოდა, ასე უფრო სწორი იქნება, თუ ისეო, - ზოგჯერ გადასძახებდნენ ხოლმე ერთმანეთს კონკურსის მონაწილენი...

შარშან პენ-მარათონზე ორჯერ მეტი ხალხი იყო და ორჯერ მეტად უინტერესო იყო, წელს ორჯერ მეტად საინტერესო გამოვიდა. ჯერ ერთი, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, აქ ნამდვილი ურთიერთობები იყო. მარათონამდე ერთმანეთს მხოლოდ 30 პროცენტი იცნობდა, ახლა ძალიან დავახლოვდით, წერის პროცესში ეს ადამიანები ერთმანეთისთვის ძალიან ახლობლები გახდნენ, და ეს არის ყველაზე მთავარი. საბოლოო ჯამში, ბევრი კონკურსი უნდა იყოს, ფულიანმა ხალხმა უნდა მიხედოს ჩვენს მწერლებს, ხელოვანებს, რაღაცნაირად დაასაქმონ ისინი. მათი დასაქმებით ისინი საკუთარ შვილებს გაუკეთებენ საქმეს, რადგან სწორედ მათი შვილები წაიკითხავენ ამ მწერლების ნაწერებს...

**დათო ტურაშვილი:** ჩვენ შემოგვთავაზეს თამაშის წესი, რომელსაც ან მიიღებ, ან - არა. ზოგმა ეს წესი არ მიიღო. ჩემთვის კი, პირიქით, ძალიან საინტერესო იყო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ შეიქმნა ექსტრემალური გარემო, შეზღუდული პირობებით და გარკვეული დისკომფორტით. 24 საათი შეუსვენებლივ ვწერდი. ძალიან მეძინება. ჩემს წინ რამაზ გიგაური იჯდა და იმდენი მაცინა, სიცილით მოვკვდი, ის რომ არ ყოფილიყო, ალბათ, წერის დროს ჩამეძინებოდა კიდეც.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა "დიოგენეს", სხვა ორგანიზატორებს და სპონსორებს. მართალია, ამ იდეას ოპონენტი და მოწინააღმდეგეც ჰყავს, მაგრამ ეს არაფერია, საქართველოში ხომ ასეა, ვინც რამეს აკეთებს, ყველას ოპონენტი გამოუჩნდება ხოლმე. მე ძალიან მომწონს, როცა კონკრეტულ გარემოს და კონკრეტულ სივრცეს გთავაზობენ და შენ კონკრეტულ დროში რაღაც უნდა დაწერო. ყველაზე მნიშვნელოვანია თვითონ წერის პროცესი. გასაგებია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით განისაზღვრება შენი მწერლური ოსტატობა, ან ლიტერატურული ნიჭი. ეს უბრალოდ კონკურსია, სადაც მხოლოდ იმ შესაძლებლობის შეფასება ხდება, რასაც განსაზღვრულ დროში გამოავლენ. ამავე დროს, მოხარული ვარ, რომ გავიცანი ისინი, ვისაც აქამდე მხოლოდ ნაწერებით ვიცნობდი. წერის პროცესითაც კმაყოფილი ვარ, წერა იყოს და სადაც მეტყვიან, იქ წავალ, სახლში არა მაქვს პირობები და გემზე იქნება თუ ნავზე იქნება, სადაც იქნება, წავალ და დავწერ.

**პაატა ბერიკაშვილი:** ძალიან დაღლილი ვბრუნდები, მაგრამ საოცარი შთაბეჭდილებით დატვირთული. მონაწილეთა უმრავლესობას არ ვიცნობდი, ყველანი ძალიან კარგები არიან. ამაზე კარგ საქმეს ვერავინ გააკეთებს. მიხარია, რომ ასეთი ღონისძიებები იმართება და ჩვენი ქვეყნიდან მხოლოდ ჯართი ან სილიკატი კი არ გააქვთ, ჩვენთან კარგი რაღაცეებიც ხდება. ეს ბედნიერებაა, ესე იგი ჩვენ ვცოცხლობთ. პირობებს რაც შეეხება, არავითარი ექსტრემალური პირობა არ ყოფილა, მონაწილეებს გონებაში მოფიქრებული ჰქონდათ სავარაუდო თემა და ეს თემა რაღაც ყალიბისთვის უნდა მოერგოთ, ისე როგორც ჭიდაობისას უნდა დაუდო ილეთი. მარათონი მაგას ნიშნავს. ასეთი შეხვედრები თუ მომრავლდება, შესანიშნავი იქნება.

**მაკა მიქელაძე:** გამოცოცხლდი, გახალისდი, რაღაც ახალი გაიგე საკუთარ თავზე - აი, ესაა პენ-მარათონი. უფრო მნიშვნელოვანი კი ჩემთვის ისაა, რომ როცა მოვდიოდი, ჩემმა 6 წლის გოგონამ 3 წლის გოგონას მხარდაჭერით მითხრა: გისურვებ პირველი ადგილი აიღოო. სწორედ ეს გახლავთ ის ძირითადი მოტივაცია, რატომ წამოვედი ფოთში. უკან ზღვა შთაბეჭდილებებით ვბრუნდები, არც ისე ავი ყოფილა ზღვა, არც ისე ძნელად გასაძლები. ჩემს სიცოცხლეში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ პირობებში შევძლებდი თუნდაც ერთი სიტყვის დაწერას, ზღვის ავადმყოფობა მაწუხებს. არჩევანი რომ მქონოდა: ან სამწლიანი ციხე ან გემზე ასვლა და იქ რაღაც ინტელექტუალური სამუშაოს შესრულება, პირველს ავირჩევდი. ამიერიდან უფრო თამამად გავალ ხოლმე ღია ზღვაში.

**ნინო დადვანი:** პირადად ჩემთვის, ახალგაზრდა ადამიანისთვის პენმარათონი საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტი იყო - შეზღუდული თემატიკა, შეზღუდული დრო, უჩვეულო გარემო. ძლივს მოვახერხე ჩავტეულიყავი დროში. რამე განსაკუთრებულის შექმნას, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი, მით უმეტეს, ამ დროში, და არც მქონდა ამის პრეტენზია. რისი წერაც დავიწყე, ის ნაწარმოები დავამთავრე.

**ბაჩო კვირტია:** პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ავანტიურისტული იდეაა, ავანტიურისტული კარგი გაგებით. ჩემთვის ეს არის ძალიან დიდი აზარტი, დიდი ინტერესი და ერთგვარად ძალების მოსინჯვა. მწერლობა ფაქიზი ხელოვნებაა და არ უყვარს ასეთი ექსტრემალური სიტუაციები, მიუღებელია, მაგრამ მაინც საინტერესოა და მე მგონი, ამის ნათელი მაგალითია, რომ ჩვენს გარდა უფროსმა თაობამაც მიიღო მონაწილეობა - ნუგზარ შატაიძემ, ირაკლი სამსონაძემ და სხვებმა. ესე იგი, ეს იდეა და ავანტიურა მათთვისაც მისაღები ყოფილა. კმაყოფილი დავრჩი.

**გია არგანაშვილი:** ცოტა შორიდან დავიწყებ, იმით თუ რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში, რა მდგომარეობაში არიან მწერლები... ძველი სისტემა აბსოლუტურად დაირღვა, ახალი სისტემა ჯერ არ ჩამოყალიბებულა. რაზე უნდა იყოს დაფუძნებული ახალი სისტემა? რა თქმა უნდა, ბაზარზე, მაგრამ ეს ბაზარი ძალიან პირობითი ცნებაა. მწერალმა დაწერა წიგნი, გაიტანა ბაზარზე, წიგნს რეკლამა და კიდევ ათასი რამ სჭირდება. უცხოეთში, როგორც ვიცი, უამრავი ასეთი მარათონი ტარდება. მწერლებისთვის ასეთი შეჯიბრებები არა მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, არამედ შემოქმედებითი აქტივობის მომენტსაც შეიცავს. დღეს 26 კაცი წერდა, ე.ი. შეიქმნა 26 საშუალო ხარისხის ნაწარმოები ძალიან საინტერესო თემაზე. შემოთავაზებული თემა გასაქანს არ აძლევდა მწერალს, რომ სიუჟეტზე გადართულიყო, თემა ძალიან ღრმა ფსიქოლოგიურ ანალიზს ითხოვდა... ჩვენი ლიტერატურის ნაკლი სიღარიბეა. არაერთი ჟანრი შემიძლია დავასახელო, რაც ქართულ ლიტერატურას არ გააჩნია, დღევანდელიც და გუშინდელიც; შემიძლია დავასახელო უამრავი ისტორიული მოვლენა, რაც პროზას არ აუსახავს. არადა, ჩემი აზრით, პროზა ადეკვატურად უნდა ასახავდეს მატიანეს. დღეს ქართული პროზა არასახელმწიფოებრივია, მას უკვე დიდი ხანი, ტანინიანი ღვინისა და ნივრის სუნი ასდის, ცოტა მკაცრად არის ნათქვამი, მაგრამ ასეა. არის მეორე ხელოვნებაც – კოკა-კოლა ხელოვნება, უცხოური ნაწარმის ადგილობრივი ჩამოსხმა. რა არის იცით, უკვე სახელმწიფო გვაქვს და თუ ლიტერატურამ არ გაიაზრა ამ სახელმწიფოს მოთხოვნილება, რაც არ უნდა კარგად დავწეროთ ტანინიან ღვინოზე, ამას პროზას ვერ დავარქმევთ და მაშინ ნურც კულტურაზე გვექნება პრეტენზია. ერთსაც მივაქციოთ ყურადღება: საქართველოში ფილოსოფიური ლიტერატურა, ფაქტობრივად, არ განვითარდა, მე არ ვიტყვი, რომ ცუდი ფილოსოფოსები გვყავდა, მათი ნააზრევი ცხოვრების წესად არ დამკვიდრდა, ამიტომ ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი ფუნქციაც ლიტერატურამ შეითავსა, არა მარტო იმიტომ რომ მწერლებს ამის მოთხოვნილება ჰქონდათ, არამედ იმიტომაც რომ ამის აუცილებლობა იდგა. აქედან გამომდინარე, წარმოიდგინეთ რამხელა ამოცანები აქვს დღევანდელ პროზას და ამ ამოცანების ამოხსნაში შეჯიბრი ძალიან დაგვეხმარება. ოღონდ მე გამარჯვებას არ ვგულისხმობ, მწერალი უნდა აიძულო ჩაერთოს ამ პროცესში. ქართველ ხალხში მუშაობს სინდრომი: ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი. ეს სინდრომი ჩვენს მწერლებზეც აისახება: ძალიან ნიჭიერი მწერალია, მაგრამ ზარმაცი. მოდით, ასე ვთქვათ, ასეთი მწერალი სახელმწიფოებრივ აზროვნებას აბსოლუტურად არაფერს არგებს.

**ჯემალ მონიავა:** ყველაფერი ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ დავრწმუნდი, რომ ასეთი შეჯიბრებები უფრო ახალგაზრდული საქმეა, დროული, ჩემი ასაკის ხალხის აქ მოსვლა უხერხულიც კია. თუმცა, ლამაზი დღეები იყო, თუნდაც იმიტომ, რომ თბილისში გადატვირთული ვიყავი და აქ ჩემი მეგობრების გვერდზე ყოფნის საშუალება მომეცა, უამრავი კარგი ახალგაზრდაც გავიცანი, ამდენ ხალხს ყოველდღიური საზრუნავი დაგვავიწყეს. მაგრამ მაინც მგონია, რომ ეს შოუა, რადგან აქ არ გაქვს საშუალება, შენს ნამუშევარს გვერდიდან შეხედო, გააშალაშინო. უნდა ნახოთ, როგორაა შესრულებული მაგალითად, გალაკტიონის "ნიკორწმინდას" ხელნაწერი, ხელნაწერს ჯოჯოხეთური შრომის კვალი ამჩნევია. პენ-მარათონზე ეს აბსოლუტურად გამორიცხულია, ამდენად შემოქმედებითად კონკურსი აგებს, მაგრამ "სალაღობოდ, სათრეველად" მშვენიერია, ეს უფრო სპორტია, ვიდრე შემოქმედება.

**ნუგზარ შატაიძე:** ყველა კონკურსი საინტერესოა, განსაკუთრებით, როცა ქალაქიდან გადიხარ და ისეთ მშვენიერ ქალაქში მიდიხარ, როგორიც ფოთია, თან გვერდით მეგობრები არიან, ახალგაზრდებიც, ძველგაზრდებიც, ძალიან კარგი ხალხი. დარწმუნებული ვარ, რომ პენ-მარათონზე საინტერესო ნაწარმოები შეიქმნა და კონკურსი შედეგს გამოიღებს. შეიძლება ვიღაცამ ბოლომდე ვერ მოასწრო თავისი ჩანაფიქრის განხორციელება, იმიტომ რომ ძალიან ძნელია, როდესაც ასეთ ექსტრემალურ პირობებში წერ, როდესაც ეს ერთგვარ სპორტულ შეჯიბრებას ემსგავსება. მაგრამ შეიძლება, რომ იმ მწერლებმა, რომლებმაც ბოლომდე ვერ განახორციელეს თავიანთი ჩანაფიქრი, შავი პირი შინ წაიღონ, ჩაუსხდნენ და შექმნან კარგი ნაწარმოები. როგორც წესი, ექსტრემალურ პირობებში ადამიანის გონება, ძალები რაღაცნაირად მობილიზებული ხდება და შეიძლება ამ მობილიზაციის შედეგად ისეთ რაღაცას წააწყდე და ისეთ რამეს გამოჰკრა ხელი, რაც შენთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდეს. დღეს თუ ვერ გააკეთე, სამი თვის მერე გააკეთებ კარგი მოთხრობა მაინც შეგრჩება.

მე სამ საათში დავამთავრე წერა, აქ მნიშვნელოვანია ტაქტიკა, ასეთ სიტუაციაში დიდ თემასთან შეჭიდება სახიფათოა, ავიღე ერთი პატარა ლოკალური პრობლემა და ჩემს სტილში პატარა ნოველა გავაკეთე. 5-6 წელი გაზეთ "ლელოში" ვმუშაობდი, ხშირად 17 წუთში დამიწერია რეპორტაჟის ტექსტი, თანაც პირდაპირ სტამბაში. აქედან გამომდინარე, რაღაცნაირად გამობრძმედილი ვიყავი, ამიტომაც დავამთავრე სამ საათში, ჩემი დავალება გავიგე, დავჯექი და დავწერე. ჟურნალისტებს ძალიან გაუიოლდებოდათ წერა.

**მარინე ელბაქიძე:** წელს მხიარულებაც მეტი იყო, არჩევანიც, ურთიერთობის საშუალებაც. პენ-მარათონი თავისთავად არ გულისხმობს ან რაღაც გენიალობის, ან რაღაც უნიჭობის შექმნას. ეს კონკურსის გამოავლენს, თუ რამდენად აქვთ მონაწილეებს კონკრეტულ პირობებში შრომის უნარი. ისე კი, იდეებს და ნიჭს ვერავინ ჩამოგართმევს, რთულ პირობებშიც ამუშავდება და კომფორტულ პირობებშიც. ვაჟა-ფშაველა ჭრაქის შუქზე წერდა, ასე რომ...

**გელა ჩქვანავა** (შარშანდელი მარათონის გამარჯვებული): შარშანდელთან შედარებით წლევანდელი პენმარათონი უკეთესი გამოვიდა, მიუხედავად იმისა, რომ უარესად ვიყავი. ზღვა ვერ ავიტანე და კონცეტრაციაც ვერ მოვახდინე. ატმოსფერო ხალისიანი იყო, ჩვენც უფრო გულახდილები ვიყავით და უფრო მხიარულადაც. ნოსტალგიაც მქონდა, ზღვა იყო და ჩემი არ იყო, სხვისი იყო. საკონკურსო მოთხრობისათვის ეპიგრაფი უფრო მომეწონა, ვიდრე შარშანდელი დასაწყისი ფრაზა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დასაწყის ფრაზაზე უფრო კარგი მოთხრობა დავწერე, ვიდრე ახლა.

**ვანო შატბერაშვილი:** ძალიან კარგი დღეები იყო, ღონისძიებაც - კარგად იყო ორგანიზებული. ეს ისეთი რამაა, ფეხბურთის შემდეგ პენლებს რომ ურტყამენ, ზოგს გამოუვა, ზოგს - არა. მოცემულ 24 საათში რაღაც საინტერესოს გაკეთება შეიძლებოდა, დიდი რამის არა, მაგრამ მარტივის. თემა იყო ძალიან საინტერესო. სერიოზულად მინდოდა რაღაცის გაკეთება, მაგრამ ვერ ვიმუშავე, დავიწყე და ვერ გავაკეთე... ჩემი თავით არა, მაგრამ ისე კმაყოფილი ვარ.

**თამარ ფხაკაძე:** პირველი გაჭირვება - დაღლა, რყევა მომენტალურად უკან რჩება, რჩება მხოლოდ ერთად ყოფნის არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება. ყველა მონაწილე თავისებური მანერის შემოქმედია და მათთან ურთიერთობა უდიდესი სიამოვნებაა. საერთოდ რომც არ არსებობდეს არანაირი საპრიზო ფონდი, ჩვენი ერთად ყოფნა და ასეთ შეჯიბრში მონაწილეობა მაინც უდიდესი ბედნიერება იქნებოდა. რთული არ იყო, მშვენიერი გაფორმება გვქონდა: ზღვა, სილაღე, მზე, დრო იყო წერისთვის, ხელს არავინ გიშლიდა, პირიქით, ჩვენ გვაჩუქეს თავისუფალი დრო, ბუნება, მზე, ზღვა და გვითხრეს წერეო. თუ სათქმელი გაქვს, დაწერ სიამოვნებით. სათქმელი კი ასეთ ხალხთან და ასეთ გარემოში აუცილებლად გაჩნდება.

**სოსო ტაბუცაძე:** მწერლებთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანია. ცოტა უცნაური პირობები იყო და გამიჭირდა, ჩემთვის ეს ექსტრემალური სიტუაციაა. შედეგის თვალსაზრისით, საბოლოო ჯამში, ყველაფერი გადავლახეთ და რაც დაგვრჩა, ის ძალიან კარგია. კიდევ ერთ რამეს ვიტყვი, ასეთი აქციები ამაღლებს ლიტერატურული საქმიანობით დაკავებული ადამიანების პრესტიჟს, ეს ლიტერატურის სტიმულია. ამიტომ რაც მეტი იქნება ასეთი ღონისძიებები, მით უკეთესი. მთავარია, შანსი ჰქონდეს ლიტერატორს - კალამთან ღამენათევ ადამიანს, რომ აირჩიოს განწყობილების, გემოვნების მიხედვით, თუ სად მიიღოს მონაწილეობა. არის კიდევ მეორე მომენტი: ასეთი კონკურსები არის ჩხვლეტა, იმპულსი თანამედროვე ლიტერატურული პროცესების წვდომის, გააზრების. ეს ჩაშინაურებები, ურთიერთობები, ნაწერები, მთელი ეს პროცესი თითოეული ჩვენგანისთვის, კრიტიკოსისთვის თუ მწერლისთვის დადებითი სტიმულია.

**სალომე ჯანელიძე:** კონკურსში მონაწილეობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ ჩემი თავის გამოცდა მინდოდა, თანაც ზღვა არ მქონდა ნანახი, არც გემი. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო ეს მოგზაურობა, საკმაოდ გამიჭირდა იმ ღელვაში მოთხრობის დაწერა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, ბევრი ადამიანიც გავიცანი.

**ანა კორძაია-სამადაშვილი:** წერის დროს არასოდეს მქონია სავალდებულო ჩარჩოები. მაგრამ არ გამჭირვებია, ვიხალისე კიდეც, თანაც გავშავდი. ისიც უნდა ვთქვა, რომ შემადგენლობა ძალიან კარგი იყო, იყვნენ მეგობრებიც. ვნახე, როგორ მუშაობდნენ, როგორ უძლვებოდნენ საქმეს ჩემზე ბევრად გამოცდილი ადამიანები, ჩემთვის ესეც საინტერესო იყო.

**ბესო სოლომანაშვილი:** პენ-მარათონს იმ კრიტერიუმით ნამდვილად არ მივდგომივარ, რომ რაღაც შედევრი შემექმნა. ეს, მართლაც, გარკვეული კროსია, მარათონია, რომელზეც იმ ადამიანებს უნდა შეხვდე, ვისთანაც ყოველდღიური ურთიერთობა არა გაქვს და ვისთანაც გიხარია ურთიერთობა. ეს ერთგვარი ფესტივალია, დადებითი ავანტიურა, საკუთარი ძალების გამოცდა. მე ლიტერატორი არა ვარ და წელიწადში ერთხელ მეძლევა საშუალება, რომ სხვა არაფერზე არ ვიფიქრო და დავწერო, რაც მინდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ ავანტიურაშია ჩადებული, ლიტერატურის პოპულარიზაციაა. კონკურსში ისეთი ცნობილი პროზაიკოსები მონაწილეობენ, როგორებიცაა ნუგზარ შატაიძე, ირაკლი სამსონაძე და სხვები. რახან მათ აქ მონაწილეობა გადაწყვიტეს, ეს ყველაფერი უკვე რაღაცას ნიშნავს. აბსოლუტურად ვეთანხმები იმ აზრს, რომ აქ მოპოვებული პირველი ადგილი არ ნიშნავს, რომ ყველაზე მაგარი მწერალი ხარ, ამ კონკურსში ვერმოხვედრაც არაა სისუსტის მაჩვენებელი. ჩემთვის პრესტიჟია 26 კაცში რომ მოვხვდი, ყველაფერს რომ თავი დავანებო, მე კინორეჟისორი ვარ, ესენი კი ლიტერატორები არიან.

## ინფოთეკა

### ვენგერს "რეალი" არ იზიდავს

როცა ტურინის "იუვენტუსმა" ჩემპიონთა ლიგის მთავარი ფავორიტი მადრიდის "რეალი" ნახევარფინალიდან გამოაგდო, მთელი ესპანეთი მთავარი მწვრთნელის შეცვლაზე ალაპარაკდა. უკვე ყველასთვის ცხადია, რომ ვინსენტე დელ ბოსკე "სამეფო კლუბის" ღირსეული ხელმძღვანელი ვერ არის და "რეალს" უკეთესი თავკაცი შეეფერება, მაგრამ ყველა დიდი სტრატეგი უკვე ანგაჟირებულია და, როგორც ჩანს, არც აპირებენ თავიანთი გუნდების დატოვებას.

ესპანური პრესა დელ ბოსკეს შემცვლელად არსენ ვენგერს ან მარჩელო ლიპის ასახელებდა, მაგრამ თავიდანვე ცხადი იყო, რომ "რეალს" ძალიან გაუჭირდებოდა მათი გადაბირება. მარჩელო ლიპის კომენტარიც კი არ გაუკეთებია - მთელი მისი ცხოვრება "იუვენტუსთანაა" დაკავშირებული და, როგორც თავად ამტკიცებს, მხოლოდ ამ კლუბში გრძნობს თავს კარგად. არსენ ვენგერმა კი გუშინ ფრანგულ ჟურნალ "ეკიპს" ინტერვიუ მისცა და, სხვა საკითხებთან ერთად, "რეალის" წინადადებაზეც ისაუბრა. ვენგერმა განაცხადა, რომ "არსენალთან" კონტრაქტი 2006 წლამდე აქვს დადებული და არ აპირებს, ვადაზე ადრე გუნდიდან წავიდეს. ფრანგი მწვრთნელის ლონდონში დარჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი "არსენალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებაა. როგორც ვენგერი ამბობს, მომავალ სეზონში "მეთოფეები" ძალ-ღონეს არ დაზოგავენ ამ მიზნის მისაღწევად.

### უმეცარი ამერიკელები

ვისაც დევიდ ბექჰემი და მისი მეუღლე ვიქტორია ადამსი მსოფლიოს ყველაზე პოპულარული წყვილი ჰგონია, ძალიანაც ცდება. იმის მიუხედავად, რომ "ბექსი" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, ვიქტორია კი - ცნობილი ჯგუფის, "სპაის გერლზის" წევრი, თურმე, მაინც არსებობს ამქვეყნად ისეთი ხალხი, ვისაც წარმოდგენაც კი არა აქვს, ვინ არიან დევიდი და ვიქტორია.

ინგლისში ამ წყვილს ყველა იცნობს და მათთვის ძალიან ძნელია ქუჩაში თავისუფლად გავლა. ამერიკაში კი ბექჰემებს სრული იგნორირება გაუკეთეს. ვიქტორია და დევიდი ლოს ანჯელესის ერთ-ერთ სპორტულ მაღაზიაში შევიდნენ და პატრონს სთხოვეს, მაღაზია ერთი საათით დაეკეტა, რათა მათ თავისუფლად აერჩიათ საყიდლები და ცნობისმოყვარეებისგანაც თავი დაეცვათ, მაგრამ, ბექჰემების გასაოცრად, მაღაზიის მფლობელი საერთოდ ვერ მიხვდა, ვინ იყო ეს უცნაური ხალხი და რატომ უნდა შეეჩერებინა ვაჭრობა მათი გულისთვის. მეტიც, ამერიკელის უვიცობა და თავხედობა ისე შორს წავიდა, რომ მან ბექჰემებს მაღაზიის სასწრაფოდ დატოვება მოსთხოვა. საწყალი დევიდი და ვიქტორია, რა ტყუილად ეგონათ, რომ მათ მთელი მსოფლიო იცნობდა!

### ბატისტუტაც გაკატარელდა

როგორც ყველა ელოდა, არგენტინელმა ფორვარდმა გაბრიელ ომარ ბატისტუტამ ცდუნებას ვერ გაუძლო და კატარში გადასვლაზე თანხმობა განაცხადა. "ფიორენტინას", "რომასა" და "ინტერის" ექს-ვარსკვლავმა ოფიციალურად გააფორმა კონტრაქტი დოჰას კლუბ "ალ არაბის" პრეზიდენტთან. გუნდის პატრონმა, შეიხმა ფალაჰ-ბენ-ჯასემ ალ-ტანიმ განაცხადა, რომ "ბატი გოლი" კატარში ორ სეზონს გაატარებს. თუ რა რაოდენობის თანხას მიიღებს ბატისტუტა, ამ საიდუმლოს ჯერჯერობით არ ახმაურებენ. არგენტინელს დოჰაში 21 ივლისს ელიან. ამ დროს კატარში, როგორც წესი, ჯოჯოხეთურად ცხელა, მაგრამ მძიმე კლიმატური პირობების არავის ეშინია - ბატისტუტაც ენერგიით აღსავსე ჩადის დოჰაში და მისი მომავალი კოლეგებიც - გერმანელები შტეფან ეფენბერგი და მარიო ბასლერი. საინტერესოა, რა შედეგებს მიაღწევს ასეთი ვარსკვლავებით დაკომპლექტებული გუნდი.

### "სპორტინგი" ჟარდელს ყიდის

ბრაზილიელი ფორვარდი მარიო ჟარდელი ერთ დროს სტამბულის "გალათასარაისა" და ლისაბონის "სპორტინგის" ყველა გულშემატკივრის ხელშეუხებელი კერპი იყო, მაგრამ პირადმა პრობლემებმა მის პროფესიულ კარიერაზე დამღუპველად იმოქმედა. ჟარდელმა ძველებური ფორმა დაკარგა და ისე შეიცვალა, რომ გასულ სეზონში მხოლოდ 11 გოლის გატანა შეძლო. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ ბრაზილიის ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ ჟარდელი გუნდში არ აიყვანა და "სელესაო" მის გარეშე გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატზე. ამდენ უსიამოვნებას ჟარდელმა ველარ გაუძლო.

ბოლო დროს თითქოს ყველაფერი გამოსწორდა, მაგრამ "სპორტინგი" მაინც აღარ აპირებს ბრაზილიელის კლუბში დატოვებას. ჟარდელის ფასი უკვე ცნობილია - ორნახევარი მილიონი ევრო უცხოური კლუბებისთვის და შვიდი მილიონი ევრო - პორტუგალიური გუნდებისთვის. შელახული იმიჯის მიუხედავად, ჟარდელის შეძენა მაინც ბევრს სურს. იტალიაში, ესპანეთსა თუ საფრანგეთში არაერთი გუნდი მოიძებნება, ვინც უარს არ იტყოდა ბრაზილიელის აყვანაზე.

### სენსის მწარე რეპლიკა

იტალიაში დიდი პოლემიკა გამოიწვია "რომას" კაპიტნის, ფრანჩესკო ტოტის უცნაურმა განცხადებამ: თუ ფრანკო სენსი არ შეასრულებს ფეხბურთელებისთვის მიცემულ დაპირებას, გუნდიდან წავალო. "რომას" პრეზიდენტმა უპასუხოდ არ დატოვა თავისი გუნდის ლიდერის პრეტენზიული სიტყვები და შესაბამისი რეაგირება მოახდინა, თუმცა, ამის შემდეგაც ვერავინ გაიგო, რას დაპირდა სენსი ტოტის და რატომ არ შეასრულა დანაპირები.

თავის რეპლიკაში სენსიმ ტოტის მხოლოდ მოვალეობები შეახსენა: ნუ დაგავიწყდება, რომ "რომასთან" კონტრაქტი 2006 წლამდე გაქვს დადებული და მანამდე ვერსადაც ვერ წახვალო. სენსი განსაკუთრებით იმან გააბრაზა, რომ მისი კლუბის კაპიტნის გადაბირებას მილანური გუნდები ცდილობენ. "ინტერი" და "მილანი" სენსის თავის პირად მტრებად მიაჩნია, განსაკუთრებით ვერ იტანს "მილანის" და "ლა ლიგას" ხელმძღვანელს, ადრიანო გალიანის და, რა გასაკვირია, რომ ტოტის მილანელებთან დაკავშირება არ მოსწონდეს.

### ოტო რეჰაგელი - ეროვნული გმირი

7 ივნისს სარაგოსაში გამაოგნებელი რამ მოხდა: ესპანეთის ნაკრები საკუთარ მოედანზე უცნაურად დამარცხდა საბერძნეთის ეროვნულ გუნდთან. ესპანელები მეექვსე ჯგუფის უპირობო ლიდერები იყვნენ და მათ ასეთ წაბორძიკებას ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა. ალბათ, თავად ბერძნებიც არ ფიქრობდნენ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ნაკრებს დაამარცხებდნენ.

ამ მატჩამდე ბერძენთა გერმანელ თავკაცს ოტო რეჰაგელს ნამდვილად ძალიან ცუდად ჰქონდა საქმე - ოთხ თამაშში ბერძნებმა მხოლოდ ექვსი ქულა მოიპოვეს, რაც არცთუ სახარბიელო შედეგია. საბერძნეთში ხომ ასე ძალიან უნდათ ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა. ესპანელების დამარცხების შემდეგ კი რეჰაგელი უცებ ეროვნული გმირი გახდა. ახლა ბერძნებს პირველ ადგილზე გასვლის შანსიც კი გაუჩნდათ, რისთვისაც მათ 11 ივნისს აუცილებლად სჭირდებათ უკრაინელთა დამარცხება. რეჰაგელი უკვე მომავალ მატჩზე ფიქრობს და იმედი აქვს, რომ ბოლომდე გაამართლებს ეროვნული გმირის საპატიო წოდებას.

## EURO 2004

# „შინდისფერი ლეგიონი" წვიმიან ირლანდიაში "საომრად" ჩავიდა

აკა ტონია
დუბლინიდან

*"ჩვენი თვითმფრინავი ქალაქ დუბლინის აეროპორტში დაჯდა. გთხოვთ თვითმფრინავის სრულ გაჩერებამდე დარჩეთ დაკავებულ ადგილებზე. ტემპერატურა დუბლინში +13 გრადუსია. ავიაკომპანია "აირზენა" მადლობას გიხდით, ხოლო საქართველოს ნაკრებს გამარჯვებას უსურვებს!" - ასე დაგვემშვიდობა იმ თვითმფრინავის ეკიპაჟი, რომელმაც გუშინ, დუბლინის დროით ზუსტად 12 საათზე, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები ირლანდიელებთან "საომრად" ჩაიყვანა.*


საქართველოს ნაკრები დუბლინის აეროპორტში


მალხაზ ასათიანი გოლის გატანას "ლანსდაუნ როუდზეც" შეეცდება

გუშინ კი დილის 9 საათიდან თბილისის აეროპორტში ხალხმრავლობა იყო. ავიაკომპანია "აირზენას" სპეცრეისი თბილისი-დუბლინი 9 ივნისს, დილის 10 საათზე ირლანდიის გზას გაუდგა. სულ ახლახან მიღებული "ბოინგ–737", რომელსაც "აირზენას" ხელმძღვანელობამ "კახი ასათიანი" დაარქვა, საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ფეხბურთელებით, მწვრთნელებით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებით, გულშემატკივრებითა და რამდენიმე ჟურნალისტით იყო დატვირთული. არც გამცილებლები გვაკლდა, რომელთა შორის, სამწუხაროდ გიორგი ნემსაძეც იყო. სამწუხაროდ იმიტომ ვთქვი, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტნის ტრავმა სერიოზული აღმოჩნდა და მის დუბლინში გამომგზავრებას აზრი აღარ ჰქონდა. ნემსაძემ საქართველოს ნაკრებს წარმატება უსურვა, გზა დაგვილოცა, თვითონ კი თბილისში დარჩა. მუდამ ხუმრობის ხასიათზე მყოფი შოთა არველაძე იმასაც კი ეუბნებოდა: "აბა შენ იცი "ნემსო", ტელევიზორში მაინც შეგვხედეო. მწვანე ფორმაც მიგვაქვს და ირლანდიელებში არ აგერიოთო". განწყობა, ისევე როგორც ყოველთვის, მხიარული იყო.

თვითმფრინავი დათქმულ დროს, ზუსტად 10 საათზე აფრინდა. მგზავრების უმეტესობას საკმაოდ აღელვებდათ ის ფაქტი, რომ დუბლინამდე 6 საათი მოგვიწევდა ფრენა. ზოგიერთები თავიდანვე ძილს მიეცნენ, ზოგიც ჟურნალ-გაზეთებით აპირებდა დროის გაყვანას. თვითმფრინავში თავიდან სიმშვიდე სუფევდა, თუმცა იდილია მალევე დაირღვა. ზოგი მიხვდა, რომ დაძინების ამბავი არ გამოუვიდოდა, ზოგსაც სიგარეტის მოწევა მოუნდა... თვითმფრინავის ბორტ-გამცილებელი გოგონები მთელი 6 საათის განმავლობაში იგერიებდნენ მწეველებს, თუმცა ვერაფერს გახდნენ. ის კანონი, რომ "აირზენას" თვითმფრინავში მოწევა აკრძალულია, გუშინაც დაირღვა... მგზავრების ერთი ნაწილი კონიაკით ირთობდა თავს, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები. მეორე ნაწილი კი კარტის თამაშით იყო დაკავებული. ჩვენი ფეხბურთელები ამ დროს დასვენებას ამჯობინებდნენ, ზოგიერთ მათგანს ეძინა, ზოგიც მუსიკას უსმენდა. ხოლო ვისაც არ ეძინებოდა და არც "ვოქმენი" ჰქონდა



ფეხბურთელები თვითმფრინავში "24 საათის" კითხვით იქცევდნენ თავს

თან, საუბრით ირთობდა თავს, საუბრის თემა კი ცხადია ფეხბურთი იყო. თუმცა ამ თვითმფრინავში გუშინ ყველა ფეხბურთზე საუბრობდა. უფროსი თაობის წარმომადგენლები ჩვენი ფეხბურთის წარსულ დიდებას იხსენებდნენ, თავად ფეხბურთელები კი საკუთარ კურიოზებზე იცინოდნენ. აქა-იქ პერიოდულად გაისმოდა ასეთი ფრაზები: "რაღაც ისეთი გრძნობა მაქვს, რომ 100-იანი ვიგებთ", "მოვიგოთ და უკანა გზაზე ნახეთ, რა ამბავი იქნება ამ თვითმფრინავში" და მსგავსი... თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთ საუბრებში არ ერთვებოდნენ თავად ფეხბურთელები, მომავალ მატჩზე ისინი თითქმის არ საუბრობდნენ.

ნაკრების მთავარი მწვრთნელი ივო შუშაკი ბიზნეს კლასში იმყოფებოდა და მგზავრობის განმავლობაში ფეხბურთელებთან ხშირი კონტაქტი არ ჰქონია. ჩვენს თვითმფრინავში გუშინ ერთი უცხოელიც იჯდა - თბილისში მომუშავე გერმანელი, სახელად ინგო. თბილისში ორი წლის ცხოვრების განმავლობაში ის ქართული ფეხბურთის თავგადაკლული გულშემატკივარი გამხდარა და დუბლინშიც სწორედ ამიტომ, საქართველოს ნაკრების საქომაგოდ გამოემგზავრა. ისევე როგორც სხვა მგზავრები, ინგოც ცდილობდა ჩუმად მოეწია სიგარეტი, ხოლო ქართული ღვინის სმისას საქართველოს ნაკრების სადღეგრძელოებს წარმოთქვამდა...

დუბლინში ჩასაფრენად საჭირო 6 საათი ზოგისთვის მალე გაილია, ზოგიც მეტისმეტად გადაიღალა. საქართველოსა და ირლანდიას შორის განსხვავება 4 საათია, აქედან გამომდინარე, დუბლინში ადგილობრივი დროით 12 საათზე ჩავფრინდით. როგორც ზემოთ გაუწყეთ, ტემპერატურა +13 გრადუსი იყო. დროგამოშვებით წვიმდა კიდეც. საბაჟო კონტროლი საკმაოდ მალე, ყოველგვარი ზედმეტი შემოწმებების გარეშე გავიარეთ. აეროპორტის ტერიტორიაზე ოთხი ავტობუსი დაგვხვდა: ერთი ეროვნული ნაკრებისთვის, ერთიც ახალგაზრდული. დანარჩენი ორი კი გულშემატკივრებისთვის, ოფიციალურ პირთათვის და ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის იყო განკუთვნილი.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები დღეს, ადგილობრივი დროით 19.30 საათზე თამაშობს, თუმცა არა დუბლინში, არამედ დაახლოებით 2 საათის სავალ გზაზე მოშორებულ კილკენში. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდული ნაკრების ავტობუსი კილკენში გუშინვე, პირდაპირ აეროპორტიდან გაემგზავრა. საღამოს 8 საათზე ახალგაზრდულმა ნაკრებმა კილკენის სტადიონზე ვარჯიშიც ჩაატარა.

რაც შეეხება ეროვნულ ნაკრებს, ჩვენი პირველი გუნდი აეროპორტიდან სასტუმრო "ბოლსბრიჯ ჰოტელში" დაბინავდა. ხოლო 19.30 საათზე თავისი პირველი ვარჯიში გამართა. ხანგრძლივი მგზავრობით გადაღლილი ფეხბურთელები ივო შუშაკმა ზედმეტად არ დატვირთა და მხოლოდ მსუბუქად ავარჯიშა, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრები სასტუმროში დაბრუნდა – "პლაცკარტ".

დღეს, 19.30 წუთზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები თამაშობს – ახალგაზრდული რეპეტიცია ხვალინდელი მატჩის წინ. იმ დროს, როდესაც "ახალგაზრდული" კილკენში ითამაშებს, ეროვნული ნაკრები თავის მეორე და უკანასკნელ ვარჯიშს გამართავს დუბლინში.

# IRELAND ON OUR MIND

## ორმოცდაათი დუბლინელი საქართველოს ნაკრებს უქომაგებს

მიხეილ აბაიშვილი
დუბლინიდან

ირლანდიაში საქართველოს ნაკრების ჩამოსვლამ უხმაუროდ ჩაიარა. დუბლინის აეროპორტში "შინდისფერ ლეგიონს" ერთი ჟურნალისტიც კი არ დახვედრია, რაც, პრინციპში, არც არის გასაკვირი. ორი თვის წინათ ირლანდიის "დუბლნაკრებმა" ("მწვანეებს" 8 ძირითადი ფეხბურთელი აკლდა) ხომ ჩვენსავე მოედანზე დაგვამარცხა. ირლანდიელების ეს ინდიფერენტიზმი ნაწილობრივ იმითაცაა განპირობებული, რომ ადგილობრივი მედია, როგორც წესი, მხოლოდ შინაური ამბებით ინტერესდება და განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, სტუმარ გუნდზე ყურადღებას არ ამახვილებს. 9 ივნისის ცენტრალურ ირლანდიურ გაზეთებში, "აირიშ დეილი მირორში" და "აირიშ სანში" საქართველოზე და მის ნაკრებზე საკმაოდ მწირი ინფორმაციებია. "აირიშ დეილი მირორში" გაზეთის ორი გვერდი კი აქვს დათმობილი სტატიას სათაურით "GEORGIA ON OUR MIND", რაც ბევრს რეი ჩარლზის ცნობილი სიმღერის ასოციაციას გაუჩენს, მაგრამ, თავად სტატიაში საქართველოს ნაკრებზე თითქმის არაფერი წერია. პუბლიკაციის მთავარი ნაწილი 7 ივნისს გამართული ირლანდიის და ალბანეთის მატჩის დეტალურ ანალიზს ეთმობა, ხოლო სტატიის ბოლოს ავტორი მოწყალებას ილებს, ჩვენც გვახსენებს და ასკვნის, რომ თუ ხვალ საქართველოს ნაკრებს დაამარცხებენ, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური ხელის გაწვდენაზე ექნებათ.

თავად ირლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ბრაიან კერი, რომლის ხელშიც ამ გუნდმა სამი ოფიციალური შესარჩევი შეხვედრიდან ორში გაიმარჯვა, ხოლო ერთი – ფრედ დაასრულა, ისევ არ იშურებს კომპლიმენტებს ქართველების მისამართით.

ირლანდიის ნაკრებმა საქართველოს ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მატჩისთვის მზადების პირველი ეტაპი პროვინციულ ქალაქ მონაჰემში 2 დღის წინათ დაასრულა და დუბლინში გადმოინაცვლა. დედაქალაქში გამომგზავრებამდე კერიმ პრესკონფერენციაც გამართა, სადაც მომავალ მეტოქეზე ისაუბრა.

"საქართველოს ნაკრები გაცილებით ძლიერი გუნდია, ვიდრე ალბანეთი. ქართველებს ყველა სათამაშო რგოლში უფრო მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავთ, ვიდრე ალბანელებს. კახა კალაძემ "მილანთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო, ნემსაძემ, ხიზანიშვილმა და არველაძემ წელს შოტლანდიის თასის ფინალში ითამაშეს, გიორგი დემეტრაძეს ჩემპიონთა ლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს და უმაღლესი კლასის თავდამსხმელია. გარდა ამისა, თბილისური მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრებში ბევრი რამ შეიცვალა. გაცილებით ძნელი მატჩი გველის, მაგრამ თუ გავიმარჯვეთ, ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი გვექნება", - განაცხადა კერიმ.

აპრილისგან განსხვავებით, ივნისში "ირლანდიური ლაზარეთი" დაცარიელდა: კერის გუნდს ტრავმების პრობლემა თითქმის არ აწუხებს. თუმცა, ეს "თითქმის" საკმაოდ ბევრს ნიშნავს. ალბანეთთან მატჩის დასრულებამდე 10 წუთით ადრე კუნთი დაიჭიმა და შეხვედრის დასრულება ველარ შეძლო თანამედროვეობის ალბათ საუკეთესო ირლნადიელმა ფეხბურთელმა, დამიენ დაფმა. ირლანდიელებს ამ მომენტისთვის სამი შეცვლა უკვე განხორციელებული ჰქონდათ და მათ ათი კაცის შემადგენლობით ჩაამთავრეს მატჩი. დღეს ჯერ კიდევ გაურკვეველია, შესძლებს თუ არა თბილისში გოლის გამტანი დაფი ქართველების წინააღმდეგ თამაშს. "მას მწვავე ტკივილები აწუხებს და თუ ექიმებმა გარანტია არ მომცეს, მე ჩემს საუკეთესო ფეხბურთელს ტრავმისთვის ვერ გავწირავ", - განაცხადა ირლანდიელთა თავკაცმა. ეს ფეხბურთელი კი, "მწვანეებისთვის" გაცილებით დიდი ძალაა, ვიდრე ფართოდ რეკლამირებული რობი კინი.

ცოტა რამ დუბლინზეც. მისი მოსახლეობა მილიონნახევარს აღემატება. დუბლინი ინტერნაციონალური სულისკვეთებით ვერ დაიკვეხნის: აქ მოსახლეობის ძირითად ნაწილს ირლანდიელები შეადგენენ. შედარებით დიდი დიასპორა ჰყავს შორეულ აღმოსავლეთს – მონღოლოიდური რასის წარმომადგენლებს ქუჩაში საკმაოდ ხშირად შეხვდებით. აქ ქართველებიც საკმაოდ მრავლად არიან. აეროპორტის გამოსასვლელში ჩვენი ფეხბურთელების გამოჩენისას ოცამდე დუბლინელმა ქართველმა ოვაციები გამართა. საერთოდ კი დუბლინში ორასამდე ჩვენებური სახლობს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თამაშზე ორმოცდაათამდე ადგილობრივი ქომაგი გვეყოლება და, შესაბამისად, "ლანსდაუნ როუდზე" ქართული დროშებიც აფრიალდება.



ფეხბურთი

# ბექჰემომანია

ბოლო დროს ინგლისის ნაკრების კაპიტნის დევიდ ბექჰემის პოპულარობა წარმოუდგენლად გაიზარდა. მისი პერსონით თვით ინგლისის სამეფო კარიც კი დაინტერესდა. ახლახან ინგლისის ოლიმპიურმა კომიტეტმა განაცხადა, რომ თუ ლონდონი 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას მოიპოვებს, თამაშების ელჩად სწორედ დევიდ ბექჰემი დაინიშნება. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ კი ნაკრების კაპიტანს პატივი დასდო და სატელევიზიო ეთერით გულშემატკივრისადმი მიმართვის უფლება მისცა. ბექჰემმა დაუცხრომელ ინგლისელ ფანებს წესრიგისკენ მოუწოდა და გააფრთხილა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში უეფა ინგლისელებს ევროპის სტადიონებზე დასწრებას აუკრძალავდა.

გუშინ ინგლისურმა მედიამ გაავრცელა ცნობა, რომ დედოფალმა ელიზაბეთ II-მ მიიღო გადაწყვეტილება, დევიდ ბექჰემი ინგლისის იმპერიის ორდენით დააჯილდოოს. სახელმწიფო ჯილდოებს აგრეთვე მიიღებენ "არსენალისა" და "ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელები - არსენ ვენგერი და ჟერარ ულიე. შეგახსენებთ, რომ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი ინგლისის დედოფლის დაბადების დღეს ემთხვევა.

გაზეთ "სანდი თაიმსის" ცნობით, ბექჰემს გაერთიანებული სამეფოსთვის გაწეული ღვაწლისთვის დააჯილდოებენ. სწორედ დევიდმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი, რომელმაც ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა - წერს გაზეთი. ბუნებრივია, რომ ბექჰემომანია ვერ შემოიფარგლებოდა მარტოოდენ ინგლისის მასშტაბებით და ევროპასაც მოედო.



ბექჰემომანია ევროპას მოედო

REUTERS

ცნობილმა ევროპულმა გრანდებმა პირდაპირ ნადირობა დაიწყეს ინგლისის ნაკრების კაპიტანზე. მათ რიცხვში არიან "მადრიდის "რეალი", "მილანი" და "ბარსელონა". "ბარსელონას" ვარიანტი ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი. კატალონიურმა გრანდმა წლევანდელი სეზონი აშკარად ჩააგდო. ის უეფას თასის საგზურსაც კი ვერ სწვდება და ასეთ პირობებში ძნელი წარმოსადგენია, ბექჰემი გადავიდეს კლუბში, რომელსაც ევროპულ არენაზე თამაშის შანსი არა აქვს.

ბექჰემისა და "ბარსელონას" ურთიერთობა ამ ეტაპზე მხოლოდ კლუბის წინასაარჩევნო პერიოდს ემთხვევა. "მანჩესტერ იუნაიტედმა" თავისი ლიდერის სანაცვლოდ 42 მილიონი ევრო მოითხოვა. "ბარსელონას" პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ხუან ლაპორტა აცხადებს, რომ თუ მას პრეზიდენტად აირჩევენ, ის ბექჰემს კატალონიაში ჩაიყვანს. ეს სიტყვები ძალიან აღიზიანებს პრეზიდენტობის კიდევ ერთ კანდიდატს ლუის ბასატს. ბასატმა ლაპორტას გამოხდომას წინასაარჩევნო ტრიუკი უწოდა და "ელ მუნდოსთან" საუბარში განაცხადა: "მილანს" დღეს ფინანსურად უფრო მყარი მდგომარეობა აქვს, ვიდრე "ბარსელონას". იტალიელები აცხადებენ, რომ ბექჰემის შეძენა მათთვის დიდი ფუფუნებაა. საინტერესოა, თუ "მილანი" ვერ ახერხებს დევიდ ბექჰემის შეძენას, როგორ მოახერხებს ამას "ბარსელონა". ლაპორტამ უნდა ახსნას, სად გამოძებნის დევიდ ბექჰემის შესაძენ ფულს. ლაპარაკი ჩვენც შეგვიძლია", - აცხადებს ბასატი. ასე რომ, "ბარსელონას" ვარიანტი ნაკლებად სარწმუნოა.

რაც შეეხება "მილანს", როგორც ჩანს, დევიდ ბექჰემის შეძენა წლევანდელ სატრანსფერო სეზონში კლუბის ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერი იქნება. "მილანმა" უკვე შეიძინა ბრაზილიელი კაფუ, მაგრამ, ადრიანო გალიანის თქმით, კლუბი ყველაფერს ილონებს ინგლისის ნაკრების კაპიტნის შესაძენად. ბექჰემთან დაკავშირებით ყველაზე საინტერესო წინადადება კი მადრიდის "რეალმა" წარმოადგინა და, ადვილი შესაძლებელია, განახორციელოს კიდეც.

"სამეფო კლუბი" ბექჰემის სანაცვლოდ ინგლისელებს პორტუგალიელ ლუიშ ფიგუსა და დამატებით გარკვეულ თანხას სთავაზობს. ეს წინადადება კი შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს სერ ალექს ფერგიუსონისთვის, რომელიც ფიგუს შეძენაზე 2000 წლიდან ოცნებობს. თანაც, "მანჩესტერ იუნაიტედი", უბრალოდ, იძულებულია, გაყიდოს თავისი ლიდერი. ბექჰემის კონტრაქტს მომავალ წელს გასდის ვადა და მაშინ ინგლისის ნაკრების კაპიტანს უფლება ექნება, ნებისმიერ გუნდში უფასოდ გადავიდეს. ახლა კი ის შეიძლება სოლიდურ თანხად გაიყიდოს. ამჟამად ბექჰემი ფიგუზე ძვირად ფასობს, რადგან პორტუგალიელზე ორნახევარი წლით ახალგაზრდაა. "რეალი" მზად არის, "მანჩესტერს" ეს კომპენსაცია აუნაზღაუროს.



ნინო I

## "Dolce vita" ზღვის სანაპიროზე

კარგა ხანია, იტალიურ სერია A-ში ზაფხულის არდადეგები დაიწყო. ესპანეთის პრიმერა დივიზიონის საბრალო ფეხბურთელებისგან განსხვავებით, რომელთაც ამ საშინელ სიცხეში უწევთ ფეხბურთის თამაში, იტალიელები კუთვნილი შვებულებით ტკბებიან და, დრო რომ არ დაკარგონ, სასწრაფოდ ტოვებენ დიდ ქალაქებს. მილანიდან, ტურინიდან, რომიდან თუ პარმიდან სერია A-ს ვარსკვლავები ზღვაზე მიემგზავრებიან. ზოგი იტალიურ პლაჟებზე აპირებს არდადეგების გატარებას, ზოგსაც აგრერიგად მოდურ ბალეარის კუნძულებისკენ აქვს გეზი აღებული - მაიორკა, მენორკა და იბისა ხომ ასე პოპულარულია მსოფლიო ელიტის წარმომადგენლებს შორის...


ილარი

11 ივნისს იტალიის ნაკრების წევრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ელით ფინეთის ეროვნულ გუნდთან. ამის შემდეგ მათ აღარავინ შეაწუხებს - თავიანთ სააგარაკო ვილებს დაუბრუნდებიან და 20 ივლისამდე ინებივრებენ ზღვის სანაპიროზე. "მილანის", "ინტერის", "რომასა" თუ "იუვეს" იმ ვარსკვლავებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მომავალ სეზონსაც ძველ კლუბში დაიწყებენ, სანერვიულო არაფერი აქვთ და მომავლის გამო არ ღელავენ. დანარჩენები კი, ვინც ჯერ კიდევ არ იცის, კლუბის შეფები გაყიდიან თუ ისევ გუნდში დატოვებენ, მოუთმენლად ელიან სატელეფონო ზარს თავიანთი აგენტებისგან. თუმცა, ეს გაურკვეველი სიტუაცია ზაფხულის მშვენიერი დღეების მხიარულ განწყობას მაინც ვერ აფუჭებს. ზღვაზე ყველა კმაყოფილი და ბედნიერია. სანამ 20 ივლისი დადგება და ჩემპიონთა ლიგის თუ უეფას ტურნირებისთვის დაიწყება მზადება, ფეხბურთელებს ყველაფრის უფლება აქვთ - დისკოთეკებზე სიარულიც შეუძლიათ, ფლირტიც და მზეზე გარუჯვაც. მერე კი მძიმე სამუშაო სეზონი დაიწყება...

### როგორ ერთობიან ვარსკვლავები

მართალია, სერია A-ს ყველა ფეხბურთელი ჩვეულებრივი ადამიანია და არდადეგებს ყველა ჩვეულებრივი მოკვდავის მსგავსად ატარებს, მაგრამ იტალიელებს ისე აინტერესებთ, სად და როგორ ერთობიან მათი სახელოვანი ვარსკვლავები, რომ დიდი სიამოვნებით ეცნობიან ყველა დეტალს, რაც კი ფეხბურთელთა საზაფხულო შვებულებასთანაა დაკავშირებული. ჟურნალმა "პანორამამ" არ დაიზარა და დაწვრილებით გამოიძია, ვინ სად იყო წასული და ვისთან ერთად აპირებდა დასვენებას. როგორც გაირკვა, ფეხბურთელთა უმრავლესობა ზღვაზე გამგზავრებულა მეუღლეებთან ან მეგობარ გოგონებთან ერთად, ზოგიერთებს კი მარტოდმარტო გაუწევიათ დასასვენებლად, იმ იმედით, რომ პლაჟზე მოახერხებდნენ უცნობ ლამაზმანებთან ფლირტის გაბმას.

მოედანზე ერთმანეთის დაუძინებელი მტრები, "მილანის" ფორვარდი ანდრეი შევჩენკო და "ინტერის" მცველი ფაბიო კანავარო ზღვაზე ერთად გაემგზავრნენ - "შევა" მეგობარ გოგონასთან ერთად, კანავარო კი ცოლ-შვილისა და ორი განუყრელი მეგობრის თანხლებით. ფორმენტერაში კანავაროების წყვილი მსუბუქი ჩემოდნით ჩავიდა. ორ-ორი ხელი ტანსაცმელი, ძირითადად, პატარა მარგერიტას ნივთები... როგორც ჩანს, კანავარო და მისი მეუღლე საჭირო საგნებს ადგილზევე შეიძენენ. ფორმენტერაში ისვენებს ასევე მარკო დი ვაიოც, "იუვეს" ფორვარდი. დი ვაიო ყოველდღე ბეჯითად ისვამს ზურგზე ქოქოსის კაკლის ზეთს და ძალიან უნდა, რომ თანაბრად, ოქროსფრად გაირუჯოს. "რომას" კაპიტანი ფრანჩესკო ტოტიც აქ ბრძანდება თავის საცოლე ილარი ბლაზისთან ერთად. თეთრპირსახოცშემოხვეული ტოტი და ნახევრად შიშველი ილარი ხელიხელჩაკიდებულნი დადიან და წუთითაც არ სცილდებიან ერთმანეთს.

ფორმენტერა თავისი სტუმრობით ჯანლუიჯი ბუფონმაც გააბედნიერა. "იუვეს" მეკარემ ტურინიდან წამოსვლის წინ სანტ-აგნეზეს ეკლესიაში წირვა მოისმინა, მერე კი თანაგუნდელებს დაემშვიდობა და სრულიად მარტო გაემართა კუნძულისკენ. ბუფონის ჩასვლის აღსანიშნავად, ფორმენტერაზე შეკრებილი კომპანია გემით კუნძულ იბისაზე წავიდა და მხიარული წვეულებით მიესალმა ჯიჯის შემოერთებას.

სერია A-ს ვარსკვლავების მეორე ჯგუფი კოსტა სმერალდაზეა. ფრანჩესკო კოკო, ალესანდრო ნესტა, რუი კოშტა და ჯანლუკა ძამბროტა მშვენივრად ატარებენ დროს ერთად. კოკო ამ ჯგუფის მეთაურად ითვლება. ყველაზე აქტიური და მხიარულია და მუდამ ორიგინალური იდეები მოსდის. აქ არის ჩირო ფერარაც, თავის განუყრელ ლეპ ტოპთან ერთად და თავის მეგობრებს - ალექს დელ პიეროს, ერნან კრესპოსა და ფაბიო კანავაროს ელექტრონული ფოსტით შთაბეჭდილებებს უზიარებს. ძალიან გაბრაზებულია "ინტერის" ნახევარმცველი კრისტიანო ძანეტი, რომელსაც ახალი "პორშე" მოპარეს. ვინჩენცო მონტელა, მარკო მატერაცი და ჯუზეპე პანკარო, რომლებიც "ფერარის" უახლესი მოდელების მფლობელები ბრძანდებიან, სწორედ ამ მშვენიერი სპორტული მანქანით გაეშურნენ პორტო ჩერვოსკენ. კრისტიან ვიერი, ფილიპო ინძაგი, პაოლო მალდინი, სალვატორე ფრეზი და ჯუზეპე სინიორი კი მარიტიმაში არიან, სადაც უნგრელი და რუსი მოდელებიც ისვენებენ და ფეხბურთელებს საინტერესო ამურული თავგადასავლების იმედი ჰქონდათ, მაგრამ გოგონების უმეტესობა ანგაჟირებული აღმოჩნდა - არც ერთი კავალერი არ აპირებს, თავისი გულის მურაზი ვინმეს დაუთმოს.

მოკლედ, ყველა ისვენებს და ერთობა. სერია A-ს ვარსკვლავების უმრავლესობა იტალიაში დარჩა, მხოლოდ "ინტერის" არგენტინელი წევრი ხავიერ ძანეტი გაემგზავრა სამშობლოში და ახლა სამხრეთ ამერიკაში ატარებს არდადეგებს ცოლშვილთან და ცნობილ არგენტინელ მოდელ ვალერია მაცასთან ერთად. მანამდე კი "ინტერის" ნახევარმცველი ოსაკაში იყო, სადაც არგენტინის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი გამართა იაპონელებთან. ძანეტის რა უჭირს, 11 ივნისს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი არ ელის. აი, მის თანაგუნდელებს კი ოთხშაბათს სერიოზული გარჯა მოუწევთ გამარჯვების მოსაპოვებლად.

NBA

# ანტირეკორდი

**ნიუ-ჯერსი - სან-ანტონიო 79:84**
*სერიის ანგარიში 1:2*

წლევანდელი ფინალი, ალბათ, ყველაზე უჩვეულოა NBA-ის უკანასკნელი წლების ისტორიაში. თამაში ისე არ ჩაივლის, არაორდინარული მდგომარეობა რომ არ შეიქმნას. სან-ანტონიომ მოიგო და ამით საკუთარი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა. უჩვეულო კი ის არის, რომ შედეგიანობის მხრივ NBA-ის ფინალების ანტირეკორდი დამყარდა. თამაში უაღრესად უთავბოლო გამოდგა. ხან ნიუ-ჯერსი დაწინაურდებოდა, ხან - სან-ანტონიო. ხან ერთ გუნდს ჰქონდა ჩავარდნა, ხან - მეორეს.

ამ უთავბოლობას, ბუნებრივია, დაძაბულობა ახლდა. პირველი მეოთხედი ნიუ-ჯერსის სასარგებლოდ დასრულდა. მასპინძლებმა 6 ქულა მოიგეს. ამან "სფურსის" გულშემატკივარი გვარიანად ააფორიაქა, მაგრამ სან-ანტონიომ მდგომარეობის გამოსწორება მოახერხა - 18:9 და თამაშში გარდატეხა შეიტანა.

დიდი შესვენების შემდეგ ნიუ-ჯერსიმ მატჩი კვლავ აქტიურად დაიწყო, მაგრამ ტონი პარკერის (26 ქულა, 6 გადაცემა) და ტიმ დანკანის (21 ქულა, 16 მოხსნა, 7 გადაცემა) შესანიშნავმა თამაშმა მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების ყოველგვარი საშუალება მოუსპო. ტიმ დანკანმა კი დაამტკიცა, რომ ტყუილად არ გახდა წლის საუკეთესო მოთამაშე. მასპინძელთა რიგებში ყველაზე შესამჩნევი კენიონ მარტინი (23 ქულა, 11 მოხსნა) და კერი კიტლზი (21) იყო.

ამჯერად ყველაფერი გადაწყდა უკანასკნელ, მეოთხე მეოთხედში, რომელიც კალიფორნიელებმა 30:22 მოიგეს. ნამდვილი დრამა კი ბოლო წუთნახევარში გათამაშდა. პარკერმა 2-ქულიანი ჩააგდო და სტუმართა უპირატესობა 3 ქულამდე გაზარდა - 78:75. ნიუ-ჯერსის შეტევის დროს ემანუილ ჯინობილიმ დაცვაში შესანიშნავად ითამაშა ჰარისის წინააღმდეგ. საპასუხო იერიში კვლავ ტონი პარკერმა დააგვირგვინა. ოღონდ ამჯერად მისი ტყორცნა არაზუსტი აღმოჩნდა. ფარქვეშ კი მარტინმა დანკანის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა. სან-ანტონიოს შეტევა გაგრძელდა და არგენტინელმა ჯინობილიმ გუნდს კიდევ 2 ქულა შესძინა - 80:75. დარჩენილ დროში კი "სფურსმა" მეტოქეს მიახლოების საშუალება აღარ მისცა.



ჯეისონ კიდს ამჯერად არ გაუმართლა

REUTERS

ამ მატჩის უჩვეულობა და ანტირეკორდი კი იმაში მდგომარეობს, რომ შეხვედრაში ძალიან დაბალი შედეგიანობა დაფიქსირდა. პირველ ნახევარში მოპოვებული ქულებით გუნდებმა NBA-ის ანტირეკორდი მოხსნეს. საქმე ის არის, რომ გუნდებმა შეტევაში საშინლად ითამაშეს. მეორე მეოთხედის შემდეგ ანგარიში - 30:25 იყო "ნიუ-ჯერსი ნეთსის" სასარგებლოდ.

ამრიგად, დაფიქსირდა NBA-ის ფინალური სერიების ანტირეკორდი. საოცარია, მაგრამ მეორე მეოთხედში ორივე გუნდმა მხოლოდ 9 ქულის მოგროვება შეძლო. ასეთი შედეგი კი NBA-ის ისტორიაში არავის ახსოვს. გუნდებმა მხოლოდ მატჩის უკანასკნელ მეოთხედში მოუმატეს შედეგიანობას. სიტუაციას უფრო ადრე "სფურსმა" აუღო ალღო და საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც.

შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფის წლევანდელ სერიაში "სან-ანტონიო სფურსმა" სტუმრად ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა. მეოთხე მატჩი ამაღამ, გამთენიისას, ნიუ-ჯერსიში გაიმართება.

ფორმულა 1

# შუმახერიადა 2006 წლამდე გაგრძელდება

ბიბა ბურასაშვილი

*ასეა თუ ისე, ფაქტია: ფორმულა 1-ის ბოსის ბერნი ეკლსტოუნის მიერ შემოღებულმა წეს-კანონებმა სამეფო რბოლები შარშანდელთან შედარებით ბევრად სანახაობრივი და საინტერესო გახადა. უხუცესი იმპრესარიო საკუთარი "ნადავლით" ტკბება. ეკლსტოუნისთვის ახლა ყველაფერი ისეა, როგორც მას სურს. მიუხედავად იმისა, რომ ერთბაშად რამდენიმე ფავორიტი გამოიკვეთა, იმპრესარიოს მაინც მიაჩნია, რომ ეს სეზონიც "ფერარის" გერმანელი პილოტის გამარჯვებით დასრულდება. ფორმულა 1-ის ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, ბრიტანელი დეიმონ ჰილი კი ჩემპიონატისთვის ხიბლის მომატებას მიხაელ შუმახერის კლონირებაში ხედავს. რაც შეეხება თავად შუმახერს, მან იტალიურ საჯინიბოსთან კონტრაქტი გააგრძელა.*

15 გამარჯვება, 9 დუბლი, 10 კვალიფიკაცია, ჩემპიონატის ჩათვლაში 221 ქულა და 129-ქულიანი უპირატესობა მეტოქეებზე. აი, ასეთი მაჩვენებლებით ლიდერობდა "ფერარის" საჯინიბო გასულ სეზონში.

წლეულს ვითარება ბევრად განსხვავებულია. განსხვავებულია ეკლსტოუნის მიერ შემოღებული ახალი ფორმატის წყალობით, რითაც მისი შემოქმედი ასე ამაყობს.



მიხაელ შუმახერი: "დავრჩები, სანამ გამარჯვება შემეძლება".

REUTERS

"როგორც იქნა, ჩემპიონატი ისევ საინტერესოა... "მაკლარენმა" და "უილიამსმა" ვითარებას ალღო აუღეს და შედეგმაც არ დააყოვნა. ორივე მათგანი "ფერარის" წამოეწია.

ახლა ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. რაც უფრო დიდია კონკურენცია, მით უკეთესი. განა ასე არ ჯობს?" - საკუთარი პროექტით ტკბება ეკლსტოუნი. თუმცა, გამარჯვებებსა და, შესაბამისად, მეექვსე ტიტულს მაინც შუმახერს უწინასწარმეტყველებს: "ვფიქრობ, ბოლოს ისევ მიხაელი გაიმარჯვებს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა ძველებურად თავისუფლად ველარ დაჯირითობს".

ცვლილებები, რომლებიც ეკლსტოუნმა სეზონის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შემოიღო, სწორედ "ფერარის" ჰეგემონიის განეიტრალებისკენ იყო მიმართული.

ახალი წესების მიუხედავად, "ფერარისა" და მიხაელ შუმახერის მორიგი წარმატებისა სჯერა 1996 წლის მსოფლიოს ჩემპიონ დეიმონ ჰილსაც. ჰილს, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ ვარაუდობდა, წლეულს შუმახერს ჩემპიონის ტიტულის დაუფლება გაუჭირდებაო, ახლა აზრი რადიკალურად შეუცვლია: მის გარდა, სხვა ფავორიტს ვერ ვხედავო. მეტიც, ჰილის აზრით, შუმახერის ერას კიდევ დიდხანს არ უწერია დასრულება.

"იგი 2004 წელსაც ჩემპიონად დარჩება, თუ, რა თქმა უნდა, ახალი "მაკლარენი" სრულ კრახს არ განიცდის", - აცხადებს ჰილი.

გარდა ამისა, ბრიტანელი ერთი უჩვეულო წინადადებითაც გამოდის: "გინდათ სანახაობრივი ჩემპიონატი – მიხაელისგან კლონი გააკეთეთ!"

რაც შეეხება მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, ის მომავალშიც იტალიელთა საჯინიბოს ღირსებას დაიცავს. ეს მაშინ, როდესაც ბოლო დროს ხშირად ისმოდა მიხაელის სამეფო რბოლებიდან წასვლის თაობაზე. კერძოდ, ბოქსებში გავრცელებული ხმებით თუ ვიმსჯელებთ, "ფერარის" გერმანელი პილოტი აპირებდა, სპორტული კარიერისთვის 2004 წლის სეზონის ბოლოს, ანუ კონტრაქტის დასრულების შემდეგ დაესვა წერტილის. ძმები შუმახერების მენეჯერის, ვილი ვებერის განცხადებით კი, მის კლიენტს ფორმულა 1-იდან წასვლის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება იტალიის გრან-პრიმდე - 14 სექტემბრამდე, ან მისი დასრულების შემდეგ უნდა მიეღო. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ შუმახერმა ფორმულაში დარჩენა გადაწყვიტა, ის მხოლოდ და მხოლოდ "ფერარიში" გააგრძელებს კარიერასო, - ირწმუნებოდა ვებერი. გერმანელმა პილოტმა კი "მონცას" ტრასაზე გასვლამდე მიიღო გადაწყვეტილება. გუშინ "ფერარის" ისტორიაში ყველაზე წარმატებულმა პილოტმა იტალიელებთან კონტრაქტი 2006 წლამდე გააგრძელა: "გუნდში დავრჩები მანამ, სანამ გამარჯვება შემეძლება".

TV-პროგრამა

## სამშაბათი. 10 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**

13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1998/99 სეზონი. "მანჩესტერ იუნაიტედი" – "ბარსელონა"
15:00 "შვეიცარია – რუსეთი". წვრილმანები
15:15 განვლილი სეზონის გახსენება. "ინტერი" – "კიევო"
17:00 "პოსტსკრიპტუმი"
17:30 განვლილი სეზონის გახსენება. "ლიდსი" – "არსენალი"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 გერმანიის ჩემპიონატი
21:05 მინი-ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი
21:50 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 1998/99 სეზონი. "სპარტაკი" – "რეალი"
23:35 განვლილი სეზონის გახსენება. "რომა" – "უდინეზე"

**НТВ + СПОРТ**

11:00, 14:15, 16:25, 18:30 "პრეს-ცენტრი"
11:15, 18:45 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-7 თამაში
14:30 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი
16:40 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. რუმინეთი – რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:45 ბოულინგი
18:50 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 ცურვა. "Mare Nostrum swimming Series". მონტე კარლო. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ვარსკვლავური სამშაბათი
23:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-7 თამაში
01:30 ახალი ამბები
01:45 წყალბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. იტალია – ესპანეთი
02:45 წრიული ავტორბოლები. მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ავტომობილებს შორის
03:40 03:40-დან 11:00 შესვენება
05:00 ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. მე-7 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი
12:00 სფიდვეი. შვეციის გრან-პრი
13:00 ფეხბურთი. ევრო-2004
14:00 ფეხბურთი. ევრო-2004
15:00 ფეხბურთი. ევრო-2004
15:30 ფეხბურთი. ევრო-2004
17:00 ჩოგბურთი. ATP ტურნირი. დიდი ბრიტანეთი
20:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები
21:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
22:45 ახალი ამბები
23:00 ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი საფრანგეთში
00:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:30 ახალი ამბები
02:45 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
03:45 მაუნთინბაიკი. მსოფლიო თასი
04:15 ახალი ამბები

**განცხადება**

**2003 წლის 1 ივლისს დღის 11 საათზე, ქ. თბილისში, იუმაშევის ქ.21, მოწვეულია სააქციო საზოგადოება "დუზანი"-ს აქციონერთა მორიგი საერთო კრება.**

სააქციო საზოგადოება "დუზანი"-ს სამეთვალყურო საბჭოს გადაწყვეტილებით სააღრიცხვო თარიღად დადგენილი იყო 2003 წლის 30 მაისი.

**დღის წესრიგი:**

სააქციო საზოგადოების მიერ 2002 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში;
სააქციო საზოგადოებაში შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის შესახებ.
აქციონერებს კრებაში თავიანთი მონაწილეობის უფლება შეუძლიათ შეამოწმონ სს "დუზანი"-ს აქციონერთა რეესტრის მწარმოებელთან შპს "კაპიტალ-რეგისტრთან" კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში.

**მისამართი**: ჭავჭავაძის გამზ. 80. ტელ: 23-03-84.

გაზეთი 24 საათი

10.06.03 N-157

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ: 29-48-61

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
"თავისუფალი სიყვარული" რეჟ. ციცინო კობიაშვილი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ძია ვანია", რეჟ. ოთარ ეგაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"კონტრასტები", რეჟ. გოგა ოსეფაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**ახმეტელის თეატრი**
პრემიერა "ზამთრის ღამის სიზმარი", რეჟ. დავით ანდღულაძე
დას: 18:00 სთ

### საგამოფენო დარბაზები

**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჭუჭა ცხვირა"
დას: 12:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 14:00; 19:00 სთ; ფასი 7-9 ლარი
"მდევარი"
დას: 17:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"X მენი 2"
დას: 15:00; 19:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"დიდი ძარცვა"
დას: 17:30; 22:00; ფასი 5,9 ლარი

**„ელისო"**
"დიდი ძარცვა"
დას: 15:00 სთ; ფასი
"X მენი 2"
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

### კინოს სახლი

**ფრანგულ-გერმანული ფილმების დღეები**
"რელსების კაფე", რეჟ. სედრიკ კანი
დას: 16:00 სთ (ორიგინალური ვერსია); 19:00 სთ (ქართულ ენაზე)
დასწრება თავისუფალია

## TV პროგრამა 10 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „ჯაშუში“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.45 დოკ. ფილმი „ბუნება“
19.15 პერეკროსტოკი
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 სერიალი „ჯაშუში“
22.50 ღამის კურიერი
00.10 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
00.40 მხ. ფილმი „დიდი ადამიანი“ მთ. რ-ში: ლიამ ნისონი.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
10.10 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები“
10.25 მხ. ფილმი „სიკვდილის ალმასი“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.05 ლერერის შოუ
15.15 მხ. ფილმი „სამიზნე“
16.45 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.05 შემეცნებითი ფილმი „ქვეყანა, ქვეყნები“
17.30 საქართველო და გარე სამყარო
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 უკრავს ეთერ გულისაშვილი
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.55 „სათავეებთან“
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება?“
00.00 მხ. ფილმი „მიყვარს“.

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „ფული წყვეტს ყველაფერს“ მთ. რ-ში ჩარლი შინი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 „ბრავო“ „სისხლის მარტოობა“ მთ.რ-ში ინგებორგა დანკუნაიტე.
01.40 „ღამურა“ „შერკინება“ მთ.რ-ში ალ პაჩინო, რობერტ დე ნირო.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე

(რუსთავი - 2, გაგრძელება)

19.10 მულტფილმები
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 დიდი დასვენება
21.00 გლობუსი
21.30 ასპარეზი
22.10 მხ. ფილმი „მკვლელობა აღმოსავლეთის ექსპრესში“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „სასაცილო გოგონა“
15.00 მხ. ფილმი „სეიფების მძარცველი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია“
19.20 საექტრი
21.00 მხ. ფილმი „ჭიანჭველები შარვალში“
22.30 მხ. ფილმი „რეალობა იკბინება“

### იბერია

08.00 ანონსი, ალსავალი
08.05 დიალოგი
10.35 ბურთი და მოედანი
10.50 მხ. ფილმი „800 ლიე ამაზონზე“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10, 17.20, 19.30, 21.45, 00.55 მუსიკა
15.15 მხ. ფილმი „უხმო ყვირილი“
17.30 მულტფილმი
20.00 მხ.ფ. „წარმატების ფასი“
22.15, 23.00 დიალოგი
23.45 მხ. ფილმი „ძირითადი ეჭვმიტანილი“
01.10 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
12.00, 16.20, 18.50, 19.50, 22.05 მუსიკა
12.15 მხ. ფილმი „ბიჭი თეთრი მდინარიდან“
14.00 „ჩემი ქვეყანა“ - „მეთოჯინე ნუცა“
14.20 „ტელემეტრი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „მსოფლიო რაგბი“
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
17.50 „პილოტი“
18.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 დოკ. ფილმი „მოჩვენებათა აჩრდილები“ 1-ლი ნ.
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.15 მოკლ. მხ. ფილმი „წარმოსახვითი შეთქმულება“
23.00 „ცხელი ცხრიანი“
00.20 მხ. ფილმი „მეზობელი ქალი“.

### იმედი

08.55, 11.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.00 უცერემონიოდ
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 სპ. პროგრამა „გოლი“
11.05 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“
12.05 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.15, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 კინონოსტალგია „ლედი ჰამილტონის სასიყვარულო ისტორიები“
17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“ მე-14ს.
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 ლარის მახე
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.45 „უცერემონიოდ“
23.20 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“ მე-6 ს.
00.30 მძაფრსიუჟეტიანი კინო „ტურბულენტობა-3“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ისტორიული ფილმი „ლედი და მაწანწალა“
10.50 დოკუმენტური ფილმი
12.10 კომედია „არჩევანი თქვენზეა, მადამ“
13.40 მხატვრული ფილმი „გამოსასყიდი“
16.10, 19.20, 22.20, 00.20 საინფ. გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი „ლედი და მაწანწალა“
17.30 კომედია „შესანიშნავი“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.30, 22.40 „Пресс-папье“
19.35 დოკუმენტური ფილმი
20.15 თრილერი „ვიდოკი“
21.50 „გალერეა“
22.45 „რა არ ხდება“
22.55 დოკუმენტური ფილმი
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 მელოდრამა „დისწული“
03.20 მუსიკა
03.50 თრილერი „იდუმალების საფარქვეშ“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.50 „ბედნიერი ერი“
09.55 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
10.20 მელოდია -
10.30 მობილურები
11.20 „ბიორითმი“ .
11.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.25 კომპიუტერული თამაშები
12.35 დისნეი და მისი მეგობრები
12.55 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 კომპიუტერული ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.25 „ღამის კაპრიზი“ - თემა: .
21.25 მობილურები
22.15 „კინოკლუბი“ - „ლიფტი“ . კომედია. რეჟ: არტურ ბორმანი. როლებში: რიჩარდ ლუისი, მარტინ შინი
23.45 მელოდია
00.00 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.35 „ბიორითმი“

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“.
11.05 Боевик „Удар Лотоса: Загадка Сфинкса“, 1 с.
12.05 „Шутка за шуткой“
12.35 Дисней-клуб: „Ллойд в космосе“
13.15 Худ.фильм „Хождение за три моря“, 1 с.
14.40 „Непутевые заметки“
15.00 „Ударная сила“. „Огненные стрелы“
15.30 „Короли смеха“. Ю.Никулин, ч. 1
16.20 Док.сериал „Дикие штучки“
16.55 Худ.фильм „Наследницы“, 1 с.
18.00 „Большая стирка“
19.25 „Т. Хренников. История жизни и любви“
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт“
22.00, 00.30 Время
22.40 Боевик „Удар Лотоса: Загадка Сфинкса“, 2 с.
23.45 Лубянка. „Покушение на Тито“
00.00 „На футболе“
01.30 „Снежный человек. Русский след“
02.00 „Апология“
03.10 Боевик „Операция „Медуза“

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45, 21.55 Сериал „Главные роли“
10.40, 22.55 Сериал „Госпожа Победа“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Худ.фильм „Сегун“
14.30 „Колоссальное хозяйство“
14.45 Вести - Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.15 К 90-летию композитора Т.Хренникова
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 03.00 „Дорожный патруль“
19.05, 00.30 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
00.00 „Вести+“
00.40 Худ.фильм „Выкуп“
02.30 „Синемания“
03.15 Сериал „Сеть“
04.10 Сериал „Дживс и Вустер“

### НТВ

07.00 „Утро на НТВ“
09.45 Сериал „Дальнобойщики. Дочь олигарха“
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Растительная жизнь“
12.05 „Квартирный вопрос. Зоопарк в детской“
13.00, 16. 00, 18.00, 20.00, 02.15 „Сегодня“
13.35 „Страна Советов“
14.40 Детектив „Поворот ключа“, 7 с.
15.45 „Криминал“
16.35 „Принцип „Домино“. „Услуга за услугу“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 Док. драма „Преступление и наказание“
20.35, 01.00 Сериал „Улицы разбитых фонарей“
21.45 Сериал „Дальнобойщики“
23.00 „Страна и мир“
23.40 Док.фильм „Новейшая история. Президент Всея Руси“, 2 с.
02.35 „Гордон“
03.35 Сериал „Доктор“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

შევიძენ 1-ოთახიანს ვაჟაფშაველას ან ქავთარაძის კვარტლებში. ტელ: 32-5091.

იყიდება "ჩეხური", გარემონტებული 3-ოთახიანი ბინა 3(9), მე-5 მ/რ-ის ბოლოში. ფასი: 9 000. ტელ: 96-78-96.

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

ქირავდება სახლი დიდი ეზოთი შუა წყნეთში, მუდმივი ცივი და ცხელი წყლით, აუზით და ყველა პირობებით. 22-87-41, 887 570257.

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

## კომერც. ფართი

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

ქირავდება ფართი საოფისედ ან კომერციული საქმიანობისათვის პეკინის 123-ში. 61-86-13.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება მიწის ნაკვეთი საბურთალოზე დელისი ქ. 28. ს/ფ -1054კვ.მ. ფასი 153მ=60$. ტელ: 899 111754.

## მანქანები

**იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.**

იყიდება "აუდ-100", 1994 წლის, ახალი ჩამოყვანილი, საუკეთესო მდგომარეობაში, განუბაჟებელი. 893 326572, 79-37-36.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

**ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.**

შევასწავლი გერმანულ ენას. ტელ: 32-03-71, მობ. 899 298805

## სხვადასხვა

ძაღლების წრთვნა ნებისმიერი პროგრამით: სამოსამსახურო; საცირკო და სხვა პროგრამებით. სწავლება ჯგუფებში და ინდივიდუალურად. ტელ: 76-80-32.

ფიგურისკორექცია, სიმსუქნის, კოლიტების, ნერვოზების, სახსრების მკურნალობა ბალნეოლოგიური მეთოდებით. ქავთარაძის 16, 1-ლი სართ. ტელ: 32-30-80 (5 სთ-ს შემდეგ), 899 549792, 877 457859.

ფუნქციონირებს მოსწავლეთა ბანაკი თბილისის ზღვაზე 09.00-დან 17.00-საათამდე. ორჯერადი კვებით. ტელ: 95-32-42, 95-18-49, 95-00-56 მერი სვანიძე.

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, სუპინატორები ბრტყელტერფიანებისთვის და ორთოპედიული ბალიშები. ტ. 53-46-41.

რეალურ ფასებში! დაგიმზადებთ და დაგიმონტაჟებთ რკინის კარებს, გისოსებს, ჟალუზებს, ფარდა-ჟალუზებს და სხვა ლითონნაკეთობებს. ტელ: 95-38-11

იყიდება ახალი უნიკალური საკვები დანამატი მეფრინველეობისათვის და მეცხოველეობისათვის. ტელ: 76-84-16.

**კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.**
**ტელ: 899 584855**

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757 მაკა ან ცეზო.**



# კუნძული მადეირა - ღვინოზე უფრო ტკბილი

თამარ ბაბუაძე

ხომ არის ისეთი საოცნებო ადგილები, სადაც იცი, რომ ვერასდროს მოხვდები, ძალიან კი გინდა წასვლა. ვისთვის რა, ჩემთვის მრავალ ასეთ საოცნებო ადგილს შორის უკონკურენტოდ ლიდერობს კუნძული მადეირა. და რადგან დღეს პორტუგალიის ეროვნული დღესასწაულია, გადავწყვიტე, დავესესხო იმ მოგზაურებს, რომლებიც მადეირაზე მრავალგზის ყოფილან და მათთან ერთად მეც ვიგემო ღვინო – მადეირა და დავტკბე იგივე სახელწოდების კუნძულით, რომელსაც ატლანტიკის ოკეანის სამოთხეს და პორტუგალიის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას უწოდებენ.

**ზოგადი შთაბეჭდილების შესაქმნელად:** 1997 წელს ღვინის ინდუსტრიაში, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტი მოხდა. ერთი ბოთლი "მადეირა" სოტბის" აუქციონზე ნიუ იორკში 22 ათას დოლარად გაიყიდა. ღვინო 1800 წლით იყო დათარიღებული და აშშ-ს პრეზიდენტს, ტომას ჯეფერსონს ეკუთვნოდა. ეს უნიკალური "მადეირა" ბერი ლერვინმა, ლას ვეგასის "კაზინო რიოს" მფლობელმა იყიდა. მაშინვე დაირხა ხმები, რომ უძვირფასესი ღვინის ახალ მეპატრონეს სურდა, მისი საშუალებით ან 4 ივლისის დღესასწაული აღენიშნა, ანდა, ახალი ათასწლეულის დადგომა.

შესაძლოა, ერთ ბოთლ პორტვეინში ამხელა ფასის გადახდა ბევრმა სიგიჟედ მიიჩნიოს, მაგრამ ბერი ლერვინს უმალ გაუგებენ ისინი, ვინც პორტუგალიაში ყოფილან და ადგილობრივი პორტვეინები იქვე გაუსინჯავთ. ამ პორტვეინთაგან ყველაზე პოპულარულს – მადეირასაც, როგორც მოგზაურები ამბობენ, სულ სხვა გემო აქვს სწორედ კუნძულზე – მწვანეში ჩაფლულ, მთიან, თეთრი სახლებით სავსე მადეირაზე, სადაც ატლანტიკის ოკეანე ყველა კუთხიდან ჩანს.

**მნიშვნელობა:** კუნძულების არქიპელაგი, რომელთაგან მთავარი მადეირაა, პორტუგალიის საზღვრებში მე-15 საუკუნიდან შედის. მაშინ პრინც ენრიკეს (ინგლისელებმა იზრუნეს იმაზე, რომ ისტორიაში ის პრინც ჰენრიდ შესულიყო) აფრიკის დასავლეთ სანაპიროს უკეთ შესწავლა სურდა და მარტივად შეიარაღებული გემი მეცნიერულ ექსპედიციაში გაგზავნა. ორ ახალგაზრდა კაპიტანს აფრიკის გარშემო მოგზაურობისას გზა აებნა და გადაეყარა უკაცრიელ კუნძულს, რომელსაც პორტო სანტო უწოდა. ენრიკეს ბრძანებით მაშინვე დაიწყეს ახლად აღმოჩენილი მიწის კოლონიზირება. ეს 1419 წელს მოხდა. უკვე ერთი წლის შემდეგ კი, ოკეანში ამოვარდნილი ქარიშხლის დროს მიაგნეს ტყეებით დახუნძლულ ახალ მიწას, რომელსაც მადეირა დაარქვეს. პრინცი ენრიკეს ბრძანებით, მადეირაზეც მაშინვე პორტუგალიელები გადასახლდნენ. და ახლა, როდესაც პორტუგალიის კუთვნილი მიწების რაოდენობა ოკეანეთში მკვეთრად შემცირდა, იქაურებმა კიდევ უფრო დააფასეს პრინც ენრიკეს დროინდელი აღმოჩენა. მადეირა და პორტო სანტო მთელი პორტუგალიის სიამაყედ იქცა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კუნძულზე ღვინის წარმოება დაიწყეს და გაცხოველდა საზღვარგარეთ ვაჭრობაც.

**ვინუ დე მადეირა:** მოკლედ, მართალია, პორტვეინი "მადეირა" სიძველით ქართულ ღვინოსთან ახლოსაც ვერ მივა, მაგრამ ფაქტია, რომ მას



ჩამქრალი ვულკანის კრატერზე გაშენებული სოფელი



კუნძულის მუნიციპალური ბაღები




მუხის კასრებში გამომშრალი "მადეირა"



ასეთ ლამაზ სახლებში ცხოვრობენ მადეირელები

ჩვენს სასმელებზე მეტად გაუმართლა. თანაც, პორტუგალიელებმა თავიდანვე ბევრი იამაყეს კუნძულ მადეირას შესაძლებლობებით და ამიტომაც არის რომ დღეს იქაური პორტვეინები მსოფლიოში ყველაზე პოპულარულად ითვლება.

კუნძულის 1850 ჰექტარი ღვინის წარმოებას ეთმობა. ადგილობრივები სიამოვნებით ათვალიერებინებენ ტურისტებს ღვინის სარდაფებს და სასმელის ისტორიასაც უამბობენ. განსაკუთრებული სიამაყით ესაუბრებიან ამერიკელ მოგზაურებს და მათ ყოყოჩად ამცნობენ, რომ აშშ-ს დამფუძნებელმა მამებმა დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღება სწორედ "მადეირათი" აღნიშნეს. მეტიც, ჯორჯ ვაშინგტონის ინაუგურაციის დროსაც ამერიკაში ერთმანეთს ამ პორტვეინით სავსე ჭიქებს უჭახუნებდნენ.

"მადეირას" სამყაროში მოგზაურობა მუზეუმად გადაკეთებულ ღვინის სარდაფში იწყება. იქ ნახავთ ყველა იმ ატრიბუტს, რაც ღვინის დამზადებისთვისაა საჭირო: საწნეხელი და თხის ტყავისგან დამზადებული ჩანთები, რომელთაც სასმელის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად იყენებენ.

შემდეგი გაჩერება მუხის უზარმაზარი კასრებით სავსე ოთახია. ამ კასრებში ასხამენ "მადეირას" და ე.წ. "კანტეიროს" მეთოდით აღვინებენ, ანუ აქვთ სხვენში და იქ უკვე სასმელზე ზრუნვას მზის სხივები აგრძელებს. მოგზაურობის ბოლო პუნქტი სადეგუსტაციო ოთახია, სადაც სტუმრებს "მადეირას" ოთხივე სახეობას უფასოდ ასმევენ: "სერსიალ" – მშრალი, "ვერდელიუ" – ნახევრადმშრალი, "ბუალ" – ნახევრად მდიდარი, "მალმზი" – ყველაზე მდიდარარომატიანი. უფრო აზარტულ დეგუსტატორებს ძველისძველ დარბაზებშიც ეპატიჟებიან, სადაც უკვე კონკრეტული ფასის გადახდის შემდეგ, მათ ჩარაზულ საკნებს უღებენ და მტვრით დაფარული ბოთლებიდან წვეთ-წვეთობით ასმევენ უძვირფასეს სასმელს.

უმაღლესი ხარისხის და უძველესი ღვინის გასინჯვა (ის ამ ეტაპზე 1908 წლით თარიღდება) 50 დოლარი ღირს, ხოლო თუ ტურისტები ბოთლის შინ წაღებასაც მოისურვებენ, მაშინ 700 დოლარის გადახდა მოუწევთ. არანაკლებ პოპულარულია მადეირული კოქტეილები, "ილია ბონიტა" და "დულსე" – მათ, ძირითადად, ღამის კლუბებში გასართობად შესული ტურისტები აჭაშნიკებენ.

როგორც უკვე გითხარით, ამ ძვირფას სასმელებს უკეთეს გემოს სწორედ ულამაზესი გარემო ანიჭებს. წარმოიდგინეთ, ზიხართ, გორაკის თავზე აგებული თეთრი სასტუმროს ვერანდაზე, გადაჰყურებთ კუნძულის მთავარ ქალაქს – ვიწრო ქუჩებით, სადაც მანქანებითაც დადიან და ე.წ. ასფალტის ციგებითაც, ფერადი ბაღებით, პატარა სახლებით, აკვირდებით მთების და ოკეანის შეერთების წერტილს და თან გემრიელ "მადიერას" მიირთმევთ, ზემოთნახსენები ოთხი სახეობიდან ერთ-ერთს – გემოვნებისა და განწყობის მიხედვით.

**ადგილი – გაუხუნარი შთაბეჭდილებებით:** აი, ამ მიზეზების გამო, გამოცდილი ტურისტები სულ ამტკიცებენ, რომ მადეირა ის ადგილია, რომელიც მონაყოლს ყოველთვის აჭარბებს. თურმე, რაც არ უნდა გიქონ კუნძული, მაინც არ გემართებათ უკურეაქცია, ხშირად კი შთაბეჭდილებები ყველანაირ გადმოცემულ ამბავსაც აქარწყლებს.

თავად წარმოიდგინეთ: კუნძულზე უამრავი სახეობის ყვავილი ხარობს. არსებობს შვიდი მუნიციპალური ბაღი, მათგან ზოგი მხოლოდ ორქიდეებს ეძღვნება, ზოგიც – მაგნოლიებს. გარდა ამისა, მცენარეებს თითქმის ყველა მადეირელის ეზოში შეხვდებით. და არა მარტო ეზოში – ხშირად თიხის ქოთნებში ჩარგული ყვავილები სახლის სახურავებზე მოწყობილ ბანებზე და ღობეების თავებზეც ხარობს. სახლის რომელიმე ნაწილი კი აუცილებლად თივით არის გადახურული.

პირველი სასტუმრო კუნძულის მთავარ ქალაქში 1894 წელს უილიამ რეიდმა ააშენა. თავად გაუმასპინძლდა ადგილობრივებს ინგლისური ჩაითაც. სასტუმრო დღესაც დიდი წარმატებით ფუნქციონირებს. მასპინძლობს კუნძულზე ჩასულ ტურისტებს და სთავაზობს ინგლისური და პორტუგალიური სამზარეულოს დიდებულ ნაზავს.

კუნძული პოპულარული ტურისტული პუნქტი იყო წინათაც. ადგილობრივები დღემდე სიამაყით იგონებენ, რომ მადეირას სტუმრობდა ჯორჯ ბერნარდ შოუ, რომელიც ცეკვას სწავლობდა, უინსტონ ჩერჩილი, რომელიც გატაცებით ხატავდა სოფელ კამარა დე ლობოსის პეიზაჟებს... ეს "ინგლისური ტრადიცია" დღესაც გრძელდება. მართალია, კუნძულზე გერმანელებიც ხშირად ჩადიან და ფრანგებიც, მაგრამ ტურისტების დიდ ნაწილს მაინც ბრიტანელები შეადგენენ.

მადეირა მისწრებაა მათთვის, ვისაც მობეზრებული აქვს ტიპური ევროპული დასვენება – შვიდი დღის განმავლობაში შვიდი ევროპული ქალაქის გადარბენით მონახულება, მუზეუმებში, ხელოვნების გალერეებში სირბილი, პიკადილიზე მოზღვავებულ ტურისტებს შორის გზის იდაყვით გაკვლევა, ეიფელის კოშკთან შეგროვებული შორტიანი ამერიკელების ტალღის გარღვევა და ა.შ.

პორტუგალიურ კუნძულზე ყველაფერი სხვაგვარადაა. იქ ცხოვრება შენელებული ტემპით მიდის. თვალი ისვენებს და ყველაფრის შემჩნევას და ყველაფრით აღფრთოვანებას ასწრებს. ბუნებრივია, პირველ რიგში, მზერა მთის კალთებზე შეფენილი ტერასებისკენ გარბის. ულამაზესი ბაღებით სავსე ტერასები მწვერვალისკენ კიბეკიბედ მიიწევენ. მადეირელები ამ ტერასებს სამართლიანად უწოდებენ "ზეცისკენ მიმავალ კიბეს". ტურისტები ადიან 2.625 ფუტი სიმაღლის მწვერვალზეც, საიდანაც ხელის გულივით მოჩანს "მონაზვნების ხეობა" – ადგილი სადაც 1500-იან წლებში, მეკობრეების შემოსევის დროს მონაზვნები აფარებდნენ თავს. დღეს ამ ხეობაში ზედ ჩამქრალი ვულკანის კრატერზე, პატარა, მთვლემარე სოფელია გაშენებული. აი, იქ კი, მართლა, სხვა განზომილება და სხვა დრო სუფევს...

და რა გასაკვირია, რომ ამ ყველაფრის ხილვის შემდეგ, უკან, ევროპის თუ ამერიკის აჩქარებულ ცხოვრებაში დაბრუნების წინ, უკლებლივ ყველა ტურისტი შთაბეჭდილებების წიგნში ასეთ სიტყვებს წერს: "მე აუცილებლად დავბრუნდები". "მადეირას სახით სამოთხე ვიპოვე"...

# რამდენიმე რეცეპტი პორტუგალიაზე შეყვარებულთათვის

ეკა გვახარია

პორტუგალიურ სამზარეულოში მთავარი ადგილი თევზისა და სხვა ზღვის პროდუქტებისაგან დამზადებულ კერძებს უკავიათ. პოპულარულია ასევე ნაირ-ნაირი სოუსებიც. რაც შეეხება ხორცეულს - მიუხედავად იმისა რომ ნაკლებადაა გავრცელებული, თუ პორტუგალიელმა დიასახლისმა მაინც გადაწყვიტა მისი მომზადება, აუცილებლად ძალიან გემრიელი გამოვა: უამრავი მწვანილითა და სანელებლებით შეზავებული. პორტუგალიურ კულინარიულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბრინჯს, მას მიირთმევენ როგორც გარნირის, ასევე დესერტის სახით. ლიმონით, შაქრით, რძით და დარიჩინით მომზადებული ბრინჯი ერთ-ერთი საყვარელი კერძია პორტუგალიაში. რაც შეეხება სასმელს, პორტვეინი – პირველ ადგილზეა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში კარგი ლუდია, პორტუგალიელები, ყოველდღიურ ცხოვრებაში, უპირატესობას ლიმნის კოქტეილს ანიჭებენ.

პორტუგალია – ზღვის ქვეყანაა. ატლანტიკის ოკეანე მრავალი საკვები პროდუქტით ამარაგებს მას. პორტუგალიური კერძები, გარდა იმისა რომ ძალიან გემრიელია, ამავე დროს ძალიან სასარგებლოცაა, რაშიც თავადაც დავრწმუნდებით.

თევზი – პორტუგალიური სამზარეულოს მთავრი ინგრედიენტია. ექიმების ბოლოდროინდელი ექსპერიმენტებით დამტკიცდა, რომ ქვეყნებში სადაც ხშირად მიირთმევენ თევზეულს, ნაკლებადაა გავრცელებული ონკოლოგიური და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები. ამავე დროს, ძალიან გემრიელია, მითუმეტეს თუ ის მომზადებულია პორტუგალიურად.



ტრადიციული პორტუგალიური სადილი ჭიქა პორტვეინით



ტრადიციული საკვირაო ვაჭრობა

იმისათვის, რომ მოამზადოთ თევზი პორტუგალიურად, შეარჩიეთ ოთხი მოზრდილი თევზის ფილე (უკეთესია - სკუმბრია). დაჭერით წვრილად, მოასხით ნახევარი ჭიქა თეთრი ღვინო და გააჩერეთ. მანამდე მოხარშეთ ბრინჯი, თქვენებურად ან როგორც პორტუგალიელი კულინარები გვირჩევენ: ერთი ჭიქა ბრინჯი უნდა მოიხარშოს, რაც შეიძლება ბევრ, მარილიან წყალში. კოლორიტისათვის, შეგიძლიათ ბრინჯს დაასხათ ბევრი წყალი პორტუგალიურად, დააყაროთ მარილი პორტუგალიურად და გამოგივათ ბრინჯი პორტუგალიურად. შემდეგ მივხედოთ სოუსს: აიღეთ ორი ხახვი და ოთხი პამიდორი ( თუ პამიდორი არ გაქვთ, ორი კოვზი ტომატის პასტა). ცნობისათვის, როგორც დადგინდა ხახვი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც ხელს უშლის დაბერების პროცესს, პამიდორი კი მნიშვნელოვნად აფერხებს სკლეროზის განვითარებას. ასე, რომ ორივე ინგრედიენტი ძალიან სასარგებლოა; სოუსისათვის აუცილებელია ორი კბილი ნიორი. ნიორზე საუბარი, ალბათ, ძალიან შორს წაგვიყვანს. ერთი ექიმი იტალიაში ომის დროს, როდესაც წამლები არ იშოვებოდა, თითქმის ყველაფერს, ხოლერის ჩათვლით, ნიორით მკურნალობდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ნიორი სამკურნალოდაც კარგია და პროფილაქტიკის არაჩვეულებრივი საშუალებაა, მაგრამ ბევრ დადებით თვისებასთან ერთად, ერთი ყველასათვის კარგად ცნობილი უარყოფითი თვისებაც გააჩნია - თავისებური, არასასიამოვნო სუნი, რომელსაც ძალიან კარგად ანეიტრალებს ოხრახუში. პორტუგალიელმა კულინარებმა გაითვალისწინეს რა ეს ფაქტი, სოუსის შემადგენლობას დაუმატეს ნახევარი კონა ოხრახუში. ცხიმში მოთუშეთ ხახვი, ისე რომ გაყავისფრდეს, დაუმატეთ ზემოთ ჩამოთვლილი ინგრედიენტები: პამიდორი, ნიორი, ოხრახუში, ასევე ცოტა წიწაკა და მიხაკი. რამდენიმე წუთს გააჩერეთ გაზქურაზე. ამ დროისათვის ბრინჯიც მოიხარშება, გადაწურეთ წყალი, მოასხით სოუსი, დაუმატეთ თევზი ღვინით, კარგად აურიეთ და დაადგით გაზქურაზე. გააჩერეთ 20-30 წუთს. გამზადებული კერძი, რომელიც ძალიან სასარგებლოა და ამავე დროს გემრიელი, უმჯობესია, მიირთვათ ცხელ მდგომარეობაში.

გთავაზობთ კიდევ ერთ პორტუგალიურ რეცეპტს:

### ქათამი პორტუგალიურად

**ინგრედიენტები:**

1 წითელი ტკბილი წიწაკა
4 წითელი მწარე წიწაკა
1 ჭიქა ლიმონის წვენი
2 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთი
1 სუფრის კოვზი თეთრი ღვინო
1 კბილი დანაყული ნიორო
4 ქათმის ფილე

**მომზადების წესი:**

გააცხელეთ გაზქურა 200 გრადუსზე. პარალელურად ქვაბში, ლიმნის წვენთან ერთად მოათავსეთ ტკბილი და მწარე წიწაკა, გააჩერეთ დაბალ ცეცხლზე 10 წუთს. დაუმატეთ ზეითუნის ზეთი, მარილი, ნიორი და ღვინო. კარგად აურიეთ. მიღებული სოუსი მოასხით ქათმის ფილეს და შედგით გაზქურაში. გააჩერეთ 20-30 წუთს.

ეს კერძი სუფრაზე შეგიძლიათ გაიტანოთ შემწვარ კარტოფილთან ან სალათთან ერთად.

პორტუგალიურად რომ ისადილოთ, ეს ორი კერძი სავსებით საკმარისია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს დესერტიც.

### პორტუგალიური დესერტი სიმინდის ფქვილით

**ინგრედიენტები:**

6 კვერცხი
300 გრ შაქარი
1,5 სუფრის კოვზი სიმინდის ფქვილი
3 სუფრის კოვზი თბილი წყალი
ზეთი
შაქრის ფხვნილი

**მომზადების წესი:**

მოამზადეთ გოგლი-მოგლი, დაუმატეთ კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა და სიმინდის ფქვილი. კარგად აურიეთ ხის კოვზით. მიღებული მასა დიდ, ცხიმწასმულ ტაფაზე მოათავსეთ და გაზქურაში გააჩერეთ 2-3 წუთს. შემდეგ გამოიღეთ, ძალიან ფრთხილად გადმოიღეთ სწორ ზედაპირზე და როგორც რულეტი ისე დაახვიეთ. შემოახვიეთ ფოლგა და 1-2 წუთით ისევ შედგით გაზქურაში. სუფრაზე გატანის წინ მოაყარეთ შაქრის ფხვნილი.

ასე რომ, კულინარიის მოყვარულებმა შეგიძლიათ ნამდვილი პორტუგალიური დღესასწაული მოიწყოთ: მიირთვათ პორტუგალიური სადილი, დააყოლოთ დესერტი. მაგრამ, იმისათვის რომ მთელი არსებით შეიგრძნოთ პორტუგალიური სამზარეულოს ღირსება, ჭამამდე ათი წუთით ადრე, უნდა დალიოთ ერთი ჭიქა ნამდვილი პორტუგალიური პორტვეინი.

# პამელა ანდერსონი ძალადობის წინააღმდეგ



პამელა ანდერსონი

ჰოლივუდის ვარსკვლავმა, პამელა ანდერსონმა, ინდოელ დიზაინერებს მოწოდებით მიმართა: "ნატურალურ ტყავს ნუ გამოიყენებთ!"

"ვიმედოვნებ, რომ თქვენც შეუერთდებით დიზაინერებს, რომლებმაც ტყავთან მუშაობაზე უარი თქვეს და მის ნაცვლად პროგრესულ, ძალადობის გარეშე მიღებულ მასალებს იყენებენ," წერს პამელა ღია წერილში, რომელიც ამერიკულმა ცხოვლთა დაცვის ორგანიზაციამ, PETA-მ გამოაქვეყნა.

PETA-ს მონაცემების თანახმად, ინდოეთის ტყავის მრეწველობა ყოველწლიურად 230 მილიონ მეტრამდე ბეწვსა და ტყავს ამუშავებს. ამისთვის მილიონობით ცხოველი იღუპება, და თან PETA ამტკიცებს, რომ ცხოველებს მოკვლამდეც კი ძალიან სასტიკად ექცევიან.

"მწვანეებმა" უკვე დაიყაბულეს ისეთი დიდი სავაჭრო ქსელები, როგორებიც "მარკს ენდ სპენსერი", "გეპი", "ბანანა რეპაბლიკი" და J. Crew-ია, და ისინი ინდურ ტყავებს აღარ ყიდულობენ.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ძროხა ინდოეთში წმინდა ცხოველად ითვლება და ადგილობრივი პოლიტიკოსები არაერთგზის ცდილობდნენ მათი დახოცვის ამკრძალავი კანონის მიღებას.

თავად პამელა ანდერსონი PETA-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აქტივისტია. ის ვეგეტარიანელი გახლავთ და ბუნებრივი ტყავისგან დამზადებულ ტანსაცმელს არ ხმარობს.

# მუზეუმი პირამიდებთან

ქაიროს სიახლოვეს, ცნობილ გიზის პლატოზე, მსოფლიოში უდიდესი მუზეუმი აშენდება. მისი პროექტის ავტორი ჩინური წარმოშობის ირლანდიელი არქიტექტორი ში ფუ პენგია. ეს ინფორმაცია ეგვიპტის დედაქალაქში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ეგვიპტის კულტურის მინისტრმა განაცხადა.

ცხრა წევრისგან შემდგარმა ჟიურიმ სამ ეტაპად გამართულ კონკურსზე წარდგენილი ათას ხუთასი ნამუშევარი განიხილა. კონკურსში 83 ქვეყნის წარმომადგენელი არქიტექტორები მონაწილეობდნენ. მათ ერთი პრინციპი აერთიანებდათ: პირამიდების გარშემო ისტორიული პეიზაჟის შეცვლა დაუშვებელია. ამიტომ მუზეუმი მიწის დონეზე უნდა იყოს განლაგებული. ის პირამიდებსაგან ორი კილომეტრით იქნება დაშორებული და 592 კვადრატული მეტრის ფართობს დაიკავებს. პროექტის ღირებულება 350 მილიონი ამერიკული დოლარია, რომლებსაც ეგვიპტის მთავრობა, სხვა სახელმწიფოები და კერძო პირები და კომპანიები გამოჰყოფენ.

# მაიკლ ჯექსონის რიგითი დეპრესია



მაიკლ ჯექსონი

"პოპის მეფეს" დეპრესია ჰქონია – თავბრუ ეხვევა, მისი ორგანიზმი ძალიან დასუსტებულია. მისი ადვოკატის აზრით, ეს სასამართლო პროცესის ბრალია – საავტორო უფლებების დაცვის ამბავი გულთან ახლოს მიიტანაო.

შეგახსენებთ: მოსარჩელე, კომპოზიტორი გორდონ კიტი, ამტკიცებს, რომ თავის 1996 წელს გამოშვებულ ალბომში Pre-History: The Lost Steeltown Recordings მაიკლ ჯექსონმა კიტის მიერ 1967 წელს შექმნილი ხუთი სიმღერა უნებართვოდ გამოიყენა. პოპ-ვარსკვლავის ნდობით აღჭურვილი პირის თქმით, ჯექსონი ყოველი ჩვენების მიცემის წინ საშინელ განცდებში ვარდება, ვითომ იმიტომ, რომ საავტორო უფლებების საკითხი მისთვის ყოველთვის წმინდათა წმინდა იყო.

ჯექსონი ინდიანაპოლისის საავადმყოფოში 28 მაისს მოხვდა, და მისი მკურნალი ექიმი ძალიან შეშფოთებულია. BBC-მ გადმოსცა, რომ მან თავის პაციენტის სავალალო მდგომარეობის შესახებ სასამართლოზე განაცხადა.

ამჟამად მომღერალი სასამართლო პროცესში უშუალო მონაწილეობას ვერ იღებს – ექიმებმა წოლითი რეჟიმი დაუნიშნეს. გარდა ამისა, ის ტრანკვილიზატორებს ყლაპავს და დასუსტებული ორგანიზმის აღსადგენად გადასხმებსაც იკეთებს. ჯექსონის ადვოკატი მოყვა, რომ მიუხედავად ამისა, ის ხშირად რისხვაში ვარდება ხოლმე, სასამართლო პროცესის გახსენებაზე ღელავს და საჭმლის მიღებაზე უარს ამბობს.

სან ფრანცისკოს სამედიცინო ცენტრის ხელმძღვანელმა, რიჩარდ ფელმანმა განაცხადა, რომ ჯექსონს ჩვენების მიცემა აკრძალული აქვს, რადგან ტრანკვილიზატორების გამო "არასაიმედო მდგომარეობაში იმყოფება". შესაბამისად, საქმის განხილვა 13 ივნისამდე გადაიდო. მოსამართლემ ჯექსონის ადვოკატი სასტიკად გააფრთხილა: თუ ერთი კვირის შემდეგ მოპასუხე არ გამოცხადდება, ის ყოველი გაცდენილი დღისთვის ჯარიმას გადაიხდის, 1 ათას ამერიკულ დოლარს.

და უცებ ჯექსონის ყოფილმა მეუღლემ, ლაიზა მარია პრესლიმ, სენსაციური განცხადება გააკეთა. ის ამტკიცებს, რომ ჯექსონი ნარკომანია და მის დეპრესიას სასამართლო პროცესთან არაფერი აქვს საერთო.

ბრიტანული გაზეთი The Sun წერს, რომ როკ-ენ-როლის ლეგენდარული მომღერლის 35 წლის ასულმა ჟურნალ Playboy-სთვის მიცემულ ინტერვიუში მაიკლ ჯექსონთან ოჯახური ცხოვრების პიკანტური დეტალებიც გაამხილა. ლაიზას თქმით, 1994 წელს ის ჯექსონს იმის იმედად გაჰყვა, რომ შოუ-ბიზნესის ინტერესები გააერთიანებდნენ. "ეს სისულელე იყო," ყვება ლაიზა, "ერთი წლის შემდეგ მივხვდი, როგორ ვცდებოდი. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური თვალსაზრისით არამიმზიდველი კაცი იყო, თავიდან მაინც რაღაცით მხიბლავდა, მეგონა, რომ შეყვარებული ვიყავი. მაგრამ მერე მივხვდი, რომ ვცდებოდი. ის ნარკომანია, ამ სენისგან დღემდე ვერ განიკურნა".

## კროსვორდი













## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.




იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში